არდემილი და სხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები. უნდა ვიფიქროთ, რომ სცენისმოყვარეთა ამ ჯგუფმა საქველმოქმედო მიზნით სკოლის და ბიბლიოთეკის სასარგებლოდ თუ მხარის მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით შემდეგაც გამართეს ფასიანი წარმოდგენები, მაგრამ ამის შესახებ სამწუხაროდ რაიმე დოკუმენტი არ შემინახულა. ცნობილია, მოლოდ, რომ მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარე, ცნობილიმა ხალხსანამა გუბანოვიმმა სცენისმოყვარეებს ხელი გაუმართა და რკინეულობით მოაწყო გ. ვალესტოვის მალახის სარდაფი დაუჭირა, სადაც 1906 წლამდე დროგამოშვებით იმართებოდა წარმოდგენები. სცენისმოყვარეებს 1899 წლის ისტორიული დრამა „პატარა კახი“ დაუდგამთ. ერთ-ერთი სპექტაკლს აკაციც დასწრებიან და ძალიან კმაყოფილც დარჩნულან.

პირ იყო, თუ შეიძლება ითქვას, პირველი პერიოდი ჭიათურის თეატრის ისტორიისა.

საქველმოქმედო მიზნით პერიოდულად გამართული წარმოდგენები ვერ ასახავდა იმ დიდ ძვრებს, რომელიც ჭიათურის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდებოდა რევოლუციის წინა წლებში. 1903 წელს ჭიათურაში ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი, 1905 წელს

სამომადნოდ და ვაკონის მტვირთავ მუშათა პროფესიული კავშირი. მუშათა კლასის ბრძოლა თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიასთან, ორგანიზებულ ხასიათსღებულობს. მუშათა გათავისცობიერებისა და კულტურული დონის ამაღლების მიზნით საჭირო ხდება მუდმივი თეატრალური კრისის შექმნა. სწორედ ამ მიზნით, 1906 წლის 8 ივლისს შეიკრიბებ ჭიათურის მუშათა კლასისა და მშრომლის ინტელექციონის საუკეთესო წარმომადგენლები — მახაბიბი და რეჟისორი ვ. შალიკაშვილი, ტექნიკოსი მ. ჭანიშვილი, ელსადგურის მუშები ვ. ყიასაშვილი, გ. ნუცუბიძე და დაადგინეს — სცენისმოყვარეთა ძალეებით შეიქმნათ მუდმივი დრამატული წყვი. დადგენილება სისრულეში მოიყვანეს და 16 ივლისს ა. ცაგარლის პიესა „მათიკო“ წარმოადგინეს. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: საჩხერელი მასწავლებელი ანეტა იურკევიჩი და მისი ამხანაგები ცუკია და ელენე წერეთლები, ვალერიან შალიკაშვილი, ნ. ჯაგასიშვილი, ვანო ყიასაშვილი, გიორგი ნუცუბიძე, მირიან ჭანიშვილი. ნიჭიერმა მსახიობმა და დამწყებმა რეჟისორმა ვ. შალიკაშვილმა, რომელიც 1902 წლიდან პოლფესიტულ დასებში მთავაწრობდა, ისე კარგად დადგა სპექტაკლი და ისე მშვენივრად ასრულდნენ როლებს სცენისმოყვარენი, რომ დრამურის

შემდეგმა სპექტაკლებმა დიდალი მაყურებელი მიიზიდა და მცირერიცხოვან სცენისმოყვარეთა ჯგუფს ახალი წვერებიც შესძინა. ესენი იყვნენ: დიდი სცენური მოწყვემების მსახიობები — ვერა წერეთელი, დიასახლისები — ანიკო ანთლიძე და ნინა ხარატიშვილი, მუშები — ნატალია სისარულიძე და ნატალია კაკაბაძე, იაკო აბტალიძე, საზოგადოებამ სახელმძღვანელო პედაგოგები გიორგი ანთლიძე, ივანე გომელაური, ალექსანდრე მთიანშვილი და სხვები.

ამჟამად ჭიათურა ერთ-ერთი მოწინავე სამრეწველო ცენტრია და მისი სახელი სასულერაგრაფიაც კარგადაა ცნობილი. ვასილ საკუნიის ბოლოს და ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჭიათურა მიყრუებულ ადგილს წარმოადგენდა. მუშები 16-18 საათს მუშაობდნენ და უზინაობის გამო უმეტესობა მალაროებიში ათავდა დაემს, ოლით აიბოძო მცირეოდენ ხელფასს ტუჭყან სამიციციონებში ტოვებდნენ; ასეთ პირობებში წარმოდგენის გამართვა დიდი საზოგადოებრივი და აულტურული მნიშვნელობის მოვლენად იქცა.

დრამატულმა წრემ იმთავითვე აიღო კურსი მშრომელი ხალხის დუბჭობის ცხოვრების ამსახველი და რევოლუციური შინაარსის პიესების დადგმაზე და მშრომელი ხალხი დაიხსოვრა. მართალია, სცენისმოყვარეებს მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა, სახლიდან მოქონდათ ყველაფერი, რაც სპექტაკლისათვის იყო საჭირო, არ ჰქონდათ გამოცდილება, მაგრამ სჯინის ენთუზიასტები ამას არ თაუშინებია. უსახილოდ მუშაობდნენ. სადასკროლოდ ჩამოსოლო. შესწავლილობან. 2. აბაშიძისთან, მ. საფარიან-აბაშიძისთან, ნ. გაბუნისთან, 2. გუნიასთან პარტნიორობით საშემსრულოობო დონეს იმაღლებდნენ და მსახიობის ხოლოცების ეუფლობდნენ. ხშირად მაკრთოლთა სასოფაუხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვისა მართაბდნენ წარმოდგენის, ზოგჯერ შიმშოლო თანხები რეგოლოაიორ საშინაობას ხმარებოდათ ის შოუმწინაოლი არ რჩებოდა ათავოლოპრიი ჩილოსოლობას. სპექტაკლობს შოიან, საინისმოყვარეებს აპაკობობან. მაგრამ დრამურის ერთოხილის თაიარით მოსპობა უჯერ ათარ შიძობობოთა. 1907 წილის დაარსდა „...იათორის დრამატული საზოგადოებამ“ პიდაოჯ ვ. ჭუმბურიძის თავმჯდომარობით. „დრამატულ საზოგადოებამ“ შევიდნენ ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეები, მრეწვე-

სცენა სპექტაკლთან „შეჯავა“.



ლები, თავდაზნაურობის წარმომადგენლებიც და გაიმართა ბრძოლა ინიციატივისათვის. ამ ბრძოლაში მუშებმა გაიმარჯვეს. ერთ დღეს მათ 900 მანეთი შეკრიბეს. 300 ახალი მუშავეერი შეგებდა საზოგადოებას, რის წყალობითაც თეატრის იდეური მმართველთა უცვლელი დარჩა.

თეატრმა დიდ წარმატებებს მიაღწია. 1910-1911 წლის სეზონში, როდესაც ხელმძღვანელად რუსეთიდან ახლად დაბრუნებული რეჟისორიალ. წუწუნავა მოიწვიეს. მან მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო ჭიათურაში, თეატრის მუშაობა სრულიად გარდაქმნა და იმ დროისათვის უმაღლეს მხატვრულ დონეზე აიყვანა. ალ. წუწუნავა ნოვატორი რეჟისორი იყო ქართული სცენისათვის. მან ოთხი წელი მოსკოვის სამხატვრო თეატრში გაატარა. 1. სტანისლავსკისა და 2. ნემიროვიჩ-დანიენკოსაგან შეისწავლა ახალი რეჟისორული მეთოდი და მშობლიურ სცენაზე გადაიტანა. იგი დიდ ყურადღებას აქცევს სპექტაკლის ყოველ წერტილს, მხატვრულ გაფორმებას, სახეების ფსიქოლოგიურ დამუშაობას. დგამს ა. სუმბათაშვილი-იუჯენის „იალიაკს“, გოგლის „რევისორს“, პაუტკმანის „ფეტიქებს“, 2. ნინოშვილის „ქრისტინეს“ და მწვავე სიცოცხლური და პატრიოტული კონფლიქტების სხვა პიესებს. მაგრამ ალ. წუწუნავას დადგმები არა მარტო მხატვრულ-ესთეტიკური მხრივთა საინტერესო; იგი ჯერ კიდევ მოსკოვში 1905 წლის დეკემბრის აჯანყების მონაწილე იყო. ახლს გაიყნო დიდ პროლეტარულ მწერალს მ. გორკის და სხვა თვალი-სახინო პოლიტიკურ მოღვაწეებს, ახლა კი უკვე რთორც დასრულებული რეჟოლოგიური მსოფლმხიდაეულობის შიშოქმედმა, ყოველ დადგმაში კაალრმავა პიისის საზოადოებრივ-პოლიტიკური მიზანდასახულობა. ასეთ სპექტაკლს ისწრაბოდნენ მუშები და პროგრესული ინტელიგენცია. ხოლო სუთობამ ნოვატორი რეჟისორი ჭიათურითან გააქცია. მაგრამ საბედნიეროდ თეატრს ახლა მყოფი ნიჭიერი რეჟისორი და დიდი დემოკრატი ვ. შალიაშვილი ჩაოდაა სათაოში.

1913 წლის მოიწვიო ჭიათურის შვიი ჰიის მალაროების და გაკონიბის მტვირთავ მუშობა გაფიცვა, რომლიც ორ თვეს გაგრძელდა. თეატრი სახელდახელოდ დადგმული სპექტაკლების შემოსავლს გაფიცულთა კომიტეტს აძლევს.

მიმე პირობებში უხდებოდა თეატრს მუშაობა. საქართველოში საბ-



სკენა სპექტაკლთან „ცხოვრება კაცისა“.

ჭოთა ხელისუფლების დამკარებად არ ჰქონდა მატერიალური ბაზა, ხელსაყერი შენობა, ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს უშლიდა მის ნორმალურ მუშაობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მხატვრულად და იდეურად თანდათანობით იზრდებოდა და ვითარდებოდა.

ამევე წელს თეატრის შენობაში

თეატრის მესვეურებმა ვაჟა ფშაველას სალონო გაუმართეს. პოეტის გამოსვლა მუშა მყურებლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამ დროს ჭიათურის თეატრში მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენს შალვა დადიანი. იგი აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს, რეჟისორობდა, იცავდა მას პოლიციისაგან,

სკენა სპექტაკლთან „სამანშვილის დედინაცალი“.







რომიელი ხშირად შოიდა სპექტაკლებს. აქვე მოღვაწეობდა მხატვარი სიდამონ-ურისთავი, რეჟისორი — კ. ანდრონიკაშვილი, მსახიობი ტასო აბაშიძე და განთქმული ლიტბარი სანდრო კავაძე. ადგილობრივი ძალეობისგან შემდგარი სცენისმოყვარეთა ჯგუფი გაიზარდა და მჭიდროდ შეკრულ კოლექტივად გადაიქცა. მის კვლავ შემემატა ახალი ძალები: თამარ აბაშიძე-გაბისონია, შაქრო ვაშაძე და სხვ. თეატრი თავისი სპექტაკლებით, მხატვრულ-ლიტერატურული კონცენტრაციით მონაწილეობის რეგულაციურ მოძრაობად და შეიძლება სრული პასუხისმგებლობით ითქვას, რომ ძნელად მოიძებნება მეორე თეატრი, რომელიც თვითმხრის დიდ სოციალისტურ რეჟოლუციამდე ისე მჭიდრო კავშირში ყოფილიყო მუშათა კლასთან და რეგულაციურ მოძრაობასთან, როგორც ჭიათურის თეატრი.

1921 წელი თეატრის მეორედ დაბადების თარიღია. — ჭიათურის თეატრის სახელმწიფო თეატრად იქცა. სცენისმოყვარენი პროფესიული მსახიობები გახდნენ. თეატრისათვის აშენდა ახალი შენობა. სპექტაკლების მხატვრული დონის გაუმჯობესებისათვის ქალაქის ხელმძღვანელობამ სახელმწიფო რეჟისორები და მსახიობები მოიწვია. 20-იან წლებში გარდა ადგილობრივი ძალებისა, აქ მოღვაწეობდნენ რეჟისორები — მიხეილ ქორელი, კოჭო ანდრონიკაშვილი, ნინო მამულაშვილი-თორელი, ვასო ურუშაძე, შალვა ხინელი, ვანო ბაროველი, პავლე ფრანგიშვილი. მსახიობები — ნუცა ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, შალვა ბეჟუაშვილი, შოთა მანაგაძე, თეოკ დვინი-აშვილი, ანტონ ლითანიშვილი, ზაქრო ურუშაძე, გრიგოლ კოსტავა, ვასო კობაკი, ალექსანდრე ალაზნისძე-რელი, ელენე სიბილა, ნინო ნინოში, ნუნუ მაჭუავარიანი. ადგილობრივი ძალებიდან დასს შემემატა ბაბო ავალიშვილი, ბორის გამრეკელი, ი. მჭედლიშვილი და სხვ. განსაკუთრებით საინტერესო იყო „ქორელის სუსონეტი“. გამოვილიმა და დიდმა რეალიზმა რეჟისორმა მ. ქორელმა მტკიცედ დაამყვიდრა სასცენო შემოქმედების რეალისტური პრინციპები, იგი ყოველ სპექტაკლს მაღალ მხატვრულ დონეზე აფორმებდა და მსახიობს როლიმ გარდასახვას ასწავლიდა. მასთან ერთად ჭიათურის სცენაზე მოღვაწეობდა მისი მეუღლე, ქართული სცენის სიახვე ნუცა ჩხეიძე. მავუ-

რებელმა ბერეჟერ ნახა დიდებული მსახიობის თითქმის მთელი რეპერტუარი: ზენაბი, დეზდემონა, ამალი, ტრეზნია, მარგარიტა, კრუჩინინა... ამავე თეატრის ხშირი სტუმარია ალ. იმედაშვილი, რომელსაც შექსპირის ოტელოს, შილერის კარლ მორიასა და სოფოკლეს თიბოდის მეფის ბრწყინვალე შესრულებით აღტაცებანი მოჰყავს არა მარტო ქალაქის მეგობრნი, არამედ უცხოელებიც. განსაკუთრებით ამერაქველები, რომლებიც იმ წლებში საკმაო რაოდენობით მიიზიდა ჭიათურისში მილიონობით პარიზისის შავი ქვის კონცხიანში. ამავე წლებში ჭიათურის თეატრს შეემატა უხადლო სცენისმოყვარე, თვითმოყვადი ტალანტი დაეთი ჩხეიძე, რომლის მიერ შესრულებული ფრანც შოპირი, იაგო, არმან დიუვალე, დ. კლდიაშვილის პლატონი, დარისპანი და განსაკუთრებით ნიკოფორე აგაკუტა (ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლიდან“) სცენური ხელოვნების ნამდვილი შედევრები იყო. ნიჭიერი მსახიობი სამწესაროდ ადრე ჩამოშორდა სცენას.

ყოველივე ეს სასცენო ხელოვნების საუკეთესო სკოლა იყო. 20-იან წლებში ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში თეატრის სიენაზე გამოიღია მსახიობთა ახალი, ნიჭიერი თაობა, რომლებიც ვიკტორებთან (გ. ნუკლე, დ. სიხარულიძე, გ. კაკაბაძე, თ. აბაშიძე, ბ. ლეჟავა, თ. აბაშიძე) ერთ თეატრის კოლექტივის წამყვან მსახიობები ხებიანან. ის ნიჭიერი თაობა იყო — მ. ვაშაძე, გ. ჭყაბლაძე, თ. ლოლაძე, დ. მოილიშვილი, ბ. თარიშიძე, გ. აიკანაძე, უ. სამხარაძე და სხვანი. რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ჭიათურის თეატრის შემოქმედებაში. აღიზარდა რაიოსორთა ახალი კადრებიც. გ. კომიაი, მ. ავაშიძე და გ. ჭყაბლაძე ნამდვილი რაიოსორული ოსტატობით დგამენ სპიჩაკალებს.

თეატრის შემოქმედებით იზოზრებამო ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოს მიზნა მკვითრი შიშობრუნება საბჭოთა სინამდვილისაკენ და სიენა ისტორიულ-რეჟოლუციური შინაარსისა და საბჭოთა ხალხის ახალი იზოზრების ამსახილი პიესები იდგამება თეატრის სასახლოდ უნდა ითქვას. რომ იგი ფიხბათი მიაყარა თიდაქალაქის სახომოხიხამო დრამატოლ თეატრებს, დამს ქართული, რუსული, დასავლეთ ერობოული კლასიკური დრამატურების საუკეთესო ნიმუშებს და თითქმის ყველა

იმ ახალ საბჭოთა პიესებს, რომლებიც დედაქალაქის თეატრების სცენაზე იდგმებოდ. სხვადასხვა დროს ჭიათურის მავრებელმა ნახა ტრეტიკაივის „იღრილე ჩინეთო“, ლავრენივის „რედვეცა“, კონენიუკის „პლატონ კრეტიკი“, კრონინის „სამამარლო“, აფინოგენივის „შოში“, შანსაშვილის „ამბოკარი“, კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, მოსაშვილის „ჩაიბრული ქვიბი“, კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლომურნის ქორწინება“ და მრავალი სხვანი თეატრის აღსრულები მ. ვაშაძე და გ. ჭყაბლაძე მალე მთლამ რესპუბლიკამ გაიხსოვ გასტროლებს დროს ნაჩვენები სპექტაკლებით თუ კრიოფილუმებით. მ. ვაშაძის პ. კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერი, შექსპირის იაგო და დ. კლდიაშვილის პლატონ სამანიშვილი უდავოდ დიდი მიღწევა იყო მსახიობისა. ასევე გ. ჭყაბლაძე თეატრალური სპექტაკლების თუ კრიოფილუმების მეშვეობით მივილი რესპუბლიკის საყვარელი მსახიობი გახდა. ხანგრძლივად და ნაყოფიერი მუშაობისათვის ჭიათურის თეატრის ორივე აღსრულის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა:

„ჭიათურის თეატრის დიდი დამსახურება ისიცაა, რომ იგი მთელი თავისი არსებობის მანძილზე და განსაკუთრებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გამსვლილი სპექტაკლებით სამსახურს უწევს, როგორც რაიონის სოფლებს და მდღარობებს, ასევე დასავლეთ საქართველოს ყველა სარაიონ ცენტრებს და ზოგჯერ თბილისსაც ეწვევა ხოლმე. ჭიათურელები 1967 წლის ივნისსაც უწევინენ თბილისს და მავრებელს უწევინენ თავიანთი საუკეთესო დადგომები: დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ვ. ვიშნეკის „ოპტიმისტური ტრეაგედია“, გ. ხუჩაშვილის „ცხოვრება კაცისა“ და შ. როყვას „დედა“. გასული სეზონის დადგამთა შორის დიდი მოწონება ხვდა ა. ბელიაშვილის „შედეგაცას“ (რეჟ. თ. ალექიშვილი), გ. ვამსახურეიას ცნობილი რომანის ინსცენირებას — „მთვარის მოტაცებას“ (რეჟ. ნ. დვისაძე) და სხვ.

თეატრს, რომელმაც ასეთი დიდი და სახელოვანი შემოქმედებითი გზა გახვალთ და მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა ჭიათურის მუშათა მოძრაობის ისტორიაში, კვლავ შემდგომ წინსვლასა და წარმატებებს ვუსურვებთ.

# ქართული ხელოვნებათმცოდნეობის უეკეპლეკელი

კახტანგ დოლიძე

86811

ქართული ხელოვნების გამოჩენილ ისტორიკოსს, მცოდნე აკადემიკოს გიორგი რუბინაშვილს ოთხმდებარე წელი შეუსრულდა. ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე იგი დაუცხრომლად იღვწის სამეცნიერო ასპარეზზე. მისმა მრავალრიცხოვანმა შრომებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ქართული ხელოვნების ისტორიას და დიდი როლი შეასრულეს მრავალსაკუთრებანი ქართული კულტურის შესწავლისა და სწორად გაგების საქმეში.

მომავალი მეცნიერი განათლებულ, მოწინავე ოჯახში იზრდებოდა. მისი პაპა — დავით რუბინაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ისტორიის კათედრის პროფესორი იყო და დიდი ქართულ-რუსული ლექსიკონის შემდგენელი. გიორგის მამა — ნიკოლოზი სალოქო სასამართლოს წევრი იყო; ცოლად ჯავახაშვილის ქალი ჰყავდა, რომლის დედა (გიორგის ბებია) ლერმონტოვის ასული იყო (პოეტ მ. ი. ლერმონტოვის ნათესავი). ბავშვი კულტურულ გარემოცვაში იზრდებოდა. სკოლისთვის მას ბებია ამზადებდა — დავითის ქვრივი კვატერინე სირეთოსკი, საქართველოსა და ქართველებისადმი დიდი სიმაპითი გამსჭვალული ქალი. ოჯახში გერმანულის მასწავლებელი ქალიც ჰყავდა და ეს ენა გიორგიმ პატარაობიდანვე შეითვისა.


პეტერბურგის გერმანულმა სასწავლებელმა ბერი რამ მისცა ახალგაზრდა გიორგი რუბინაშვილს — საიმედო საფუძველი ჩაუყარა მის პირველდაწყებით განათლებას, გააღრმავა მისი კულტურა, გამოუშუშავა სერიოზული მუშაობის ჩვევები. მაგრამ მომავალი მეცნიერული და საზოგადოებრივი ინტერესების შემუშავებისათვის არსებითი მნიშვნელობა მაინც ოჯახს ჰქონდა. იგი ადრევე დაინტერესდა გიორგი პაპის მდიდარმა ბიბლიოთეკამ, რომელშიც მრავალი ლექსიკონი, ქართველოლოგიური ნაშრომი და თვით დავითის ნაბეჭდი შრომები იყო. ათი-თორმეტი წლის გიორგი დავითის ქართულ გრამატიკასა და ლექსიკონს ჩაუკვდა და თვითონვე შეისწავლა ქართული წერა-კითხვა.

რუბინაშვილებთან თავს იყრდა ქართველი სტუდენტობა. დიდი მეცნიერის ოჯახს არ ივიწყებდნენ დავითის ძველი ნაცნობ-მეგობრებიც, ქართველი მოღვაწეები, რომლებიც დროდადრო ჩაილოდნენ პეტერბურგს. ყველაფერი ეს ადვილებდა გიორგის ინტერესს შორეული სამშობლოსადმი.

ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე იყო გიორგი, როდესაც პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაიწყო სისტემატური მეცადინეობა — გარდა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა, მას იზიდავდა ფილოსოფიისა და, უმეტესად, ფსიქოლოგიის საკითხები. სწორედ ხალხმა ფსიქოლოგიის შესწავლის სურვილმა აარჩევინა მას ლაიფციგის უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის პერიოდში გიორგი რუბინაშვილმა ხელოვნების ძეგლების გასაცნობად იმოგზაურა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, შვეიცარიისა და იტალიის ქალაქებში. აქ მან საფუძვლიანი მომზადება გაიარა ხელოვნების ზოგად ისტორიაში.

ლაიფციგში ყოფნის უკანასკნელი პერიოდი გიორგი რუბინაშვილმა უმეტესად დისერტაციაზე მუშაობას მიაწოდოდა. 1914 წელს მას მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის წოდება. უკვე იმ წლებში გ. რუბინაშვილმა დრამად მოფიქრებული პროგრამა დაისახა სამეცნიერო კვლევისათვის სომხეთსა და საქართველოში. თავის შემდგომ მუშაობაში მეცნიერს არ შეუწყვეტია სომხური და ქართული ხუროთმოძღვრების პარალელური შესწავლა. თბილისში იგი საბოლოოდ 1917 წელს ჩამოვიდა, როგორც კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის წევრი.

1918 წელს მეცნიერი მიიწვიეს ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგედ. გ. რუბინაშვილის ინიციატივით კათედრასთან დაარსდა ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი, რომელიც მალე ქართული ხელოვნების მეცნიერული შესწავლის





მინასალმუბელ სიტყვას წარმოთქვამს აკადემიკოსი აკაკი შანიძე.

აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი


ნამდვილ ცენტრად გადაიქცა. შემდგომში გ. ჩუბინაშვილი კვლევით მუშაობას განაგრძობდა ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რომელსაც ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტის ფუნქციები გადაეცა, ხოლო შემდეგ — ხელოვნების მუზეუმ „მეტეხში“. 1941 წელს გ. ჩუბინაშვილს ირჩევნ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მის პირველ თექვსმეტ წევრთა შორის და სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იმავე წლის 1 აპრილიდან, როდესაც ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი დაარსდა და შემდეგ ინსტიტუტად გარდაიქმნა, გიორგი ჩუბინაშვილი მისი შეუცვლელი დირექტორი.

გიორგი ჩუბინაშვილის ღვაწლი ქართული ხელოვნების შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია. საბჭოთა ხელოვნების დამყარებამდე ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, საქართველოში არ არსებობდა. საქართველოს სიძველეთა შესწავლა ცალკეულ პირთა ან საზოგადოებების ინიციატივით ტარდებოდა. ქართველმა, რუსმა და უცხოელმა მკვლევარებმა ქართულ სიძველეთა შესახებ დიდი მასალა დააგროვეს. ამ მხრივ დიუბუა დე-მონპერეს, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძეს, პ. უფაროვას, ნიკო მარის, ნიკოლოზ კონდაკოვისა და, განსაკუთრებით, ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი კარგადაა ცნობილი. მაგრამ თითქმის ყველა მკვლევარი თავისი სპეციალობით ისტორიკოსი ან ფილოლოგი იყო. ხუროთმოძღვრების, მხატვრობისა თუ ოქრომშენებლობის ძეგლები მათ აინტერესებდათ მხოლოდ როგორც ისტორიული დოკუმენტები, დამხმარე მასალა ისტორიის გასაშუქებლად, ხოლო როგორც ხელოვნების ნაწარმოები, იგი ყურადღების გარეშე რჩებოდა. მაშინ არავის უცდია ამ მასალის სისტემაში მოყვანა, დამუშავება ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით და ქართული ხელოვნების განვითარების მთლიანი სურათის დადგენა. გაურკვეველი იყო შუასაუკუნეთა ქართული ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპებიც კი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან საქართველოში შესაძლებელი გახდა კულტურული მემკვიდრეობის ღირსეული შეფასება, საკვლევ სამუშაოთა ფართოდ

შეხვედრის წინა წუთებში.





გაშლა და საჭირო სამეცნიერო კადრების მომზადება. იმ წლებში გ. ჩუბინაშვილი აწყოხს დიდ სიძნელეებთან დაკავშირებულ მრავალრიცხოვან ექსპედიციებს, რომლებშიც თვითონაც მონაწილეობს — მთებსა და ტყეებში მივიწყებული ხუროთმოძღვრული ძეგლების, ოქროშეკვლეობის შესანიშნავი ნიმუშებისა და კედლის მხატვრობის ფრესკათა-შესწავლისათვის, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მდიდარი მასალის დამუშავებაში. მან ფეხით მოიარა საქართველოს ყველა კუთხე, ძალიან დიდი მუშაობა ჩაატარა ფაქტობრივი მასალის დასაგროვებლად და მისი პირველადი სისტემატიზაციისათვის. გ. ჩუბინაშვილმა იმთავითვე დააინტერესა ისეთი სპეციალისტი, როგორიც იყო არქიტექტორი ნიკოლოზ სევეროვი (1887—1957). თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე ისინი ერთად მუშაობდნენ და განუყრელი მეგობრებიც იყვნენ. ნ. სევეროვმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების მეცნიერული აზომვა-ფიქსაციის საქმეში.

გ. ჩუბინაშვილი პირველი მეცნიერია, რომელმაც კრიტიკულად დამუშავა ისტორიული წყაროების მონაცემები ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ, დაათარია და დაავგუშა უმთავრესი ძეგლები და ამასთანვე გამოარკვია ქართული ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპები. მანვე პირველმა მიაქცია სერიოზული ყურადღება ქართულ ხალხურსა და საერო ხუროთმოძღვრებას. იგი იმთავითვე ხაზს უსვამდა ადგილობრივი, ძველი ხალხური ტრადიციების მნიშვნელობას მონუმენტური ხუროთმოძღვრების განვითარებისათვის. მისი რედაქციითა და შესავალი წერილებით გამოიცა ხუთი ალბომი, რომლებშიც ნახაზებისა და ნახატების სახით წარმოდგენილია ქართული გავრცელებული უძველესი ტიპის გლეხური საცხოვრებელი სახლის — დარბაზის ნიმუშები, რომლებიც აღარ არსებობენ. ადრევე გამოქვეყნებული ნაშრომი — „ქართული საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში“ (1923 წ.) კახეთის ძველი სასახლეების შესწავლას მიეძღვნა. მაგრამ უმთავრესი ყურადღება მეცნიერმა შუასაუკუნეების მონუმენტურ ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპურ ძეგლებს

მიაქცია. თავისი კვლევის პირველ ობიექტებად მან ჯერ ქართული ბაზილიკები ირჩია, შემდეგ მცხეთის ჯვარი და მისი ტიპის ძეგლები, აგრეთვე გუმბათოვანი ტაძრები ოთხი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბოძით, ტიპი, როლისი ადრეული დასრულებული ნიმუში — წრომის შესანიშნავი ტაძარია. ამ სამი ტიპის ძეგლებში მოველი სინრულით გამოჩვენდა ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი ძალა და ქართული ხელოვნების მკაფიოდ გამოკვეთილი ორიენული სახე. ყველა ჩამოთვლილი ჯგუფის თაობაზე დაწერილი შრომები და აგრეთვე კახეთის უძველესი ხუროთმოძღვრების შესწავლისას მოგროვებული მასალა საფუძვლად დაედო გიორგი ჩუბინაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორიის“ პირველ ტომს, რომელიც 1936 წელს გამოვიდა. იგი მოიცავს ადრინდელი ფენოლოგიის ხანას (IV საუკუნიდან VII-VIII საუკუნეებამდე). აქ უმეტესი ადგილი ეთმობა ხუროთმოძღვრებას, განხილულია აგრეთვე დეკორატიული ქანდაკებისა და მოზაიკის ნიმუშებიც. მრავალი ნაშრომი მიეძღვნა ხუროთმოძღვრების განვითარების უფრო გვიანი ეტაპის ძეგლებს.

საქართველოს არქიტექტურათა კავშირის პირველ ყროლობაზე (1936 წ.) გიორგი ჩუბინაშვილმა წაიკითხა დიდი მოხსენება — „ქართული არქიტექტურის სახეობა“, რომელიც ცალკე წიგნად დაიბეჭდა. ამ ნაშრომში განსოვადებულია ავტორის მრავალი წლის მუშაობის შედეგები და წარმოდგენილია მრავალსაკუნოვანი ქართული ხუროთმოძღვრების მთლიანი სურათი, მთელი ისტორიული გზა, განვითარების პრიციპი თვით ჩვენს დრომდე.

ორმოციანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული გიორგი ჩუბინაშვილი სისტემატურად აქვეყნებს უნიშვნელოვანესი კვლევის შედეგებს, სამეცნიერო სესია-კონფერენციებზე წაიკითხული მოხსენებებისა და მრავალი პუბლიკაციის სახით. ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის ხუროთმოძღვრების შესწავლის დარგთან ყველაზე მნიშვნელოვანია დიდი, ორტომიანი მონოგრაფია — „კახეთის არქიტექტურა“ (1956 წ.).

ქართული ხელოვნების მეორე დარგი, რომელსაც გიორგი ჩუბინაშვილმა თავიდანვე განსაკუთრებული ყურად



ბატონი გიორგი მობრძანდა



იუბილარის მოლოდინში.

საიუბილეო სტუფრასთან.

ლება მიაკრო, ოქრომჭედლობაა. ისევე, როგორც ხუროთმოძღვრების დარგში, აქაც საჭირო იყო უამრავი ძველის თავმოყრა, დათარიღება და თვით განვითარების პროცესის გამოვლინება. ეს დიდი საქმეც იტვირთა და შვასრუელი გიორგი ჩუბინაშვილმა. მისი მრავალწლიანი კვლევების ბრწყინვალე დაგვირგვინებია ჯერ (1957 წ.) ვუბერთელა (ზომით 50x60 სმ) ალბომის გამოცემა, რომლის 200 ტაბულაზე ბევრი ნაწარმოები ოქრომჭედლობის ორიგინალის ზომითაა წარმოდგენილი ფოტოგრაფიულუქციების სახით. ალბომის შესავალი ტექსტი ხუთ ენაზეა დაბეჭდილი. შემდეგ დაიბეჭდა (1959 წ.) დიდი ორტომეული — „ქართული ოქრომჭედლობა“, სადაც გაშუქებულია შუასაუკუნეთა ოქრომჭედლობის ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხურები და ფუძემდებელი დებულებებია წამოყენებული. წიგნი სრულ წარმოდგენას ქმნის ამ დარგის ხასიათსა და ევოლუციასზე.

გიორგი ჩუბინაშვილის სამეცნიერო ინტერესები ხუროთმოძღვრებითა და ოქრომჭედლობით არ შემოიფარგლება. მონუმენტურ მხატვრობას მან დიდი ადგილი დაუთმო მონთრაფიამი დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრების შესახებ (1948 წ.), სადაც გარდა არქიტექტურისა, გამოქვაბულთა შესანიშნავი მოხატულობა განიხილული.

მეცნიერული თვალსაზრისით დიდია და განუზომელი გიორგი ჩუბინაშვილის კამიტალური მონთრაფიული გამოკვლევების, განხაზოვადებელი შრომების, მახვილი კრიტიკული წერილებისა და რეცენზიების მნიშვნელობა. მან პირველმა განიხილა ქართული ხელოვნება ქართული ხალხის ისტორიული ცხოვრებისგან მოუწყვეტლად, საქართველოს პოლიტიკურ, კონომიურ და სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებით. სწორედ მისმა შრომებმა ასწიეს ხელოვნებათმცოდნეობა საქართველოში ჩემმარტივი მეცნიერების დონემდე. პირველად წარმოგიდგინეს ქართული ხალხის შემოქმედებითი გენიის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამოვლენების — თვითმყოფადი, მდიდარი ხელოვნების თანმიმდევრული განვითარების ცოცხალი სურათი



და განსაზღვრეს ქართული ხელოვნების ადგილი მსოფლიო ხელოვნების წრეში.

გ. ჩუბინაშვილმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ხელოვნების ბევრ დარგში საქართველომ მთელი საუკუნით გაუსწრო შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპას და რომ სწორიდაა უსაფუძვლო ბურჟუაზიულ მცენებრებაში დამკვიდრებელი „თეორიები“ იმის შესახებ, რომ თითქოს ქართული ხელოვნება მხოლოდ ბიზანტიურის განშტოება იყოს.

გიორგი ჩუბინაშვილის გამოკვლევათა მნიშვნელობა მხოლოდ აღნიშნული თავისებურებებით არ ამოიწურება. მის გამოკვლევებში ქართული ხელოვნების ნიმუშები პირველად იქნა გახილული სწორედ ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით, სტილისტურად — პირველად გამოაქვამენ და მათი, როგორც ხელოვნების ნაწარმოებისა, დამოუკიდებელი ღირებულება და საცემი ფაქტორია.

გიორგი ჩუბინაშვილის მრავალწლიანი მეთოდური, მიზანდასახული შრომის წყალობით ნიადგი მომზადდა ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსებისათვის საჭიროების მცენებრებათა აკადემიის სისტემაში. თავისი არსებობის მესამილზე ინსტიტუტმა გამოიკვლია უამრავი ძველი არქიტექტურის, ობიექტდობის, კედლის მხატვრობის, ხელნაწერთა მორთულობისა და სხვ. შესწავლილი იქნა საქართველოს ცალკეული კუთხეები მთლიანად; დამუშავდა მონოგრაფიები ცალკეულ ძეგლებზე, მთელ ეპოქებზე. გამოიკვლიეს საქართველოს მეზობელი რაიონებიც უმეტესად ჩრდილოეთ კავკასია და დაღესტანი. კვლევა გაართოვდა. იგი გაყდა შუასაუკუნეზე: ურალთან იქცა, ერთი მხრივ, წინაფეოდალურ ხანას, მეორე მხრივ, ახალ ხელოვნებას (XIX ს.); ორმოცდაათიანი წლებიდან დიდი ადგილი დაეთმო. სამუთა ხელოვნების შესწავლას. როდესაც გ. ჩუბინაშვილი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებს დგამდა, ქართულ სიძველეებს წინაშე ცალკეული ენთუზიასტები იკვლევდნენ. დღეს გ. ჩუბინაშვილი მართლ აღარ არის, მას მხარში ამოუდგა მისი მიერვე აღზრდილი მკვლევართა მთელი თაობა. და, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, მან შექმნა ქართული ხელოვნების ისტორიისათა სკოლა.

შევე დიდი ხანია გ. ჩუბინაშვილი საყოველთაოდ ცნობილია როგორც მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი, იგი აღიარებულია დიდ ავტორიტეტად წინააღმდეგობისათვის სიძველეთა და ხელოვნების დარგში. ამ აღიარების მარჯვენა ისიცი, რომ 1959 წელს მისმა აღზრდელმა — ლაიფციგის უნივერსიტეტმა მიანიჭა პონიფის კაუხა (დამსახურებით) — ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი, „... იმისათვის, რომ, — ნათქვამია დიპლომის ტექსტში, — გამაადინა ჩვენს ცოდნა ქართული ხელოვნების შესახებ უღრმესი მეცნიერული ნაშრომებით, იმისათვის, რომ ხუთი ათწლეული წლის მანძილზე ერთგულად ენახებოდნენ ლაიფციგის უნივერსიტეტს, და ამით შევრა და განამტკიცა თავისი დიდი ჩვენს ერების მეცნიერებათა ურთიერთკავშირი...“

ფრიალ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გ. ჩუბინაშვილმა სომხური ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეშიც. მან ბევრჯერ მოაწყო სამეცნიერო კვლევადიციები სომხეთში. გაზომილი და გადაღებული აქვს მნიშვნელოვანი ძეგლები, გამოატყუვნა გამოკვლევები, წერილები, ნარკვევები, შენიშვნები და რეცენზიები. ბოლოს, 1967 წელს გამოვიდა მისი ვრცელი გამოკვლევა, სადაც გაშუქებულია სომხური არქიტექტურის განვითარების ძირითადი და ხაზი ადრეფეოდალური პერიოდთან მოყოლებული განვითარებული ფეოდალიზმის საწყის სტადიამდე (X ს. დასასრული და

XI — ს. დასაწყისი) ჩათვლით. აქ ღრმადაა გაანალიზებული თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე შერგოვებული მასალა ძველთა ქრონოლოგიური განლაგების დასაბუთებით.

გამორჩეილმა მეცნიერმა დიდი ყურადღება დაუთმო ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმესაც. მისი ხელმძღვანელობით მოწყობილი იყო ქართული ხელოვნების შრავალირცხოვანი გამოფენა თბილისში (1920, 1923, 1925, 1935...), ხოლო 1930 წელს მოწვეო გამოფენები გერმანიის ოთხ დიდ ცენტრში — ბერლინში, კელნში, ლაიპციგსა და მიუნხენში. ეს იყო ქართული ხელოვნების პირველი დიდი ჩვენება უცხოეთში. გამოფენა ფიცავდა არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, ობიექტდობის, ხელნაწერთა და ხატვარგობის ნიმუშებს და იძლეოდა ქართული ხელოვნების განვითარების სურათს IV-დან XVIII საუკუნეებზე. გამოფენის მომზადებისა და ექსპოზიციის ხელმძღვანელი გ. ჩუბინაშვილი იყო. მასვე მომზადდა გამოფენისათვის დასურათებული წიგნი, რომელიც: გარდა კატალოგისა, მთავრებული იყო წერილებით — ქართული ხელოვნება და მისი განვითარების ამოხსენები; შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების გამოფენის ექსპოზიციის სასაითი და შესადგებლობა. მთლიანად გამოფენას დიდი წარმატება ხვდა ფართო საზოგადოებაში, რასაც ხელს უწყობდა, როგორც ღრმად გააზრებული, მიმზიდველი ექსპოზიციის, ასევე გ. ჩუბინაშვილის მიერ გერმანულ ენაზე უნაკლოდ წაითხული რამდენიმე მოხსენება ქართული ხელოვნების შესახებ. მოხსენებები დამთავრების შემდეგ დამსწრე საზოგადოება თავის კმაყოფილებას მხურვალე ტყუიტი გამოხატავდა. გამოფენამ და გ. ჩუბინაშვილის მოსტვენებებსა ფართო გახიზნაშუება მიიყვანა გერმანულ პრესასა და სამეცნიერო ჟურნალებში. საერთო ინტერესს გამოიყენის მიმართ მია უფრო დიდი იყო რომ მათი ქართული ხელოვნება და თვით საერთაშორელო უმრავლესობისათვის ახალი აღმოჩენა იყო. ამიტომ გამოფენის შედეგებს, რა თქმა უნდა, როგორც მეცნიერული ასევე პოლიტიკური მნიშვნელობაც კიხობდა.

დიდი და ჩუბინაშვილის დამსახურება პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. იგი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი და პირველი (1922-1928 წ.) რექტორი, საქართველოს კულტურის ძველთა თავმჯდომარის, დაცვის, რესტავრაციისა და სამუზეუმო საქმის ორგანიზაციის ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი. ომის შემდგომი წლებიდან დღემდე გ. ჩუბინაშვილი აქტიურად მონაწილეობს კულტურის ძველთა დაცვის საქმეში. იგი სამეცნიერო აკადემიისათვის არსებული კულტურის ძველთა დაცვის სამეცნიერო მეთოდური სამსახურსა და საქართველოს კულტურის ძველთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრია. მის მრავალმხრივ ცოდნასა და გამოცდილებას ყველაფერ უღირსი სარგებლობა მოაქვს.

დღეს გიორგი ჩუბინაშვილის ღვაწლი საქვეყნოდაა აღიარებული — იგი დაჯილდოებულია ორდენებით, მინიჭებული აქვს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, 85 წლის მცოკან მეცნიერს შენარჩუნებული აქვს სულიერი მხნეობა, შრომისმოყვარეობის სამაგალითი უნარი, მკვლევარი მეცნიერის ნათელი და ფხიზელი გონება. დღევანდელთა ვუსურვო დიდ მეცნიერს, აღმზრდელს, ხელმძღვანელსა და საზოგადო მოღვაწეს — გიორგი ჩუბინაშვილს.



არჩილ ქურდიანი.

# არჩილ ქურდიანი — სსრკ სახალხო არქიტექტორი

დიდი ნამდვილი მოქალაქის ვალი სამშობლოს წინაშე. მისი მიზნები, ფიქრები, შრომაში დახარჯული ყოველი საათი ხალხის კეთილდღეობას ემსახურება. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი ქართველი არქიტექტორი არჩილ ქურდიანი, რომელმაც შემოქმედების რთული და სახელოვანი გზა განვლო.

არჩილ ქურდიანს სამოღვაწეო ახპარეზზე გამოსვლა მაშინ მოუხდა, როდესაც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა საბჭოთა არქიტექტურა. ეს იყო შეუწელებელი ძიებებისა და ექსპერიმენტების პერიოდი.

საქართველოშიც დაიწვა საკითხი

ეროვნული არქიტექტურის ტრადიციების გამოყენება-განახლების შესახებ. ეს პატრიოტული მისია მაშინ მცირერიცხოვან ქართველ არქიტექტორებს დაეკისრათ; მათ შორის იყო არჩილ ქურდიანიც. მას მრავალი საინტერესო პროექტი შეუქმნია, რომელთა უმეტესობას ხორცი შეუსხამს და საერთო მოწონება დაუმსახურებია.

სტუდენტობის წლებში ახალგაზრდა არქიტექტორს ვაკის საცდელ-საჩვენებელი რაიონის დაგეგმარების პროექტი გაუკეთებია. კონკურსში წარდგენილი სხვა პროექტებისაგან იგი ფორმის სისადავითა და გასაო-

ცარი არქიტექტურული მიგნებით გამოირჩეოდა და გამარჯვებაც მას ხვდა წილად.

ა. ქურდიანის მრავალ ნამუშევართა შორის ყურადღებას იპყრობს დინამოს სტადიონის პროექტი, რომლის შექმნაში დაეხმარა მხატვარი პ. პრინეცკი და პროფ. ა. კალგინი. ამ საინტერესო პროექტის შექმნისას ნიჭიერ ხელოვანში გამოვლინდა ეროვნული ხუროთმოძღვრების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, რომელსაც ორგანულად ერწყმოდა თანამედროვე არქიტექტურის ფორმები, ხაზები.

1936 წელს არჩილ ქურდიანს თბილისის მთავარ არქიტექტორად ნიშნავენ. მისი დამსახურებაც არის, რომ დღეს თბილისი განახლებული და გაფართოებულია.

1938 წელს ა. ქურდიანმა არქიტექტორ გ. ლევაქსთან ერთად საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოყენის საქართველოს პავილიონის დიდებული პროექტი შეადგინა და განახორციელა კიდეც, რაშიც სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა და ლენინის ორდენი დაიმსახურა.

არჩილ ქურდიანის პროექტით გორში აშენებულია მუზეუმი და სასტუმრო „ინტურისტა“.

1948 წელს მას საკავშირო არქიტექტურისა და მშენებლობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩევენ, 1950 წელს კი — ნამდვილ წევრად.

1964 წელს მადლიერმა ქართველმა ხალხმა ა. ქურდიანს დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 35 წლისთავი გადაუხადა.

ღვაწლმოსილი ხელოვანი დღესაც ახალგაზრდული ენერჯითი განაგრძობს მუშაობას და ზრდის ქართველ ხუროთმოძღვართა ნიჭიერ თაობას.

ახლახან სახელოვან შემოქმედრის წოდება მიენიჭა.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია გულთბილად მიხსალმება არქიტექტორს და ულოცავს ამ საპატიო წოდებას.



# ზურაბ სოტკილავას ახალი

მანანა ახმეტელი

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენს დედაქალაქში სწრაფად გაერყელდა ცნობა ახალგაზრდა ქართველი მომღერლის ზურაბ სოტკილავას ახალი წარმატების შესახებ. ძალზე საინტერესო და საგულისხმო იყო ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი, რომელიც ზ. სოტკილავას ბრწყინვალე გამარჯვებამ აღძრა. ჩვენი თანამემამულენი განსაკუთრებული მიღწევებით, პატრიოტიკული განცემით, სიამაყითა და მადლიერებით აუწყებდნენ ერთმანეთს ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გამართულ ვოკალისტთა VIII საერთაშორისო კონკურსის შედეგებს. დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ამ კონკურსზე ზურაბ სოტკილავამ პირველი პრემია და ოქროს მედალი მოიპოვა. ერთი სიტყვით, თვალსაჩინო იყო ის მხურვალე, ერთსულოვანი გამოძახილი, რომელსაც მხოლოდ დიდი მნიშვნელობის ეროვნული მოვლემები აღძრავენ. თვალსაჩინო იყო ის განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება, რომელიც მხოლოდ ნამდვილი ტალანტის წილხვედრია. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივ აზრში, მის პიროვნულ დამოკიდებულებაში მოცემულია ხელოვნების ნიჭის, ოსტატობისა და მოწოდების ყველაზე ობიექტური შეფასებაც ამრიგად, ზ. სოტკილავა თავისი არტისტული კარიერის ძალზე საინტერესო და მიღწევარე პერიოდს განიცდის, იგი თითქოს თავისთავად და ბუნებრივად შედის ნამდვილი აღიარებისა და ამსთან დიდი ვალდებულებების სამყაროში. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ მისი აღიარება სცილდება ლოკალურ საზღვრებს — ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს. იგი თანდათან საკავშირო და ალბათ მალე საერთაშორისო მასშტაბებს მიაღწევს.

ასეთ გაბედულ განცხადებას თავისი საფუძველი გააჩნია — ამაზე მეტყველებს თავად ზურაბ სოტკილავას შემოქმედებით მოტენცია, ან უფრო სწორად, ნიჭიერებათა კომპლექსი, რომლის პარმონიულ მთლიანობაში ურთიერთს ამდიდრებენ შინაგანი მგზნებარებით ანთებული უღამაზენი ხმა და უადრესად მგრძობიარე მუსიკალური ბუნება. არტისტული ვატაცება და ღრმა განცდა... მის სიმღერაში დაუსრულებლად მოქმედებენ უხმრისი ემოციური რხევები, ასევე დაუსრულებლად ფეთქებენ პოეტური ლირიზმის, ტემპერამენტისა თუ ექსპრესის გადმომცემი მხატვრული იმპულსები.

ამ გაბედული პროგნოზის საშუალებას გვაძლევს აგრეთვე ზურაბ სოტკილავას შედარებით ხანმოკლე შემოქმე-


დებით ბიოგრაფია, რომელიც ინტენსიური წინსვლისა და შეუწყნებელი წარმატებების მაგალითია. თვალსაჩინოებისათვის შეგახსენებთ ზ. სოტკილავას არტისტული გზის ძირითად მომენტებს. 1965 წელს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის V კურსის სტუდენტს — ზ. სოტკილავას ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე კონკურსზე პირველი პრემია მიენიჭა. 1966 წელს ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე შედგა მისი ბრწყინვალე დებიუტი პუჩინის „ტოსკაში“. შემდეგ ზ. სოტკილავა ორი წლით მივლინებული იქნა მილანის სახელგანთქმული „ლა-სკალას“ საოპერო თეატრში სტაჟირად, სადაც სრულყოფად სამომღერლო ოსტატობას გამოჩენილ იტალიელ პედაგოგთან ჯენარო ბარსათან.

1968 წელს ზ. სოტკილავამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სოფიის სახელმწიფო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX ფესტივალზე. მან პირველი პრემია და სპეციალური ოქროს პრიზი მოიპოვა. აქვე აღვნიშნავ ზ. სოტკილავას შემოქმედების ერთ ძალზე მნიშვნელოვან მხარეს — მოქმედებით გზის დასაწყისშივე ორი მიმართულებით წარიმართა მისი მოღვაწეობა. ეს გახლავთ საოპერო კამერული შესრულებლობა. მუსიკალური ხელოვნების ორი განსხვავებული ქანრის შეთავსება ძალზე რთულია უდავოდ მეტყველებს მომღერლის ფართო შემოქმედიააზონზე, მხატვრული ინტერესების მრავალმხრივ ამიტომ, რომ ზ. სოტკილავა მუდამ მზად არის მიერი კონკურსისათვის. ამის საშუალებას მას საპერო, საოპერო და კამერული მუსიკის მრავალ ნაწარმოებს. იგი ვატაცებით მღერის დასავლეთ ევროპისა და რუს კომპოზიტორთა რომანსებს, ვოკალურ ციკლებს, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, საოპერო არიებსა და უძველეს ქართულ ხალხურ თუ ნეაპოლურ სიმღერებს...

ზ. სოტკილავას შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიმკვიდრებს 1970 წელი, თუნდაც იმიტომ, რომ გაფართოვდა მისი საგანტროლო გამოსვლების არე. იგი გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე — დიდი წარმატებით მღეროდა ლინდონში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მაგრამ გასული წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი დიდი გამარჯვების გამო. ზაფხულში მან მონაწილეობა მიიღო მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა IV საერთა-

# გამარჯვება

ზ. სოტკილავა.



...ხარსში. ეს კონკურსი კი თავისი მაღალი პრო-  
... მხატვრული კრიტერიუმების გამო განსაკუთ-  
... უბუტაციით სარგებლობს მუსიკალურ სამყაროში.  
... კობილია, რომ ზ. სოტკილავას სიმღერამ წარუშლელი  
... თაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე, ყოველი მისი  
... გამოსვლა მქუხარე აპლოდისმენტებსა და მსმენელთა ერთ-  
... სულოვან აღფრთოვანებას იწვევდა.

ბუნებრივია, რომ ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის შე-  
დეგებმა ზ. სოტკილავა განსაკუთრებული პასუხისმგებლო-  
ბის წინაშე დააყენა. მას უნდა დამტკიცებინა მუსიკოსთა  
იმ ელიტისათვის, რომელმაც მეორე პრემია და ვერცხლის  
მედალი მიანიჭა, რომ მისი ბედი ამ კონკურსზე უცნაურმა  
შემთხვევითობამ გადაწყვიტა. გარდა ამისა, მას უნდა გა-  
ნემტკიცებინა არა მარტო საკუთარი ავტორიტეტი, არამედ  
ქართული სამომდერლო ხელოვნების მაღალი პრესტიჟიც.  
მართლაც, ზ. სოტკილავამ ყოველივე ეს ღირსეულად გა-  
ნახორცილა უნგრეთში ჩატარებულ საბჭოთა ხელოვნების

დეკადაზე, რომელზედაც ძირითადად ჩაიკოვსკის კონკურ-  
სის ახალი ლაურეატები მონაწილეობდნენ. როგორც უნ-  
გრეთის პრესა იუწყებოდა, ზ. სოტკილავას გამოსვლამ ნამ-  
დვილი სენსაცია მოახდინა.

შემდგომ ზ. სოტკილავა ესპანეთში გაემგზავრა, სადაც  
ჩაიკოვსკის კონკურსის ლაურეატთან, პირველი პრემიის  
მფლობელ ელენა ობრაძცოვასთან ერთად ბარსელონის  
ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა VIII საერ-  
თაშორისო კონკურსში ჩაება. მართალია, ეს კონკურსი რი-  
გით მერვეა, მაგრამ მანამდე მასში არც ერთ საბჭოთა ვო-  
კალისტს არ მიუღია მონაწილეობა. ეს ფაქტიც განსაკუთ-  
რებული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებდა საბჭოთა  
მომღერლებს. ამავე მიზეზების გამო ჩვენთვის მანამდე არ  
ეყო ცნობილი ბარსელონის პეექრობის საკონკურსო რი-  
ტუალი.

მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონის კონკურსი მხო-  
ლოდ 1962 წელს დაარსდა, მან უკვე ფართო აღიარებას

მიადლწია დასავლეთში. იგი ვედლებმა გამოჩენილი ესპანელი ტენორის ფრანსისკო ვინასის ხსოვნას. ამ მომღერალს მიეძღო ქოტა შეუქმნია ესპანეთის სამომავლო ხელოვნებაში და განსაკუთრებით ცნობილი იყო ვაგნერის საოპერო პარტიების ბრწყინვალე შესრულებით.

კონკურსს ერთი თავისებურება გააჩნია — მისი ორგანიზატორები იწყვენ იმ პროფესიონალ-მომღერლებს, რომლებსაც სხვადასხვა უკვე მიუღიათ მონაწილეობა რომელიმე ქვეყნის მხანა კონკურსში და დაიღვლებული არიან პრემიით, პრიზით ან დიპლომით მაინც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბარსელონაში მიმდინარეობს პაექრობა საუკეთესო მომღერლებს შორის, რაც, თავის მხრივ, ამ კონკურსის სიწრფელზე მეტყველებს. საკონკურსო ვიურის შემადგენლობაში მუდამ შედიან ევროპის ავტორიტეტული მომღერლები და იმპრესარიოები. გარდა ამისა, ფრანსისკო ვინასის კონკურსში გამარჯვებულს ფართოდ უხსენებთ გზა დიდ საშემსრულებლო ასპარეზზე, იგი იძლევა ვიზას ევროპაში ყველაზე აღიარებულ ვიდეოფესტივალს, ზალცბურგის (იგი კარაინის სახელით არის ცნობილი) და ბარსელონის ყოველწლიურ ფესტივალებში მონაწილეობისათვის. აგრეთვე იძლევა ანგაემენტს ესპანეთში ერთადერთ ბარსელონის საოპერო თეატრში.

ფრანსისკო ვინასის კონკურსში მონაწილე მომღერლებში სამ კატეგორიად იყოფიან. ასე მაგალითად, კატეგორია A-ში შედიან ორატორიული მომღერლები, კატეგორია B-ში — კამერული, კატეგორია C-ში — საოპერო მომღერლები. საკონკურსო პროგრამაც ძირითადად ამ კატეგორიების მიხედვით უნდა იყოს შედგენილი. მაგალითად, A კატეგორიის მომღერლის რეპერტუარში ძირითადად შეტანილია ფრაგმენტები ორატორიულიდან. კანტატადან თუ მესიდან, გარდა ამისა, მან უნდა იმღეროს რამდენიმე კამერული ნაწარმოები და საოპერო არცა. B კატეგორიის მომღერალი ძირითადად ასრულებს კამერულ ციკლებს და პარალელურად მღერის ორატორიულსა და საოპერო ნაწარმოებებსაც. C კატეგორიის მომღერლის რეპერტუარში წამყვანია საოპერო არიები, თუმცა მის პროგრამაშიც უნდა იყოს შეტანილი კამერული და ორატორიული ნაწარმოებები. ერთი სიტყვით, ბარსელონის საკონკურსო პრინციპი უნივერსალურ მითხველობებს უყენებს შემსრულებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სამი კატეგორიისათვის არ არის გამოყოფილი ცალკეული პრემიები. დაწესებულია ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამი საერთო პრემია. ამავე პრინციპით მიმდინარეობს პაექრობა მომღერალ ქალთა შორისაც.

ბარსელონის კონკურსის სამი ტურისაგან შედგება. განსაკუთრებით საინტერესოა პირველი ტურისათვის დაშაბასიათებელი რიტუალი. ამ ტურს მამყნელი არ ესწრება. მომღერალი და ყიური კი ერთმანეთს ვერ ხედავენ, რადგან ვოკალისტი იმყოფება ფარდის მიღმა. ყიურისათვის არ არის ცნობილი მისი ვინაობა, მომღერალი გამოდის კენჭისყრის შემდეგ მიზნჭებული ნომრით. მიმზე სავერდის ფარდის იქით სიღერა ძალზე ერთლი და იქნებ უცხარადაც იყოს, მაგრამ ამ გზით ყიური ამოწმებს კონკურსანტის ხმის

ხარისხს, მის ძალას, ტემბრს, ბგერის გამძლეობას და ა. შ... მეორე ტურზე მომღერლები პირველად ხედებიან პირისპირ აუდიტორიასა და ყიურის. მსმენელს არ ჰქვს საკუთარი ემოციებისა და რეაქციის გამოხატვის უფლება. მესამე ფინალური ტურია, რომელიც წყდება კონკურსანტის ბედი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბარსელონის ვოკალისტთა კონკურსს თავისი პროფესიული და მსატკრული კრიტერიუმები გააჩნია. პრემიების განაწილება ვოკალისტთა ნების, ისტატობისა და მუსიკალობის ერთმანეთთან შედარების პრინციპით არ ხდება. ამიტომაც წინამორბედ კონკურსებზე პირველი პრემია მხოლოდ სამჯერ იქნა გაცემული.

მიმდინარე წელს ბარსელონის კონკურსის პირველ ტურში ერთმანეთს ეჯიბრებოდა 19 ქვეყნის 60 წარმომადგენელი, იყვნენ ვოკალისტები იტალიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბულგარეთიდან, იაპონიიდან, ბელგიიდან და სხვა. მეორე ტურში მონაწილეობდა 36 შემსრულებელი, მესამეში გაყდა 16 ვოკალისტი — 8 ქალი და 8 ვაჟი. ამჯერად ყიურის შემადგენლობაში იყვნენ გამოჩენილი მუსიკოსები — მათ შორის ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი პიკინი, სახელგანთქმული კონცერტმასტერი ჯერალდ მური, სახელგანთქმული მომღერლები ჟანინ მიმო, კონჩიტა ბატია და სხვები.

ზურაბ სოტიკილავასთან ერთად ბარსელონაში გაემგზავრა შესანიშნავი ქართული კონცერტმასტერი, ღრმა და დახვეწილი მუსიკოსი ვაჟა ჩაჩავა, აღსანიშნავია, რომ ზ. სოტიკილავა მასთან ამზადებს თავის კამერულ რეპერტუარსა და საოპერო პარტიებსაც, ესტარდაზე კი ისინი ქმნიან მაკლამსტერულ ასსამბლს, ნამვილ მუსიკას. უთუოდ მოვლენათა ბედნიერ მსვლელობას უნდა მივაწეროთ ვ. ჩაჩავას გამოჩენა საკონცერტო ესტარდაზე, მაშინ როდესაც ჩვენში ადენი ნიჭიერი მომღერალი მოღვაწეობს, სწორედ ვ. ჩაჩავა დიდად უწევს ხელს საქართველოში კამერულ-ვოკალური შემსრულებლობის აღმავლობას, მიიღვებს ამ ჟანრის მაღალი პროფესიული დონისა და ჩვეუმიარტი მსატკრულობისაკენ, ამიტომ არის, რომ ვ. ჩაჩავამ შესანიშნავი კონცერტმასტერის ავტორიტეტი მოიხვეჭა. იგი მუდამ იმყოფება საკონცერტო აუდიტორიის ყურადღების ცენტრში. ამჯერადაც ვ. ჩაჩავამ თავისი შთაგონებული ხელოვნებით დიდი სამსახური გაუწია ზ. სოტიკილავას და ბარსელონის კონკურსის ყიურისა და ესპანური პრესის ღირსეული ქება დაიმსახურა. ამ კონკურსზე ზ. სოტიკილავას პროგრამაში იყო: ჩაიოვსკის, სკარლათის, რ. შტრაუსის, პ. ლოლეს, ო. თაქტაქიშვილის ნაწარმოებები, აგრეთვე არიები ოპერებიდან: „კარმენი“, „ანდრე შენიე“, „მანონ ლესკო“. დიდი წარმატება ხვდა წილად უმცირეს ქართულ ხალხურ სიმღერას „სისატრას“ (კომპოზიტორ გრ. კოკეაძის მიერ დამუშავებული).

აღსანიშნავია, რომ ესპანეთის პრესა ოპერტიკულად და მხურვალედ ეხმარებოდა ფრანსისკო ვინასის სახელობის კონკურსის მსვლელობას. ავტორიტეტული კრიტიკოსები ერთხმად ასხამდნენ ხოტბას ზ. სოტიკილავას ხმას, მუსიკალობის, ტექნიკის, მოვყავას რამდენიმე ამონაწერი ესპანური ჟურნალ-გაზეთებიდან: „რუსეთი მუდამ იყო დიდ მე-

სიკოსთა სამშობლო და ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირ-  
თან ურთიერთობა კეთილშობილ მიზნებს ისახავს, ჩვენ  
თვალნათლივ გაეხდით ამის მოწმენი. მხედველობაში  
გვაქვს ორი ახალგაზრდა მომღერლის მონაწილეობა წლე-  
ვანდელ კონკურსში. მათ მსმენელი დაიპყრეს არტისტიზ-  
მითა და ბუნებით მომადლებული ნიჭით. ზ. სოტიკილავას  
ხმას ახასიათებს სიძლიერე, გამომსახველობა და ექსპრესიუ-  
ლობა, რაც აყვებულა საოპერო სცენის ყველა დიდი  
მომღერლისათვის. იგი მღერის მგზნებარედ, მთელი გუ-  
ლით, არასა და იგრძნობა სიყალბე და ჩვენ არ გაგვიკ-  
ვირდება, თუ ზურაბ სოტიკილავას ვიხილავთ დიდების მწვე-  
რვალზე სხვა საუკეთესო მომღერლებთან ერთად. ვისთვის-  
საც იბრძვის ყველა საოპერო თეატრი, რათა ჰყავდეს „ბელ  
კანტოს“ ასეთი ვარსკვლავი“...

„ნამდვილი ხენსაცია ხუთშაბათს საღამოს, მეორე ტურ-  
ში მოხდა. დარბაზი ავესო ფაქიზსა და მომთხონენ მსმე-  
ნელს და უკებ... „გასკდა ყუმბარა“. კონკურსის მონაწი-  
ლემ 55-ე ნომრით, რომელზედაც ამ წუთამდე არავინ არ  
ლაპარაკობდა, მოხიბლა ყველა. ზ. სოტიკილავას იშვიათმა,  
დამყოლმა და ძლიერმა ხმამ ანდრე შენიეს იმპროვიზა-  
ციის შესრულებისას მოლოდინს გადააჭარბა, იქუსა ასეთ  
კონკურსზე აკრძალულმა ტაშმა. მომღერალი უმაღლე აღ-  
მონდა პაექრობის დანარჩენი მონაწილეებისათვის მიულ-  
წვეულ სფეროში. მთელი დარბაზი ერთიანად წამოღგა  
ფეხზე. ჟიურის თავმჯდომარე იძულებული გახდა წინას-  
წარ გაუთვალისწინებელი შესვენება მოეწყო, რადგან ამ  
პირობებში კონკურსის გაგრძელება აღარაფრით შეიძლე-  
ბოდა“.

„ზურაბ სოტიკილავა არის ერთი იმ საუკეთესო ტენორ-  
თავანი, რომელიც კი ბარსელონაში მოგვისმენია ამ ბო-  
ლო წლებში. მან ბრწყინვალედ შეასრულა დე გრიეს არია  
„მანონიანი“, ანდრე შენიეს იმპროვიზაცია. იგი არის ყვე-  
ლა თვისებით შემკული ტენორი. მას აქვს ულამაზესი ტემ-  
ბრი, დიდი დიაპაზონი (ყველა რევისტრიში რომ თანაბარი  
სიძლიერით ფერს) და უზღვაგი ენერჯია. საბჭოთა ქვეყ-  
ნის წარგზავნილები დიდი პროფესიონალიზმით გამოირ-  
ჩეოდნენ და კიდევ მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვე-  
ბა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო“.

„ზურაბ სოტიკილავა მღერის ისე ლაღად და სუფთად,  
როგორც მართი დელ მონაკო და დი სტეფანო მღერობდნენ  
თავიანთ საუკეთესო წლებში. ეს მსავსება იმას არ ნიშნ-  
ობს, რომ საბჭოთა მომღერალს თავისი სტილი არ გააჩ-  
ნია. მის სიმღერაში მეტი ძალა აქვს სიტყვასა და ფეხქტს.  
ამაში ჩვენ დავრწმუნდით ანდრე შენიეს იმპროვიზაციისა  
და „კარმენის“ არის შესრულების დროს“.

კონკურსის შემდეგ ე. ობრაზცოვამ და ზ. სოტიკილავამ  
გამართეს კონცერტი, რომელმაც კიდევ უფრო მეტად აღა-  
ფრთხოვანა ესპანელები. საბჭოთა მომღერლებმა მრავალი  
წინადადება მიიღეს. ისინი მიწვეულნი არიან 1971 წლის  
ბარსელონის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ერთი  
თვის მანძილზე სოლო კონცერტებით გამოვლენ და მონა-  
წილეობას მიიღებენ ბიუსე „კარმენის“ საოპერტო შეს-  
რულებაში. 1972-1973 წლების სეზონში ზ. სოტიკილავას



კევა ჩაჩავა.

და ე. ობრაზცოვას შესთავაზეს გამოსვლა ბარსელონის საო-  
პერო თეატრის სპექტაკლში „სამსონ და დალილა“. გრამფირფიტების ფირმამ კი მათ სთხოვა მილანის „ლა-  
სკალა“ თეატრის სპექტაკლ „დაიმი“ ანშერისისა და რადამესის პარტიების ჩაწერა.

დასასრულ აღვნიშნავ, რომ ზ. სოტიკილავას არტისტუ-  
ლი კარიერა ბევრით არის დავალებული გამოჩენილი ქარ-  
თველი მომღერლის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტის-  
ტის, პროფესორ დავით ანდლუაძის დეაწლისგან. სწო-  
რედ მასთან ვუფლებოდა ზ. სოტიკილავა სამომღერლო ხე-  
ლოვნების ურთულეს ტექნიკას. დ. ანდლუაძემ დააყენა  
იგი ვოკალური პროფესიონალიზმის გზაზე და გონივრუ-  
ლად წარმავსა მისი სამომღერლო ჩვევების გამოუმავე-  
ბის ინტენსიური პროცესი. ეს პროცესი დღესაც არ შეწყვე-  
ტილა — დ. ანდლუაძე დ. ზ. სოტიკილავა კვლავ შეუწე-  
ლებული გულმოდგინებით განაგრძობენ საშემსრულო  
გამომსახველობის სრულყოფას. თვალაჩინია და ანდლუ-  
აძის პედაგოგიური მეთოდის ნაყოფიერება. ამის საუკე-  
თესო მაგალითია ზ. ანჯაფარიძის, ნ. ანდლუაძისა და ზ.  
სოტიკილავას შემოქმედება.



გიორგი სააკაძის ძეგლის გახსნაზე კასპში.

## გიორგი სააკაძის ძეგლი კასპში

რამდენი სიკვამლე ახსოვს ქართველ ერს გარეშე თუ შინაური მტრისაგან, დედათა რამდენი ცრემლი დაღვრილა მამულიშვილთა საფლავებზე და განა დავიწყებამ მიეცნენ ისინი? დღეს ქართველი ხალხი დიდების შარავანდედით მოსასვს და სასოებით ინახავს იმათ სახელებს, ვინც მამულის სიყვარულს, მის კეთილდღეობას შესწირა თავი, ვისაც სწამდა ნათელი დღის დადგომა.

სამას წელზე მეტმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც ლეგენდარულმა გიორგი სააკაძემ თავისი ხალხის ბედნიერებას, მის მომავალს ამსხვერპლა საყვარელი შვილი, ყრმა პაატა და თვითონაც მამულის სიყვარულს შეეწირა. მისი გმირობა ხალხმა ლეგენდად, უკვდავ ლექსად და სიმღერად აქცია.

ახლანა მადლიერმა ხალხმა კას-

პში, მის მშობლიურ მხარეს უკვდავ-საყოფი ძეგლი აუგო გ. სააკაძეს. მხნედ შემართულა ვაჟაკი ბედაურ-ზე და მშობლიურ ნოსტეს მიდამოებს, ერთაწმინდას გასცქერის.

გაგულისხმებულ მხედარს თავისი კუნთმაგარი, დაძარღვული მკლავებით ნახევრად ამოუწვდია ხმალი ჭარქშიდან და მზად არის ვერაგ მტერს შეაგებოს იგი.

ცნობილმა მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა შესანიშნავად აღიქვა გმირის სულიერი სამყარო და განსაკუთრებული სითბოთი, საოცრად ზუსტ ხაზებში გამოკვეთა მისი ხასიათი, ვაჟაკური ბუნება. ხუთმეტრიან კვარცხლბეგზე აღმართულა გიორგი სააკაძის დიდებული ქანდაკება. გმირის სახეზე იგრძნობა მოძრავი კუნთები, სხეული დაძაბულია, მხედარი რისხვით გასცქერის ქორი-

ზონტს, ეძებს მოწინააღმდეგეს, რომ რისხვად მოეგლინოს.

გმირის ძეგლს სამარადისო გვირგვინი ამშვენებს, რომლის ცენტრში ფარი და მახვილია გამოკვეთილი, აქვეა წარწერა — ჩვენს წინაპარს, დიდ მოურავს შთამომავლობისაგან.

სახელოვანი რაინდის ძეგლისა და სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა სადიდებელი მემორიალის საზეიმო გახსნაზე კასპში უამრავი ხალხი მოვიდა თბილისიდან და რაიონებიდან. აქ იყვნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი, პარტიული მუშაკები, ხელოვნების, მწერლობის წარმომადგენლები.

გმირთა ხსოვნის აღსანიშნავი სიტყვები წარმოსთქვენს საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ოდიშვილმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული

გიორგი სააკაძის ძეგლი კასპში. ავტორი შოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი.



საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. გოგიაშვილმა.

ქართული „მრავალგამიერის“ კანგებს ქვეშ თეთრი საბურველი შემოეცალა ძეგლს, გრანიტის მემორიალზე, რომლის ავტორია არქიტექტორი გივი ჯაფარიძე, აინთო მუდმივი ჩირაღდანი. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ რაიონის მკვიდრი, საბჭოთა კავშირის გმირი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის სა-

ხელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ირაკლი ციციშვილი, მოსწავლე მაცვალა ბერიანიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ბესარიონ ქლენტი და საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, ნოსტეს მკვიდრი — გიორგი ხიზამბარელი, ცნობილი რუსი მწერლის, „დიდი მოურავის“ ავტორის ანა ან-


ტონოვსკაიას შვილი, მწერალი ბორის ჩორნი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, პედაგოგი ნიკოლოზ გუგულაშვილი. საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ოთარ კობერიძემ წაიკითხა ნაწყვეტი ლ. გოთუას მოთხრობიდან.

დიდხანა გაგრძელდა მიტინგი, ისმოდა სიმღერები, ხალხმა საერთო ზეიმად გადააქცია ეს დაუვიწყარი დღე.

გიორგი სააკაძის მონუმენტი. ავტორი მოქანდაკე შარბ ბერძენიშვილი



გიორგი იამანიძე.



# ღვაწლმოსილი კოლიბრაფისტის იუბილე

თენგიზ თალაკვაძე

საბჭოთა საქართველოს პოლიგრაფიულ ხელოვნებაში არის სასახელო ფურცლები, რომელთაც ბევრჯერ მოუტანეს გამარჯვება ქართული წიგნის ოსტატებს. გავისხენოთ ამას წინანდელი ყველაზე დიდი ჯილდო, რომელიც მიიღო „ხელოვნების“ მიერ გამოცემულმა წიგნმა „ქართული ხელნაწერები“. ეს ჯილდო იყო რუსი პირველმაგვადების, ივანე ფედოროვის სახელობის დიპლომი.

დიდი რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ა. გორკი ამბობდა: — როცა ხელში ვიღებ წიგნს, ვათვალიერებ მას, უპირველეს ყოვლისა, როგორც სასწაულს. მართლაც, წიგნი არის სასწაული, ის იქმნება და იზადება დიდი შრომის შედეგად, ხოლო შემდეგ ნახულობს მზის სინათლეს. ჩვენ ყოველთვის გვწყინს, როცა ცუდად დაბეჭდილ წიგნებს ვნახულობთ.

საღამო, რომელიც დიდხანს იქნება დაუვიწყარი წიგნის მოტრფიალეთათვის, ეკუთვნოდა ქართული პოლიგრაფიის უხუცეს წევრს, ასოთამაშეუბების მეორე თაობის წარმომადგენელს, გიორგი პორფილეს ძე იამანიძეს და ღირსეული კმაყოფილების გრძნობას მატებდა ყველა იმათ, ვისთვისაც სიხარული მოაქვს მის კეთილშობილურ საქმიანობას.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის, გიორგი იამანიძის დაბადების 70 და შრომითი მოღვაწეობის 55 წლის სასწიემო სხდომას, რომელიც ჩატარდა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის კლუბში. ესწრებოდა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის წარმომადგენელი.

გიორგი იამანიძე დაიბადა 1900 წლის 30 ნოემბერს სოფელ კურსებში, გელათთან ახლოს. მან ადრეული ჯაბუკობიდან, 15 წლის

ასაკში, დაიწყო შრომითი საქმიანობა ქუთაისში, კურცხალიას კერძო „კომერციულ საბეჭდავში“ მოწაფედ. სადაც ამჟამად სახელმწიფო პოლიგრაფისტს ბევრი სიმწარე გამოუვლია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გიორგი თბილისში გადმოდის და ასოთამაშეობად იწყებს მუშაობას ერთნული დემოკრატიების სტამბაში გაზეთ „საქართველოზე“, სადაც იმ დროს მუშაობდნენ რაფინ გეგტაიე, მიხეილ გორგაშვილი და სხვები.

1922 წელს გიორგი იამანიძე გაიწვიეს წითელ არმიის უმცროს მეთაურად. შემდეგ იგი უბრუნდება სახელმწიფო გამომცემლობის № 2 სტამბას, სადაც პირველი წიგნი, რომელიც გიორგიმ ააწყო, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ იყო. აწ გასაუფლებული დი-





დი მეცნიერი, მაშინ ასპირანტი, ილია აბულაძე კორექტორი გახლდათ ამ წიგნისა — წიგნის, რომელიც ჩვენი ერის საგანძურად იქცა. ამ წიგნში გ. იამანიძე მუშაობდა 1932 წლამდე. შემდეგ 1936 წლამდე იგი გახდა „კომუნისტის“ სტამბაში, ჯერ სამაქროს გამგედ, ხოლო შემდეგ კი დირექტორის მოადგილედ. 1937-1941 წლებში იგი მუშაობდა „სახელმწიფო გამომცემლობის“ გამომცემბად. დიდი სამამულო ომის დროს კი გაიწვიეს მადლობა არმიამ და სამშობლოს იცავდა.

ქართველი მწერლების საყვარელი მეგობარი, გიორგი იამანიძე 1964 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობს. როცა ქართული წიგნის ამ მოჭირბაშულეს კეთილეს, თუ რა პროფესიას აირჩევდა იგი, ახლა რომ 15 წლისა იყოს, მისგან ასეთი პასუხი მიიღეს: „განა ამაზე უფრო სპეციალი და პატოსანი საქმე არსებობს?“ — გიორგი იამანიძეს მხედველობაში ჰქონდა თავისი პროფესია.

მკითხველისათვის საინტერესო იქნება ერთი ეპიზოდი გ. იამანიძის მოგონებებიდან. პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს, რომელსაც მეგობრები „ჩვენს გოგლას“ ეძახდნენ, დასამთავრებელი ჰქონდა პოემა „ბავშვობა და ყრმობა“. პოემის დაწერის სავარაუდო დრო გადოდა, გიორგი ლეონიძე კი აგვიანებდა. გიორგი იამანიძემ პირადად ითავა პოეტისადმი ხელშეწყობა და მისი მუშის თანაგაჭირვარე კი გახდა. მან გოგლა „სახელგამის“ მაშინდელი დირექტორის, ნიკო კიკნაძის კაბინეტში „ჩაეკეტა“, ხოლო გასაღებს თვითონ ატარებდა. გ. იამანიძის დახმარებით ასე გაეკეთდა კიდევ ერთი სახალხო საქმე.

ძალზე საინტერესოა ერთი მოგონებაც, რომელიც გ. იამანიძემ დიდი საინჟინერო შემოგვათავაზა. საუბარი მან ასე დაიწყო:

— დიდ სამამულო ომამდე ოც-

დახუთი თაბახის მოცულობით უნდა გამოხულიყო აკადემიკოსების ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორია“ (სახელმძღვანელო).

ამ დროს ვმასხურობდი სახელმწიფო გამომცემლობის გამომცემბედ და ახლო კავშირი მქონდა ავტორებთან (მეცნიერებთან, მწერლებთან, პოეტებთან.)

როდესაც ივ. ჯავახიშვილის ნაწილი ავაწყეთ და კორექტურა გავასწორეთ, გამოირკვა, რომ მარტო ივ. ჯავახიშვილის დედანი შეადგენდა 25 თაბახს. ეს ამავე სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორს ნიკო კიკნაძეს მოვახსენე. მან მითხრა: ამახანაგო გიორგი, ძალიან გთხოვ, სთხოვე ივანეს, რომ მოზრძანდეს შენთან, მე მომერიდება, ვერაფერს ვეტყვი ტექსტის შემცირებაზე. მან მოელაპარაკე და აუსენი, რომ დადგენილების თანახმად სამივე ავტორის ნაშრომი უნდა გამოიქმნა 25 თაბახად იქნებ როგორმე შევძლებოდა.

ბატონი ივანე მეორე დღესვე მოზრძანდა, ავუსენი საქმის ვითარება. მან გამიღიმა და მიხიხრა: — ყმაწვილი, ისტორიის შემცირება განა შეიძლება? — რა გავწყობა, თუ შეიძლება, გეთავა, ხუთი დღით წავიღებ ამ ანაბეჭდებს, როგორმე შევამცირებ და გაახსენებ.

მართლაც, ბატონმა ივანემ დაპირება შეასრულა და მეხუთე დღეს მოიტანა ანაბეჭდები, რამაც განგვაკვიფრა. შემცირებანი წითელი და ლურჯი ფანქრით შემოესაზა ისე, რომ ყველა წაშლილი ადგილი თავისუფლად იკითხებოდა და შეიძლებოდა ამ ისტორიის სრულად აღდგენა.

აღნიშნული ანაბეჭდები 1948 წლიდან ინახება სახალხო განათლების მუზეუმში, რომლის დირექტორიც მაშინ გამორჩენილი ქართველი პედაგოგი ვარლამ ძიძიუერი იყო.

სწრაფად და საზრინანად, ხარისხობრივად და მაღალ ტექნიკურ დონეზე, — აი მთავარი საზრუნავი გ. იამანიძისათვის. იგი როცა სტამბაში გამოინდებდა, სამაქროებში ჩურხული

იწყება: „ომის იამანიძე“, „იამანიძე მოდის!“ — ეს სისარულის მომგვრელი სიტყვებიც არის და წესრიგში მომყვანიც. ყველა ცდილობს იამანიძისეული არაფერი გამოეპაროს.

ღვაწლმოსილი პოლიგრაფისტიკის დიდი მოძიწინალი საზეიმო საღამოს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ბედნიერების საღამო, როცა მაღლიერი მეგობრები მხურვალედ ესალმებოდნენ იუბილარს. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ორატორები: ვ. ჭელიძე, ა. მირცხულავა, მ. ლეზანიძე, ნ. გურაბანიძე, ო. ევაძე...

ამაგდარ იუბილარს მიესალმნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჯ. ლომაშვილი, მთავარპოლიგრაფმრეწვის სამმართველოს უფროსი ა. გოჯიაშვილი, საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორის მოადგილე, მთავარი ინჟინერი გ. ფოჩხიძე, რესპუბლიკის გამომცემლობათა დირექტორები და საგანგებოდ ჩამოსული სტუმრები თითქმის ყველა რაიონიდან. საზეიმო სხდომას ესწრებოდა საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე დ. გოჯოსია. წაკითხული იქნა პოეტ — აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის მისალმება იუბილარისადმი.

საზეიმო საღამოს დასასრულს, თვით იუბილარმა წარმოსთქვა სიტყვა და უდღედმი მადლობა უძებნა რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პერსონიუმს, ყველა დასმწერს, გამომცემლობათა ხელმძღვანელებს, მისი ასეთი დაფასებისათვის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებისათვის.

გიორგი იამანიძემ განაცხადა, რომ მომავალშიც ძალასა და ენერჯიას არ დაიშურებს საქართველოში პოლიგრაფიული საქმის კიდევ უფრო წინ წასაწყვად.




მეურბეღლა დარბაზში



კომპოზიტორი ფელქს სიმონიანი

# სოფან სელოვანთა კონცერტაგზე თბილისის კონსერვატორიაში

სომხური მუსიკის სალაპოს მონაწილენი.  
მარცხნიდან: ა. აირიანი, დ. ხანჯიანი,  
ლ. სარიანი, რ. ლალიძე, გ. ბარნაბიშვილი,  
ო. თაქთაქიშვილი.



უნგრული

მუსიკალურ-

დრამატული

ხელოვნების

ფასტივალი

სსრ კავშირში

# უნგრულ ხელოვნებასთან

• ელიონორა

უნგრულ და რუსულ კულტურას შორის დიდი ხანია არსებობს ურთიერთ ზეგავლენისა და გამმდიდრების ინტენსიური ტრადიციები.

ჩვენი კულტურული თანამშრომლობა, ისე როგორც ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა, დღითიდღე იზრდება და დულაბდება. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა უნგრელი ხალხის დიდი დღესასწაულის—ფაიშვიის ულლისკან განთავისუფლების 25 წლისთავზე.

ამ დიდ ზეიმიან დავაშირებით 1970 წელს აპრილში მოსკოვში, ლენინგრადსა და მოძვე რესპუბლიკების დედაქალაქებში ჩატარდა უნგრეთის კულტურის დღეები.

ზეიმიში მონაწილეობისათვის მოსკოვს ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. ჩამოვიდნენ მწერლები, კინემატოგრაფისტები, მხატვრები, მუსიკოსები, ბუდაპეშტის ნაციონალური თეატრის დასი. ხოლო საპასუხოდ 24 ოქტომბერს უნგრეთში დაიწყო საბჭოთა კულტურის დღეები.

უნგრეთში ამ დღესასწაულზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია კულტურის მინისტრის ე. ა. ფურცევას მეთაურობით. ე. ა. ფურცევამ საბჭოთა კულტურის დღეების საზეიმო გახსნაზე ილაპარაკა იმ მჭიდრო თანამშრომლობაზე, რომელიც არსებობს საბჭოთა და უნგრელ ხალხებს შორის. ამის აშკარა გამოვლინებაა ის ურთიერთნდობა და მშური მეგობრობა, რაც ჩვენს პარტიებსა და ქვეყნებს შორის დამკვიდრდა.

ჩვენი ხალხების მეგობრობის დღესასწაულზე წარმოდგენილი იყო სა-

175 წლის წინათ აღმოცენებული უნგრული თეატრი და დრამატურგია ვითარდება მიხანსწრაფულად, ისტორიული პროცესების მოთხოვნილებების შესაბამისად და გამოირჩევა მაღალი მოქალაქეობრიობით, ხალხურობითა და პატრიოტიზმით.

ჯერ კიდევ თავისი განვითარების განათაღზე უნგრეთის კლასიკურმა დრამატურგიამ წარმოშვა ნაციონალური ოსტატები იოჟეფ კატონუ, მისია ვერეშმარტი. მათ კვალდაკვალ თეატრში მოვიდა დიდი პოეტი-რეჟისორი იოჟეფ, შანდორ პეტეფი. რამდენიმე წლის შემდეგ იმერ მადამა თანისი ფილოსოფიური დრამით ფართო პოპულარობა მოიპოვა მთელ მსოფლიოში. XX საუკუნის დასაწყისიდან ვითარდება უნგრული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლის როლი მორიყას ტალანტი. იოჟეფ კატონუმ (1792-1830) თავის ნაციონალურ პატრიოტულ დრამაში „ბანკ-ბანი“ შორეული წარსულის სიუჟეტზე წამოაყენა აქტუალური საკითხები თანამედროვე უნგრულ სინამდვილეზე და ახლებურად გააშუქა ტირანთა წინააღმდეგ ბრძოლის პატრიოტული თემები.

„ბანკ-ბანი“ სიუჟეტს საფუძვლად უდევს ცნობილი ეპიზოდი სამამულო ისტორიიდან — უნგრელი თავადების 1213 წლის შეთქმულება. დრამის ცენტრში დგას უნგრე-

თის ბანის (ნაცვლის), ბ ა ნ კ ი ი რსახე. მას კარგად ესმის, რომ საშრობლოს დამოუკიდებლობისათვის უცხოელი იამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლა მანვე დროს უნდა იყოს ყმათა მღვდლარეობის შემამსუქებელიც.

უნგრეთის რეჟისორი იოჟეფ-განმათავისუფლებულმა მოძრაობამ 1848-1849 წლებში თავისი გამოძახნაში.

რეჟისორის წინა წლებში გაიზარდა და დავაყვაცა დიდი შემოქმედი მანდორ პეტეფი (1823-1849).

თავისი შემოქმედებით პეტეფი მოუწოდებდა ხალხს საბრძოლველად. იგი დაიღუპა 26 წლის ასაკში, ბრძოლის ველზე, როგორც რევოლუციის ჯარისკაცი, მაგრამ თავისი უხუთ წლის შემოქმედების მანძილზე წარუშლელი კვალი დატოვა უნგრულ ლიტერატურაში პოეზიიდან დრამამდე. მისი გავლენა უნგრელი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე შეიძლება შევადაროთ პუშკინის გავლენას რუსეთზე. თეატრში აღმდგენ უდიდეს სიყვარულში გაატარა მან თავისი ხანმოკლე. მაგრამ ბრწყინვალე ცხოვრების ვხა.

პეტეფის, როგორც მხატვარ-ნოვატორის შემოქმედებარ საფუძველი ჩაუყარა უნგრულ ხელოვნებაში რეჟისორებმ ესთეტიკას. მისი პიესა „ვეფხვი და გიენა“ შევიდა ეროვნული დრამატურგიის საგანძურში.

თანამედროვეთა გრძნობები, მათი დამონებული მდგომ-

# შახვედრის მოლოდინში

## ბაბარომა

თეატრო პრემიერები მარშაკის, ზორინის, შატროვის, ედლისის და სხვა საბჭოთა დრამატურების პიესებით, სახვითი ხელოვნების გამოყენებით, თავისი ხელოვნება უჩვენეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიურმა გუნდმა ა. სვენიკოვის ხელმძღვანელობით და დიდი თეატრის სახელგანთქმულმა სოლისტებმა. უნგრელი მეგობრები გაცნენ ახალ საბჭოთა ფოლკმეს, მოეწყო მეცნიერთა შეხვედრები და სხვა ღონისძიებანი.

უნგრულმა თეატრმა კარგა ხანია მოიხვეჭა აღიარება არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ბოლო წლების საუკუნეთა უნგრული პიესები წარმატებით იდგმება მრავალი ქვეყნის სათეატრო სცენებზე, ძალიან მაღე ეს პიესები საბჭოთა კავშირის თეატრების სასურველი სტუმრებიც იქნებიან, რადგან საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის გეგმით გათვალისწინებულია ჩვენს ქვეყანაში 1971 წელს უნგრელი ავტორების მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების ფესტივალის ჩატარება. მისი მოწვიობის ინიციატორები არიან საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრო, კომპოზიტორთა კავშირი და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოება. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა თეატრში დაიდგმება უნგრელი დრამატურების პიესები, ოპერები, ოპერეტები, ბალეტი. ეს მოგვეცნა შესაძლებლობას კიდევ უფრო ახლოს გავცნობთ ჩვენი მეგობრების ხელოვნებას, გავიცნოთ მათ ყოფაცხოვრებას.

ეურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ შორეი ნომერში მეჭდავს უნგრული დრამატურის ლაიშო მესტერსაზის პიესას „მეთერთმეტე მცენება“.

რომა რეოლუციის დამარცხების შემდეგ ყველაზე ნათლად გამოხატა იმერ მადამა (1823-1864) თავის ენობილ მოუშენებურ-ფილოსოფიურ დრამაში „ადამიანის ტრაგედია“, რომელიც გახდა არა მარტო უნგრული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის კუთვნილება.

ბიბლიური სიუჟეტის ჩარჩოში მადამი ხატავს გრანდიოზულ სურათს კაცობრიობის ისტორიის, როგორც გამოცდილების, ბრძოლისა და შრომის უწყვეტ ჯაჭვს.

პიესის ცენტრში არიან ადამი და ევა — სამთხილდან გამომდევნილი და დედამიწაზე მოხვედრილი ბოროტებისა და ავი სულის მატარებელი ლუციფერის თანსლებით.

ლუციფერი ეს არის გულგრილი სეპტიკოსი, იგი ადამსა და ევას სხვადასხვა ადამიანთა სახით ატარებს კაცობრიობის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპზე, აჩვენებს მათ მხოლოდ ცხოვრების უკუღმართობას და ცდილობს ურწმუნოებას შეათავსოს.

ხანდახან იგი ხდება ადამის არრდილი, ან მისი მეორე „მე“.

ფარაონის სახემიღებულ ადამს ევვიპტეში გული უტყდება არისტოკრატიაზე, ძველ საებრძნეთში (როგორც მილთიადის მებრძოლს), დემავოების დემოკრატიაზე, ბიზანტიაში (როგორც ჯვაროსან ტანკრედს) — რელიგიურ ფა-

ნატიზმზე, როგორც მცენიერ კაპლერს — მეცნიერების გამოცდილობაზე...

და ბოლოს, კაცობეულ მიწაზე ადამი ხდება ადამიანის გადავარებას. თითქოს ადამის განრისხებას არ უნდა პქონდეს საზღვარი, მაგრამ ის შეიტყობს, რომ ევა დედა გახდება და ადამი მზადაა კვლავ იბრძოლოს დამიღებულმა. სწორედ ადამიანის მომავალზე დიდი იმედით მთავრდება ტრაგედია: „ადამიანი, იბრძოლე და ჭკინდეს იმედი!“

ადამიანის ცხოვრება ეს არის დაუსრულებელი ბრძოლა, რომელსაც ხანდახან დამარცხებისაკენ მივყავართ, მაგრამ საბოლოო ანგარიშში იგი მაინც მოგვიწოდებს პროგრესისა და განვითარებისაკენ. სწორედ ამისა ე. მადამის შესანიშნავი ქმნილების იდეის ძალა.

სამამულო სოციალური კომედიისა და სატირის დარგში უნგრულ დრამატურგიას სერიოზული წარმატება მოუტანა მწერალმა გერგეი ჩიკმა (1842-1891).

მის პიესაში „მუქთახორები“ — სრული ხმით გაისმა გასული საუკუნის ბურჟუაზიული უნგრეთის სინამდვილის კრიტიკა თავისი სოციალური კონტრასტებითა და გამყიდველი მორალით.

გ. ჩიკის შემოქმედებაში ასახული შემობრუნება კრიტიკული რეალიზმისაკენ XX საუკუნის დასაწყისში ვითარდება. რეალისტური დრამის შემქმნელი, დიდი უნგრელი მწე-



პალეტი — მიქლოშ გაბორი.

რალი ჟიგმონდ მორიცი (1879-1942) კვლავ ავითარებს თავის ნაწარმოებში მსხვილი თავდაზნაურების წინააღმდეგ ბრძოლას, მიწების საკითხის რადიკალურად გადაჭრისა და აგრეთვე საზოგადოებრივი წინააღმდეგობების თემებს.

შემოქმედებითი ხასიათით განსხვავებულ ყველა ამ მწერალს აერთიანებს ერთი რამ — ასახონ თავიანთ დრამატულ ნაწარმოებებში ხალხის მისწრაფება უცხოელი დამპყრობლებისა და ფეოდალური უღლისაგან განთავისუფლებისაკენ.

უნგრეთის განთავისუფლებამ ფაშისტური მონობისაგან, უნგრული თეატრის ისტორიაში გადაშალა კიდევ ერთი ახალი ფურცელი.

უნგრული დრამის განვითარება ამ პერიოდისათვის მიიღის სამოქალაქო პატრიოტული თემებისა და გმარების შინაგანი სამყაროს გაღრმავების ნიშნით.


შანდორ გერგენს პეუნაში „ჩემი შვილი“ პირველად გამოჰყავს სცენაზე კომუნისტი, რომელიც სამშობლოს განთავისუფლების დიად იდეებს სიცოცხლესაც კი სწირავს.

დიულა იეში 1953 წელს ქმნის პერიოკულ-ისტორიულ დრამას „ჩირადანის ალი“. ეს არის პიესა 1848 წლის უნგრეთის რევოლუციაზე, რომელშიც ისტორიული მოვლენები ნაჩვენებია გმირთა შინაგანი სამყაროს გახსნისა და ხასიათების შეჯახების ფონზე.

უნგრული დრამატურგიის ისტორიაში დიულა იეშმა პირველმა სცადა ლეგენდარული კომუტის იერსახის ჩვენება პიესაში. ფართო ისტორიულ ფონზე ნაჩვენებია კომუტის მომავლისადმი რწმენით გასხივისწებული, გამარჯვების აუცილებლობაში დაჯერებული იერსახე.

ისტორიულ პიესებში უნგრელი მწერლები, წარსულის მასალებზე დაყრდნობით აშუქებენ თანამედროვე პრობლემებს. 1956 წელს ლასლო ნეშეტის მიერ დაწერილი პიესა „გალილიე“ ხასიათდება მსოფლიო ლიტერატურაში ფართოდ ცნობილი გალილეის თემის თავისებური გახსნით.

თუკი ბრეტტი ასეთივე სათაურის დრამაში აქცენტს აკეთებს მეცნიერის ტრაგედიაზე, რომელმაც უღალატა თავის მოვალეობას, სამაგიეროდ ნ ე მ ტ ი კ სიმბიზის ცენტრი გადაიტანა პრობლემის მორალურ-ეთიკურ მხარეზე, გახსნა რა ამით ადამიანის სული და გრძნობათა ჭიდილი.



სცენა სპექტაკლდან „ტოტო“.



სცენა სპექტაკლიდან „ჰამლეტი“

გალილეის სახეში ნემეტიმ გამოსახა მძივბლის ტრაგედია, რომელიც იძულებულია იცხოვროს სიყალბისა და ძალადობის სამყაროში. ნიპ-იან წლებში თეატრის ბოგირბან-ზე დგება დიდი თანამედროვე დრამატურგი ლიომ მეშტერსაზე.

თავის პიესაში „მეთერთმეტე მცნება“ ავტორი დავაფიქრებს ცხოვრების არსზე, ახალი სამყაროს აღმანიხის ცხოვრებაზე, ბრძოლასა და შრომაზე. უნგრული დრამის განვითარების გზა, ოცდახუთი წლის განმავლობაში, 1945 წლიდან 1970 წლამდე, გარკვეულად მოგვაგონებს ევოლუციას, რომელიც გაიარა „მეთერთმეტე მცნების“ გმირმა მწერალმა, რომელმაც სიცოცხლეშივე მიაღწია აღიარებასა და დიდებას. მემტერსაზესიეული გმირი თითქმის ძალზე უცნაურად იქცევა — რაც უფრო მატულობს მატერიალური სიჭიჭე და სასოგადოებრივი აღიარება, მით უფრო მეტი მოუსვენრობა იპყრობს მას...


თანამედროვე უნგრული პიესებიდან საინტერესოა: „ტოტი, სხვები და მაიორი“, რომელიც იშტან ერკენს ეკუთვნის და ლ. დიურკოს „ელექტრა, ჩემო სიყვარულო!“ პიესის „ტოტი, სხვები და მაიორი“ შინაარსი პასუხია დოსტოევსკის სიტყვებისა. „ჭეშმარიტი რეალიზმი — ეს არის რეალიზმი, ასე ვთქვათ, მიახლოებული ფანტასტიკასთან.“

პატარა უნგრულ საკურორტო დაბაში მესანძრეთა რაზმის „შეფის“ ტოტი ს ოჯახი უცდის ფრონტიდან შვებულებაში გამოშვავებულ მაიორს, მათი შვილის უშუალო უფროსს. თუ მაიორი დარჩება კმაყოფილი, ეს სასარგებლო იქნება მათი ჯარისკაცი შვილისათვის.

ტოტის ოჯახი მზად არის გააკეთოს ყველაფერი, რომ მაიორი კმაყოფილი დარჩეს. მაიორი კი ქმნის პატარა „საკონცენტრაციო ბანაკს“, რომელშიც მოხვდება ტოტის ოჯახი. მთელი ოჯახი აწებებს მუყაოს პატარა კოლოფებს.



სცენა სპექტაკლიდან „ჰამლეტი“. ოფელია — ე. ვაში, ჰამლეტი — მ. გაბორი.



სცენა სპექტაკლიდან „ელექტრა, ჩემო სიყვარულო“.

ასე ისხამს ხორცს მაიორის პატარა, უმნიშვნელო „იდეა“, რომლის ძალითაც იგი ხალხს მონებად აქცევს. დიდი ხნის მოთმინების შემდეგ ტოტოტი თავს აცლის მაიორს ჩვეულებრივი მუყაოს საჭრელი მანქანით. ტოტოტის ხელში ეს მანქანა გილიოტინად იქცა.

ი. ვრკენის პიესა ისეთი ნაწარმოებია, რომლის მნიშვნელობა დროისა და ადგილის ჩარჩოს სცილდება. პიესის იდეა უფრო ფართოა. ეს არის გროტესკულ ფორმაში გამოსახული ღვარძლიანი ირონია, ობიექტული მორალი.

ვრკენის სტილი გამოირჩევა ლაკონიურობით, დრამატუზმითა და აფორისტულობით.


„ტოტოტი, სხვები და მაიორი“ არსებითად მამხილებელი ანტიფაშისტური პიესაა, სადაც ირონიულად, პაროდულ ფორმაში იხატება არა მარტო ფაშინის არაადამიანური არსი, არამედ ისინიც, ვინც კვებას ფაშინზე თავისი ობიექტური ლოგიკით.

პიესა „ელექტრა, ჩემო სიყვარულო!“ დაწერილია ახალგაზრდა უნგრელი მწერლის ლასლო დიუკოს მიერ, რომელსაც იცნობენ როგორც ვ. ი. ლენინზე დაწერილი, უნგრეთში საყოველთაოდ აღიარებული, წიგნის ავტორს.

ეს მრავალმხრივი ფილოსოფიური დრამა დაფუძნებულია



სცენები სპექტაკლიდან „ელექტრა, ჩემო სიყვარულო“. ორესტი — დ. კალმანი, ელექტრა — კ. პერეკა.



სოფოკლეს ცნობილი ტრაგედიის სიუჟეტურ ქარავაზე. იგი ახლებურად, თანამედროვე პოზიციიდან ხსნის პრობლემებს: ბოროტი და კეთილი ძალების, თავისუფლებისა და ძალაუფლების, ძალადობისა და ჭეშმარიტების, სიმაართისა და სიყალბის. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის, მარად მტკივნეულ პრობლემებს.

თეატრი უნგრეთში დასაბამიდან მოწინავე საზოგადოდეების მატარებელი საყვარელი სახალხო სახასიათაა.

მხიშვნელოვანი მოვლენა იყო უნგრელი ხალხის ცხოვრებაში 1837 წელს ნაციონალური თეატრის გახსნა ბუდაპეშტში, რომლის პროგრესულმა ძიებამ და მისწრაფებამ მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა უნგრეთის იტელივინგიაში.

ამ თეატრმა დიდი როლი ითამაშა საცოთალური დრამატურგიის განვითარებაში, თვითმყოფადი უნგრული კულტურის ჩამოყალიბებაში. მასში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ სცენის ცნობილი ოსტატები — ე. პაულაი, შ. გვეგიშვილი, გ. გელერტი.

1945 წელს ამ თეატრს სათავეში ჩაუდგა მსახიობი და რეჟისორი, ტომაშ მაიორი, რომელმაც ნიჭიერი მსახიობებისა და რეჟისორებისაგან შეადგინა ძლიერი კოლექტივი. უმცროსი და უფროსი თაობის ეს კოლექტივი კვლავ განაგრძობს ნაციონალური თეატრალური ხელოვნების პროგრესულ ტრადიციებს.

უნგრეთის სახალხო არტიტმა, კომუტის პრემიის ლაურეატმა, ტომაშ მაიორმა მრავალი დედამა განახორციელა, რომლებმაც თეატრს წამყვანი თეატრის სახელი დაუმკვიდრეს ქვეყანაში. საერთო აღიარებით, უნგრული ხელოვნების თეატრალური ესტაფეტა დღეს მიიღო ორმა კოლექტივმა. ექვნი არიან — ახალგაზრდული თეატრი „ტალია“, კარი, კანინირის ხელმძღვანელობით, რომელმაც თავისი გზა რეჟისურაში დიწყო 1958 წელს „ობტიმისტური ტრაგედიის“ დადგმით. თეატრ „ტალიას“ ასასიათებს უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდული შემართება, ტრადიციული ფორმების უარყოფელი გაბედული ექსპერიმენტები.

ნადაჩს სახელობის თეატრიც დიდი ხანია იბრძვის, რათა პირველობის პრემია გამოისტაცოს უნგრულ თეატრალურ მუხას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ თეატრის „ჰამლეტი“. ამ სპექტაკლით, რომელიც პირველად 1962 წელს წარმოადგინეს, შეიძლება ითქვას, რომ უნგრეთმა არა მარტო დიდ შექსპირს (მისი დაბადების 400 წლისთავზე), არამედ უნგრულ მსახიობებმაც აღუშარათა ძველ.

მიკლოშ გაბორის მიერ ბრწყინვალედ წარმოდგენილი ჰამლეტის ტრაგედია გახსნილია არა იმით, რომ მას არ შეუძლია მოქმედება, რომ მის არის ავადმყოფურად და სურს იმოქმედოს ყოველგვარი საშუალებით, არამედ გაბორ-ჰამლეტის ტრაგედია ის, რომ მას არ შეუძლია და არც სურს სხვებივით მოიქცეს ამ ქვეყანად. მას არა სჯერა, რომ სამართლიანობა ცხოვრებაში შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ სასტიკი გამოცდის ფასად. უფრო სწორად, მისთვის გაუგებარია ბრძოლა, რომელიც მან იძულებით ებდა აწარმოოს ელსინორის წინააღმდეგ. აი რატომ დგამს იგი „მახე“, იყენებს ხელოვნების ცოდნას სიმართლისათვის საბრძოლველად, რომელიც, მისი აზრით, შეცვლის იარაღს, შუამსა და სიყალბეს.

უნგრეთის დედაქალაქში აღმოცენდა ასალი ტიპის თეატრები — ახალგაზრდული, ნორჩ მაყურებელთა, თოჯინების, ოპერეტის, თეატრები შექმნილია პერიფერიულ ქალაქებში (პენი, მიშკოლიცი, დებრეცენი და სხვა).

თანამედროვე უნგრული თეატრი და დრამატურგია ვითარდება სოციალისტური რეალიზმის გზით, იგი კანონიერი მემკვიდრეა ყველა იმისი, რაც შეუქმნია ეროვნულ ხელოვნებას.



სცენაზე სპექტაკლიდან „აბიმიანის ტრაგედია“.







თამარ დაფქვიაშვილი

# მრავალმხრივი მუსიკოსი

ვილი ვურევიჩი

ბანსაცვივრმპელი ენერგიით, ახალგაზრდული მგზნებარებით გამოირჩევა ეს მინიატურული ქალი, ნათელი გასხივოსნებული თვალებით. მართლაც, თამარ დაფქვიაშვილს შეხვდებით საკონცერტო ესტრადაზე თუ კლასში, სადაც იგი მოწაფეებით გარემოცული არჩევს ახალ ნაწარმოებს. ბიბლიოთეკაში, სადაც იგი ახალი სამუცნიერა შრომისათვის გატაცებით აგროვებს მასალებს...

ყოველივე ეს თვალსაჩინოდ მეტყველებს მის ინტენსიურ მოღვაწეობაზე, ფართო შემოქმედებით ინტერესებზე. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი თამარ დაფქვიაშვილი მიეკუთვნება ქართველ მუსიკოსთა იმ პლეადას, რომელიც ხანგრძლივ დროის მანძილზე ეწევა ნაყოფიერ სამემსრულებლო, პედაგოგიურსა და მცენიერულ მუშაობას, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

თ. დაფქვიაშვილის მთელი ცხოვრება აღსავსეა დაუღალავი შრომით, რომელიც მთლიანად ოსტატობის სრულყოფას ეძღვნება. ამაში მას საოჯახო ტრადიციებიც ავალ-

დებულებენ — თ. დაფქვიაშვილის მკვიდრი ბიძა იყო ხარლამაში საგანელი — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოში პროფესიული მუსიკალური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. თოთხმეტი წლისა იყო თ. დაფქვიაშვილი, როდესაც იგი თბილისის კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილებაზე ჩაირიცხა. კონსერვატორიაში სწავლას მოაქვს მისთვის პირველი შემოქმედებითი სიხარული და წარმატება. იმხანად საფორტეპიანო განყოფილებისათვის განკუთვნილი იყო ვანო სარაჯიშვილის სახელობის ორი სტიპენდია, რომლებსაც ანიჭებდნენ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში. კონკურსში მონაწილეობის შემდეგ თ. დაფქვიაშვილს მიენიჭა ვ. სარაჯიშვილის ერთ-ერთი პრემია, რომელიც მან კონსერვატორიის დამთავრებამდე შეინარჩუნა. აღსანიშნავია აგრეთვე გამოჩენილ პიანისტ ეგონ პეტრისთან შეხვედრის ამაღლებელი ეპიზოდიც. 1927 წელს ეგონ პეტრი კონცერტებს მართავდა თბილისში. იგი კონსერვატორიის დირექტორმა მიიწვია სარეპეტიციო გაცემის ჩასატარებლად. ეგონ პეტრი სიამოვნებით დათანხმდა, მხოლოდ ერთი პირობით — მის

გაკვეთილზე სტუდენტებს პედაგოგის დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად უნდა შეესრულებინათ შესწავლილი ნაწარმოები. წარდგენილ სტუდენტებს შორის იყო თამარ დაფქვიაშვილიც, რომელმაც წარმოადგინა რამდენიმე დღეში გაჩენილი ბეთოპოვნის მხებუთ საფორტკეპიანო კონცერტი. როგორც თ. დაფქვიაშვილი იგონებს, ე. პეტრი მასთან სამ საათამდე შეცადინებოდა. გაკვეთილის შედეგებით კამოფოფილი პიანისტი ინსტრუმენტს მიუჯდა და თავისი აკომპანინებრით ახალისებდა თ. დაფქვიაშვილს. ე. პეტრიმ აღნიშნა თ. დაფქვიაშვილის მუსიკალური ნიჭიერება და სწრაფი რეაქციები. შემდეგ კი მან ახალგაზრდა პიანისტს ნოტებზე წაუწერა: „ჩვენი გაკვეთილების სამასსოვროდ — საუკეთესო სურვილით, ვეცნო პეტრი. 29 დეკემბერი, 1927 წ.“ ამ ნოტებს თ. დაფქვიაშვილი სასოებით ინახავს. მალე მან ბეთოპოვნის მხებუთ კონცერტი შესრულა თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა პირველ სიმფონიურ კონცერტზე. სტუდენტურ ორკესტრს დირიჟორობდა კონსერვატორიის სტუდენტი, მომავალში ცნობილი კომპოზიტორი შალვა თათაქაიშვილი. აი რას წერდა თ. დაფქვიაშვილის გამოსვლის შესახებ კომპოზიტორი კ. მეღვიინთუხუცესი: „უეჭვდელია, მასში ბუნებრივად ჩაენერგოდა სავირტუოზო თვისებები, შეერთებული მშვენიერ მუსიკალობასთან, ამას ამტკიცებს მისი დაკვრით წარმოშობილ ბგერათა სისუფთავე, ელფერი, რთმული სიმტკიცე, მეტყველება, დინამიური გაქანების შეგრძნება, მონარეი და დაუდალავი მაჟა და სხვა“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1928, 25. IV).

1928 წელს შუბერტის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავ კონცერტებში თ. დაფქვიაშვილმაც მიიღო მონაწილეობა. იგი უკრავდა საფორტკეპიანო კვინტეტსა და სონატას ვიოლინოსა და ფორტკეპიანოსათვის. ამ ორ განმოსვლასაც პრესა კამოფოფილებით გამოხმაურა, ეს კონცერტები განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან აქედან იღებს სათავეს თ. დაფქვიაშვილის მოღვაწეობა კამერული ანსამბლის დარგში.

1929 წელს თ. დაფქვიაშვილმა წარმატებით დაამთავრა კონსერვატორიის პროფესორ ა. თულაშვილის კლასით და მხატვარ-შემსრულებლის წოდება მიენიჭა. მას ჯერ პედაგოგად ტოვებენ კონსერვატორიაში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ სხვა ქართველ მუსიკოსებთან ერთად საშემსრულებლო ოსტატობის სრულყოფისათვის ზეანჯინა ლენინგრადის კონსერვატორიაში: 1932-35 წლებში თ. დაფქვიაშვილი შეცადინებოდა ამორჩენილი პედაგოგის, საბჭოთა საფორტკეპიანო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის პროფესორ ლ. ე. ნიკოლაევის კლასში, პარალელურად კი სრულყოფდა კამერულ შემსრულებლობის პროფესორ ე. ბრიკთან.

ლენინგრადის ინტენსიურმა საკონცერტო ცხოვრებამ, გამოჩენილ მუსიკოსებთან ურთიერთობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი ცხოვრებაში. დაფქვიაშვილის ფორტკეპიანოზე მასში საბოლოოდ განმტკიცდა გადაწყვეტილება — განეგრძო მოღვაწეობა ძირითადად კამერულ ანსამბლში. ამ

არჩევანიმა გადაწყვეტი რილი ითამაშა საანსამბლო ხელოვნების ოსტატების ე. ბრიკის, ე. შერის, ე. გოლუმბოვსკაია-სა და რეისონის შემოქმედებამ. სწორედ მათ გადაწყვიტეს ღრმად და ასულბურად აღნიშნული ჟანრის საშემსრულებლო პრობლემები. თ. დაფქვიაშვილის, როგორც თვალსაჩინო პიანისტ ანსამბლისტის მონაწილეობა განაპირობებს მისი წარმატება ლენინგრადის კონკურსში „რომანტიკოსთა საუკეთესო შესრულებისათვის“. ავტორიტეტულმა ჟურნალმა თ. დაფქვიაშვილს მეორე პრემია მიანიჭა.

1935 წელს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, თ. დაფქვიაშვილი იწყებს ინტენსიურ საშემსრულებლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

თ. დაფქვიაშვილის დაკრავს ანსამბლში გამოარჩევს ფაქტი მუსიკალობა, ინტერპრეტაციის პრობლემების ღრმად გასწავლა, შესასრულებელი ნაწარმოების სტილისტური თავისებურებების საფუძვლიანი ცოდნა. საშემსრულებლო კულტურა და მუსიკალური ენოდელა მის დაკრავს ანიჭებენ შინაარსიანობა და მრავალფეროვნება.

თ. დაფქვიაშვილი, ანსამბლში შესანიშნავად გრძნობს პარტიზორის „სუნთქვას“, ბგერას ისეთ ხასიათს ანიჭებს, როგორც შეესაბამება ნაწარმოების ტემბრალურ ბუნებას. იგი ანსამბლის ელერადობაში მიიღტვის მსატრული შთანფიქრის ერთიანობისაკენ. ამ თვისებების გამო, რომელიც არა ერთხელ აღინშნულა პრესაში, თ. დაფქვიაშვილმა სერიოზულ წვლილი შეიტანა საქართველოში ანსამბლო შემსრულებლობის განვითარების საქმეში. თ. დაფქვიაშვილის საკონცერტო პროგრამებს ახსიათებს კიდევ ერთი დრავა — მისრავდება სიხლისაკენ; ამტკიცებს მის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეთობა იწვიათად შესრულებულ ან ჯერ კიდევ შესრულებულ ნაწარმოებებს. ასე მაგალითად, 1935 წელს თ. დაფქვიაშვილმა ლენინგრადელ მეგილინე პ. პანფილოვთან ერთად გამართა სონატური საღამოები, რომლის დროსაც საქართველოში პირველად აეღვიდა რაველის სონატა ვიოლინოსა და ფორტკეპიანოსათვის. მას შემდეგ სიტყვა „პირველად“ ახლავს მის მრავალ გამოსვლას. 1961-62 წლებში რესპუბლიკის დანსახურებლ არტისტ ი. ცხომელიძესთან ერთად თ. დაფქვიაშვილმა ჩაატარა ძალზე საინტერესო კონცერტების ციკლი „სონატას (ვიოლინოსა და ფორტკეპიანოსათვის) ისტორიული განვითარება XVII-XIX საუკუნეების მანძილზე“. ამ ციკლს მოჰყვა კონცერტები, მიძღვნილი სახალხო დემოკრატიული ქვეყნების კომპოზიტორთა შემოქმედებისადმი, სადაც კვლავ პირველად აეღვირდნენ დგორჟაკის, ბარტოკის, სტილიანოვის, დონისის, რუსუს, ფარკაშის, კაპრისის, სინ დო სონას, ნევეს დიკ ტოიანას ნაწარმოებები.

თ. დაფქვიაშვილის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეთობა ქართველ და საბჭოთა კომპოზიტორთა ქმნილებებს. რა თქმა უნდა, მისასაღმებელია ასეთი შემოქმედებითი ინიციატივა, ინტერპრეტაციის სიხლისაკენ სწრაფვა, სარეპერტუარო სფეროს გაფართოება. ყოველწლიურ კონცერტებთან ერთად, თ. დაფქვიაშვილს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა თბილისის კონსერვატორიის



პროფესორ-მასწავლებელთა კამერულ კონცერტებში, გამოდოდა ნომში რესპუბლიკების ქალაქებში, უკრავდა რადიო და ტელეგადამცემში.

შემსრულებლობასთან პარალელურად იშლება თ. დაფქვიასვილის პედაგოგიური მოღვაწეობაც. ლენინგრადიდან დაბრუნებისთანავე იგი კვლავ ჩაირიცხა თბილისის კონსერვატორიის პედაგოგად, შემდეგ კი ერთხმად აირჩიეს პროფესორ ტრუსკოვსკის ასისტენტად სპეციალური ფორტეპიანოს კლასში. ტრუსკოვსკის გარდაცვალების შემდეგ კი თ. დაფქვიასვილი პროფ. აისებრგის ასისტენტია. ამავე დროს დაწვალა კამერული ანსამბლის კლასიც, მას შემდეგ დღევანდლამდე თ. დაფქვიასვილი ორ კათედრაზე მუშაობს. ამჟამად იგი კამერული ანსამბლის კათედრაზე პროფესორის მოვალეობას ასრულებს. თ. დაფქვიასვილის პედაგოგიური პრინციპები მისი საშემსრულებლო შემოქმედების ანალოგიურია.

იგი მომთხონეი და ძალზე კეთილსინდისიერი პედაგოგია. თ. დაფქვიასვილის მიზანია — განუვითაროს ახალგაზრდა მუსიკოსებს შემოქმედებითი დამოუკიდებლობა, მაღალი გემოვნება, მუსიკალური კულტურა, სიხალისეანი ღტოლვა. მისი სტუდენტების შესრულებით აქედრდენ დებიუსის, პროკოფიევის, ხინდემიტის, ბრიტენის, ხაინიხენის რთული ანსამბლური ნაწარმოებები. თ. დაფქვიასვილის კლასის სტუდენტებმა საბჭოთა კავშირში პირველად შეასრულეს თანამედროვე გერმანული კომპოზიტორის რიტმული ნაწარმოები. მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორმა მ. მილანომა, რომელიც კონსერვატორიის სახელმწიფო გამოცდების კომისიის თავმჯდომარე იყო, ამ ნაწარმოების თვალსაზრისით შესრულებისათვის თ. დაფქვიასვილს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

თ. დაფქვიასვილის პედაგოგიურმა მოღვაწეობამ არაერთხელ დაიმსახურა გამოჩენილი საბჭოთა მუსიკოსების — ნეიპაუზის, გოლდენვეიზრის, გოლუბოვსკის, ფეინბერგის, იონელისა და სხვების მაღალი შეფასება. თ. დაფქვიასვილი სამართლიანად სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით კოლეგებსა და სტუდენტებს შორის. მისმა ენერგიულმა და თავდადებათა სათანადო ნაყოფი გამოიღო, მან აღზარდა კამერული ანსამბლისა და სპეციალური ფორტეპიანოს კლასებში ასზე მეტი მუსიკოსი, რომელნიც დღეა ნაყოფიერად მოღვაწეობენ საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. მრავალი მათგანი გახდა კონსერვატორიის პროფესორი, დოცენტი, პედაგოგი, ასისტენტი, ასპირანტი თუ კონცერტმასტერი, მათ შორის არიან ფილარმონიის სოლისტებიც.

მუსიკალური განმანათლებლობისაკენ მიდრეკილება, მუსიკალური ნაწარმოებების ფართო პროპაგანდა თ. დაფქვიასვილის ცხოვრების აქტიური იმპულსია. ამიტომაც იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა სამტრედიისა და თბილისის IV მუსიკალური სასწავლებლების პედაგოგ-კონსულტანტად. აუნაზღაურებლად მედადნიებდა ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფთან, რომელიც შემდეგ რეორგანიზებულ იქნა კონსერვა-

ტორიასთან არსებულ მუსიკალურ ათწილეში, დიდი საზნაშულო ომის წლებში თ. დაფქვიასვილის კლასის სტუდენტთა ძალიერი იმართებოდა კონცერტები, რომელთა შემოსავლიც განკუთვნილი იყო ფრნტულთა ოჯახების დასახმარებელი ფონდისათვის.

განმანათლებლობისაკენ სწრაფვამ განაპირობა აგრეთვე ძალზე სერიოზული ნაწარმოის შექმნაც, იგი ავტორია პირველი და ჯერ კიდევ ენათმეცნიერ, მუსიკალური ტერმინთა ლექსიკონისაა ქართულ ენაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ლექსიკონის შექმნის იდეა დაიბადა სტუდენტთა მიერ მუსიკალური ტერმინების წაკითხვისას მათი კომიკური დამახინჯებისა და უცოდინარობის წყალობით. და აი, ომის შემდეგმ წლებში (მაშინ აშკარი ლექსიკონები რუსულ ენაზეც იმეათობის წარმოადგენდა, გამონაკლისი იყო მხოლოდ ცადიკის ჯიბის ტერმინოლოგიური სიტყვარი) თ. დაფქვიასვილმა თავი მოუყარა ოთხ ათასამდე უცხოური მუსიკალურ ტერმინს, მოახდინა მათი ტრანსკრიბირება და თარგმნა ქართულ ენაზე. შემდეგში იგი ამდიდრებდა და აწარმოებდა ამ შრომას, რომელიც 1965 წელს გამოსცა „სახელგანამცე“.

„მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი“ შედგენილია განმარტებითი ლექსიკონების მსგავსად. გამოყენებულია ვრცელი ტაქტივის ფორმა, გაერთიანებულია თითქმის ყველა მეტაკლებად მნიშვნელოვანი ტერმინი, რომელნიც შეიკუთვნებიან მუსიკის თეორიას, აკუსტიკას, პოლიფონიას და ორკესტრობას. ყოველ შემთხვევასთან შესაბამისად ავტორი თავის ახსნა-განმარტებებში მოცემული მუსიკალური ტერმინის შინაარსს ამ მის მუსიკალური გაგებას ახუტავს ცნობებით ისტორიული წარმოშობისა და განვითარებისა, აღნიშნავს სხვადასხვა ნიუანსების მნიშვნელობას სხვადასხვა მუსიკალურ ძანრებსა და მუსიკალურ დარგებში, იშვლენებს შეხედულებებს მუსიკალური ესთეტიკისა და ფილოსოფიის სფეროდან. მოაქვს ტიპური მაგალითები ქართული, რუსი და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა შემოქმედებიდან. ამიტომაც ეს შრომა ატარებს მუსიკის-მცოდნეობის ნაშრომის სახიასი“. ასე შეაფასა ეს ლექსიკონი პროფესორმა შალვა ასლანიშვილმა. ამ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის განამეცნიერების ინსტიტუტმა და ფართო მუსიკალურ რმა საზოგადოებამ. ამჟამად თ. დაფქვიასვილი მუშაობს რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონზე და აგრეთვე ლექსიკონზე, რომელიც შეიცავს მთელს მუსიკალურ მუსიკოსთა ბიოგრაფიებსაც.

ასე ყალბადებოდა თ. დაფქვიასვილის — მუსიკოს-შემსრულებლის, პედაგოგისა და დავიერებელი მკვლევარის შემოქმედებითი თვისებები. ბიანისტის უკანასკნელი ავლირსხლა, მისი კლასის სტუდენტების კონცერტები გაღიერებალ ჩანააფიქრებს, ძიებებსა და წარმატებებს, ჩვეული ენერგიის ცლილმყოფელობას. ვესურვით თ. დაფქვიასვილის ახალი წარმატებები მის მრავალფეროვან შემოქმედებით მოღვაწეობაში.



ა. ლისენკო.

ათას ცხრაას ორმოცდაერთი წელი

## გვირული საბჭოთა არმიის დღესასწაული

ი. ნეპრინცევი.

დასვენება ბრძოლის შემდეგ.



# რუსთაველის თეატრი და სანდრო ასებტელი

შალვა შაველაშვილი

ფორმით მარმანული და შინაარსით ინტერნაციონალური — ასეთი იყო რუსთაველის თეატრის დევიზი იმ პერიოდში, როდესაც დირექტორად, სამხატვრო ნაწილის გამგედ და მთავარ რეჟისორად სანდრო ასებტელი მუშაობდა. ეს იყო ძალზე მოკლე პერიოდი, დასალოებით ათი წელიწადი; ამ დრომ სწრაფად გაქაროდა მაჟურბების წინაშე... წარმოუდგენელი იყო რუსთაველის თეატრი სანდრო ასებტელის გარეშე. თეატრს აღარ ჰქონდა ის დეროტა, რომელიც გაქაჩნებას და დაუშრეტელ შემოქმედებით ენერჯის მატებას, მიუხედავად ამისა, სანდრო ასებტელის შემდეგაც რუსთაველის თეატრი 10-15 წლის განმავლობაში მინც ძველი ინერციით მიდიოდა. თეატრში დარჩენილი მსახიობები და რეჟისორები ისევ ახმეტელისებურად განაგრძობდნენ შემოქმედებას. ასე დაიდა ალ. სუმბაგაშვილის „ლალატი“, რომელიც მაჟურბებელმა კარგად მიიღო. მასში მონაწილეობდნენ ახმეტელის შემოქმედებით ქრუსში გამოწრთობილა მსახიობები: გიორგი დავითაშვილი, მიხეილი ჩიხლაძე, მერი ჭაჩანაშვილი, სტეფანე ჭაფარიძე, ემანუელი ავახიძე, ნინო ლაფანი, ვალერიან დლოძიძე და სხვები. ახმეტელის შემდეგ დაიდა: „ფლანდრია“, „სამშობლო“, „დიდი ხელმწიფე“, „ბოვან ხმელნიცი“, „თოფიანი კაცი“, „ილაჯარო“, „არსენა“, „ოტელიო“, „ოიდიასი მეფე“.

თითხმეტი წლის უკე ვახერხები თეატრში შესვლას. ამაში დიდ დახმარებას მიწედა ჩვენებური — კასელი კაცი, დურგალი დიმიტრი (მიტრო) ნონიაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ კოტე მარჯანიშვილისა და შემდეგ სანდრო ასებტელის ხელმძღვანელობის დროს რუსთაველის თეატრში დეკორაციებს აკეთებდა. დიმიტრი ძალიან გატაცებული იყო თეატრით. ზეპირად იცოდა მრავალი რაოლი, ცალკეული ფრაზები.

ხშირად რეჟისორის დროსაც შეესწრებოდა ახმეტელს. კულისებში მიყუებული გაფაციკებით ვადვენები თვალურს დიდ რეჟისორს. მაგონდება ასეთი შემთხვევა:

მიღობდა ერთი მიზანსენის რეპრეტიცია „ლამარას“ მესამე მოქმედებდან. რუსთაველის თეატრში იმ დროს ორი გიორგი დავითაშვილი იყო. ერთი რუსულბელის სახალხო არტიტი, მეორე კი — ახალგაზრდა ბოღბელი ჭაბუკი. ამის გამო პატარა

გიორგის თეატრში გიორგი ბოღბელი დაარქვეს. ასე იწერებოდა აფიშებშიც.

ადრე „ლამარას“ ლაგაზის როლს ბენაშვილი ასრულებდა (სახელი აღარ მახსენდება). შემდეგ კი, არ ვიცი რა მიზეზით, სანდრომ ლაგაზის როლი ბოღბელს მისცა.

სცენაზე ამალუბული მწვანე კორდი იყო.

— აღი ზეითი, — მიმართა მსახიობს ახმეტელმა. ბოღბელი ავიდა და დაჯდა. ამ დროს სცენაზე შემოდის ვაჟა-ფშაველას როლის შემსრულებელი პლატონ კორიშელი. პიესაში ასეა: ხეცსურები აღტაცებით შეხედებინ ვაჟს გამორჩენს და თ.ნ სობოვენ „მშირი გვიობარ, ვაჟუ“!

— არა, ჩემი მოსაფე ლაგაზი გეტყვით, — ეუბნება ვაჟა მომენტებს.

— დაიწე! — მისცა ნინია რეჟისორმა და ბოღბელმა (ლაგაზმა) დაიწყო ნაწყვების კითხვა ვაჟა-ფშაველას „გველის მკამილიდან“. ლექსი ასე იწყებოდა:

„როცა კი ვაზაფხულდების,  
მოციხშების ჭვეყანა,  
სილაღე, სიმზარულე  
დასეირნობენ ვეველანა.  
ვანდნება ჩირთი ყოილი  
ეკონებინ მწვანესა,  
მინდაც გაფაციკებით  
სულ შემოვიღის მთაველსა...“

სანდრო ასებტელმა შეაჩერა მსახიობი და დაბლა ჩამოსვლა უბრძანა.

მსახიობი კორიდან ჩამოვიდა. ახმეტელმა კი ორკესტრს ლეკური დააკრევინა და ბოღბელი აცეკვა. ეს უველასთვის მოულოდნელი იყო. გუგული ცეკვადა. აქო-იქიდან მსახიობები ტანსაც უარავდნენ. გუგული უფრო ვახალსდა, ემშო შევიდა. ისე კარგად ცეკვადა, რომ თვით ახმეტელი მოვიდა აღტაცებაში.

მაგრამ ჭერ არავინ არ იცოდა, რატომ აცეკვა მსახიობი. რამდენიმე წუთის პაუსის შემდეგ გუგული ისევ კორღე აიყენა და უბრძანა:

— აბა, ახლა თავდენ დაიწე.  
მსახიობმა დაიწყო. წამოიდა ჩანჭკერი. ხმას სასიამოვნო ფლერა მიტეა და გადასვლები უფრო წარმტაცი გახდა, გუგული პოეტური თროლობით განაგრძობდა ლექსის კითხვას:

„...ვევილთ ეს ზნე სჭირთ  
და ხეტეს უფრო მოუვათ ტირილი,  
მარტყას მინდას ესმის  
მათი ცენესა და ჩივილი.  
წივიდა ტრეში ეტელის  
სიტევა, — უნდა მოესტრა ესაო,  
შემოტყრას ცელსა და ამ დროს  
ხს შემოქმდის ცენესაო,  
სხვა ხეს მიმართავს, — ის უფრო  
მეტად დაიწეებს ცენესაო,  
— ნე მოქვლე, ჩემო მინდაც,  
ნე დამინელებ მესესაო...“

ბოლოს დიდმა რეჟისორმა მსახიობს კმაყოფილებით უბრძანა: — აი, ასე უნდა წაიკითხო.

გასაგები გახდა, რეჟისორმა მსახიობი იმისათვის აცეკვა, მოვლენაზე მდგომარეობიდან რომ გამოეყენა. ასეთი შემთხვევები გამოწრების როდი იყო... მაშინ ჩემთვის, არა თქმა უნდა, ყველაფერი გასაგები არ იყო, მაგრამ შემდეგში, როდესაც ანალიზი ვაჟუფერი მომხდარა ფაქტს, დაუფიწარ მოგონებდ დამარბა.

მაგონდება ერთი შემთხვევა: „ანზორის“ მესამე მოქმედებაში მომუშენებური სახანაბობა თვით აულის სურათი. ირაკლი გამრეკლის მხატვრულმა ტალანტმა, გენიალური რეჟისორის შთაოვნებით სასიამოლოდანი სიმაღლის ბანიანი კოშკები მიადგა ერთი თეორებს. ჭვემოდან ზემოთ სახლებს შორის ჩადგმული კიბები ისეთი დიდი ოსტატობით იყო გაყვებული, რომ უველა მიმარბ-



ნენ პროტოკოლებზე. შემდეგ საკუთარი ადლოტი და რეცესორის დედოსტატობით იმერწებოდა და ქანდაკებოდა ესა თუ ის რაღობი.

სანდრო ახმეტელი ისეთ პერიოდში მოღვაწეობდა, როცა ქართული დრამატურგია ფეხს იდგამდა. ამიტომ რეცესორი დრამატურგიათა აშლაშენებდა ორიგინალურ პიესებს. ემხარებოდა მათ პიესის საერთო მიზანდასახულების სრულყოფაში. ასეთები იყო, მაგალითად, ალიო მანაშვილის „განგაშო“, პეტრე სამხონისძის „სანდრო“, სანდრო მანაშვილის „სანდრო“ და „ანთარა“.

ახმეტელი დიდი გულისხურით ეკიდებოდა ქართულ დრამატურგიას. ცნობილი ქართველი მწერალი, აწ განსვენებული რამატიანი შატერაშვილი ჩემი ახლო მეგობარი იყო. მის დანერგვა პიესა, რომელიც სოფლად კოლექტივიზაციის პირველი წლების გამძაფრებულ კლასობრივ ვითარებას ასახავდა, პიესის თავად პირველად „შვიდ გულზეზე“ ერქვა, გიორგიმ იგი რუსთაველის თეატრში წარადგინა. ამის გამო ზმირად დადილთა თეატრში პიესის განსახლება, ერთხელად რუსთაველის პრესაქტეჯ მოკვანლობით, გიორგიმ მითხრა, რუსთაველის თეატრში წამოშვევი, ჩემი პიესის ზედი მინდა გაეყო. სიამოვნებით ვაგვიეთ. თეატრის წინ სანდრო ახმეტელი შევიწმენე. მის ორგულ რამდენიმე კაცი შექვედულყო და რადაცაუე საუბრობდენ.

— ცოტა ხანს შევადლოვ, — ვუთხარი გიორგის — მარტო რომ დარჩება, მერე მივადო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ახმეტელი მოხსახურთა ჯგუფს ვამოვიკ და თეატრის შესახვედობასაც გამოეპარა. ჩვენც მისიკენ წვედით. გიორგი რომ დინახა, ნახიჯი შენაღდა და თავიუე-პული დარბახსდური წარდილობით მოიკითხა. შემდეგ მეც მომე-სალმა.

— ჭო, ციცი, შენი პიესის შესახებ გინდა გაიგო, — თვითონვე წამოვიკო სანდროს, — პიესა მივლედ დანადგებულად. გადაწვე-წიქტ მასში ძირითადედ სულ ახალაწარდები ვითამაში. გიორგი დენიკ კაცი იყო. ვახუანდა, მაგარმ აღტაცება არ გამოუთქამს, ეს იყო, რომ სახეზე ქმყოფილების ეღვრება გადამკრა და მადლობა გადაუხადა. ახმეტელმა წახსოვს წინ თქვა, მე მირჩენება ერთი ახალი დრამატურგი აღმოვაჩინო, ვიდრე აიი ელახისის პიესა დაეცდა.

ეს დიდი შომაგონებელი სიტუაცია იყო გიორგი შატერაშვილისათვის. შეიძლება სწორად ამ ერთმა სიტუაცამ უბიძგა, რომ შესანიშნავმა პოეტმა და უზალი პროზაიკოსმა გიორგი შატერაშვილმა დრამატურგიაშიც თავისი კვილი დატოვა.

გიორგი შატერაშვილის პიესას ახმეტელმა სათაური შეუცვალა — „დუშმანი“ უწოდა და თეატრში დადგა. ამის შემდეგ გიორგი შატერაშვილმა უფრო მეტი ხალხისთვის მიჰყო ხელი და. მატურგიაში მუშაობას და მრავალი პიესა დაწერა. მან შორამ „დიქრის გორა“, „ჩემ ძველ სახლში“, „კიანის პერანგა“, „კეკელინის მე“ და სხვ. ყველა ეს პიესა მაქაჩინოვილის სახელობის თეატრში დაიდგა.

არახოდს არ დამავიწყებდა რუსთაველის თეატრში დამკარებული წესრიგი. მაუკრებელი შეეცა თეატრის რეჟის. საქე-ტულის დაწების შემდეგ არა თუ პარტეტრში, პირველ და მეორე იარსულე ასდელდ არ შეიძლებოდა. მაუკრებელი აწ უნდა დეუ-ცადა მოქმედების დამთავრებისათვის, ის უმხურად ახლყოლი ქანდარაზე. დარბაზში სკამის გაქარქუნება და დახვედლება კუ დიდ უზდრდობად ითვლებოდა.

მსახობებმა იოდდენ, რომ სანდრო ახმეტელი ყველა საქე-ტულს ეწერებოდა, ეს კიდევ უფრო ზრდიდა მსახობის პახუ-სისხვედლობას და შემოქმედებით აღფრთოვანებას.

სანდრო ახმეტელი ანტაქტის დროს ზმირად ფოიეშიც ვაპო-დიოდა. ნაწილობით თავაზიანდ ესაძლებოდა. უყვარდა თავისი თეატრი, თავისი დსი, თავისი მაუკრებელი.

სანდრო ახმეტელი თეატრში პირველი შედიოდა და ბოლო გამოდოდა. დიდი შემოქმედებითი შრომით, გატაცებით უჭირდა მუარ საძირკველს ეროვნულ თეატრს.

დრამატული ხელოვნების შესახებ

სექტემბერს, სხვათა-შორის ერთი ფრიად საზრუნავი საგანი მოაქვს ხოლმე თან. ეს საგანი მნიშვნელობას არ არის მოკლებული ჩვენის ცხოვრებისათვის და ამიტომ არ შეგვიძლია გვერიდ აუარით ამ საზრუნავს გარემოებას. ჩვენის განჯიის ფურკლებზე ამ დღებში იბჭებდებოდა სა-თეატრო განცხადება. მომავალი თეატრის გამგებელი ბ. ვ. აბაშიძე აცხადებს, რომ სათეატრო სესონი დაიწყება ოქ-ტომბრის პირველიდანამა და ვიზოვ, როგორც ძველს, ისე ახალს არტიკლებს, შემეყრან პირობით, ვისაც მათგანს ჩენს დასსში მონაწილეობა სურსო.

ჩანას, თეატრის საქმეს მომავლის სესონისათვის მზრუნ-ველი უნდნება, სანას, ამ ზამთარს უთუატრად არ ვიქნე-ბით და ვინაზე უფრულოს და ერთგავროვანს ცხოვრებას ცო-ტაოდენი ხალისი, მეტირე სიხსოველდ მაინც მიეცემა. მაგ-რამ, ვიქნე ჩვენ ვიტყოდით რამე მომავლის სათეატრო დასის ვიქმედებაზე, საჭიროდ ვაძულოთ პარდენები სიტყვა-ვიქვათ იმსზე, თუ რა ადგილი უჭირავს ესთეტიურის გან-ვიტარებას ხალხის ცხოვრებაში და რა საჯავახობ მდგომ-რებობაშია ის ერი, რომელსაც მეტირე საშუალება აქვს თავის გრძნობის საგარჯიშოდ, საკაცობრიო ენებათა და გულის-თქმითა შესათვისებლად;

კაცობრიობის ისტორიის მსვლელობა გვასწავლის, რომ იმ მსვლელობის უმთავრესი აზრი, დედა-ძარღვი არის პი-როვნების განვითარება, ნადილე კაცად დარდაქნა. სრუ-ლიად პროგრესი, წინსვლა კაცობრიობისა იმაში გამოისახ-ტება, რომ მის ცნობილ ხარისხზე ბევრე კმოვით კაცი, პიროვნება, ინდივიდი განვითარებული, კაცობოყვარე, წინ-სვლა ის არის, რომ გონიერი არსებე დანავრულდ, ან გავე-ლურებულს არსებას კი არ ჰგავდეს, სულიერად კი არ იყოს გამძნარი, რომელსაც მხევეური და გარეული ინსტინქტებით აქვს სავე გული, არამედ სიყვარულით, კეთილის გრძნო-ბით, სიწმინდით იყოს შემეკული და ნამდვილ ქმნილებათა გეირგენის წარმოადგენდეს.

ყოველივე, რაც ისტორიაში, წარსულში შევლოდა ამგ-ვარ მუშაობას კაცის პიროვნების განვითარებისას, პროგ-რესული მოღვენად ითვლება; რაც ისტორიაში კაცის გაკე-თილშობილებისათვის წარმოებულა, ის წარმოადგენს დი-დებულს და სასიქადული საქმეს, ის ირცეება ნათელ ზო-ლად სხვაგორე ბნელ და წყვედად საკუნეთა ბნობაში.

ადგილი სათქმელია დღეს, გრძნობა განვითარებული კაცით, წმინდა და ნათელი არსებათ. პირვანდელი კაცის ტლანასა და მხევე ბუნებაზე უნდა მთელ საკაცობრიო ისტორიის ემუშავა, მთელ ორმოცს და ორმოც საუკუნეს დატარებულბათა თვის შრომა, რომ ადამიანს ადამიანობა დასწინოდა, სიბრყვე გამზორობოდა, ცხოველური ინსტინქ-ტები დაფორუნდა და უარყო, ძალადობა და მტარვლობა შეზიზღებოდა და შეტყვარებოდა ყოველივე კეთილი, მოყ-ვასი თვისი, როგორც თავი თვისი.

ყველა გამორჩენილი მქადაგებელი და მასწავლებელიც, ყველა საკაცობრიო რელიგიების დამაჩინებელიც, ბედა, კონფუციოსი, ზოროასტრი და სხვანი ქადაგებდენ გან-წმენას კაცისას ყოველივე ბოროტებისაგან. თეთი ჩვენი

# ივანე ბაჩაბლის უხმოები წერილები

დიდი ქართველი განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მახაბლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ყოველი სიახლე მკითხველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ცნობილია, რომ სერგეი მესხის შემდეგ გაზეთ „დროების“ რედაქტორი იყო ივანე მახაბელი. იგი თავის გაზეთში წერილებს (მოწინავეებას თუ სხვა) ხან ხელმოუწერლად და ხანაც ფსევდონიმით აქვეყნებდა. მისი ფსევდონიმი იყო „მ“, მისივე გვარის საწყისი ასო).

ივანე მახაბელი, როგორც ფართო განათლების მქონე მოღვაწე და მოაზროვნე, სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის მასალებთან ერთად, აქვეყნებდა წერილებს ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე.

დღეს ქართული გაზეთებისა და ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის წყალობით უკვე დადასტურებულია ივანე მახაბლის მთელი რიგი უცნობი წერილების ავტორობა. ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ ივ. მახაბლის ორ მატად საინტერესო წერილს, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე. პირველი „დრამატული ხელოვნების შესახებ“ (1885 წ., № 125), ხოლო მეორე—

„წერილი ქართველ არტისტებთან“ (1885 წ., № 28). ორივე წერილს მოწერილი აქვს ინიციალი „მ“.

ცნობილია ქართველმა პუბლიცისტმა და მწერალმა ლევან ასათიანმა პირველმა გაარკვია, რომ წერილი „დრამატული ხელოვნების შესახებ“ ნამდვილად ივ. მახაბელს ეკუთვნის. 1936 წელს იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებანი“ გამოცემის შენიშვნებში ლევან ასათიანი წერდა: „მახაბლის კალამს, გარდა შექსპირის ტრაგედიების შესანიშნავი თარგმანისა, ეკუთვნის აგრეთვე პუბლიცისტური, ანალიტიკური და სალიტერატურო ხასიათის მრავალი წერილი. აღსანიშნავია მისი წერილები პოეზიისა და დრამატული ხელოვნების შესახებ „დროებაში“ (№ 125, 1885 წ.). ივანე მახაბელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დრამატულ ხელოვნებას. აღმანიანს ესთეტიკური აღზრთისათვის. ამას წერილის ავტორი მრავალი მოსაზრებით ასაბუთებდა. წერილში მოყვანილი დებულებები დღესაც არ არის აქტუალობას მოკლებული.

ივანე მახაბელი — მშობლიურა ქართული ენის უბადლო მცოდნე, შექსპირის ტრაგედიების გენიალური მთარგმნელი, ბუნებრივია, ვერ იტანდა თეატრის სცენაზე მართლმეტყვე-

ლების ნორმების დარღვევასა თუ დამახინჯებას.

ამას ადასტურებს მისი „წერილი ქართველ არტისტებთან“. ეს მეგობრული შეგონება, ნამდვილად მეგობრული რჩევა იყო თავისი დროის თეატრის მახინჯობებისათვის. ეტყობა, ივანე მახაბელი ამ მხრივ არ მორიდებია ქართული სცენის ისეთ გიჟანტებსაც, როგორიც იყვნენ: ნატო გაბუნია-ცაგაროღია. ვასო ბაშიძე, კოტე მესხი და სხვები, რომელთა სასცენო მეტყველებაში ადგილი ჰქონდა დიქციის დარღვევის შემთხვევებს.

ივანე მახაბლის მითითებებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, განსაკუთრებით იმ მსახიობთა მიმართ, რომლებიც ჩვენი თეატრის სცენაზე არ იცავენ მართლმეტყველებას ნორმებს. მახაბლის თქმისა არ იყოს, მაყურებელი ერთი-ორად უფრო ხალისიანად იღობდა თეატრში კარგი გამოთქმის უქონლობა რომ არ სჭირდებოდა. მხოლოდ იმისთანა თეატრი იქნება დღესდღეობით, რომლის არტისტები რივიან ლაპარაკს არიან შეჩვეულნი.

ქვემოთ მოგვყავს ივანე მახაბლის ორი წერილი მცირეოდენი ოროთგრაფიული ცვლილებებით.

გახტანა კლიპაშინია

მაცხოვრის მალაღი სწავლა დამყარებულია კაცთმოყვარობის იდეაზე. გამოჩენილი სჯულმდებელი უმთავრეს საგნად კაცის კეთილის ინსტიტუტების განვითარებას ცდილობდნენ და ბოროტ გრძობათა მოსპობას, აღმოფხვრას. საუკეთესო მოწყობილობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა ის იყო და არის, რომელიც კაცის ბოროტსა და მხეცურ ინსტიტუტებს გზას უუღობავს, ფრთასა ჰკვეცავს და სამაგიეროდ კეთილ მისწრაფებას უღვივებს.

ამგვარსავე დანიშნულებას ექვემდებარება დღესაც საკაცობრიო ისტორიაში პირვანდელი საერთო დაწესებულებანი, საერთო პოეზია, მუსიკა, გართობა-თამაშობანი.

თვითუღი ამ დაწესებულებათაგანი კერძოდ და ყველაფერი, საზოგადოდ, კაცობრიობის საზოგადო განვითარებასთან

დაკავშირებით წარმოადგენდნენ ძლიერ ფაქტორებს კაცის ზნეობრივი და ესტეტური განვითარებისას. ამ ფაქტორთა შორის საბატო ადგილი უჭირავს პოეზიასაც. „პოეზია რომ არ იყოს, — ამბობს ბერენ, — ხალხის ცხოვრება ერთი დაუსრულებელი სისხლის ღერა იქნებოდა“. მართლაც, პოეზიას დიდი გავლენა აქვს კაცის გრძობაზე, და ამ მხრივ იგი დიდ სამსახურს უწევს საკაცობრიო პროგრესს. იგი აკეთილშობილებს კაცის გრძობას, მოქმედებს გულზე. აგრძობს მის ბუნებას, ლავმავს ბოროტ ინსტიტუტებს და სხვრებს ჩვილ არსებად ჰქმნის, პოეზიის საგანი კაცის სულის ვითარების განმარტება და ამ მხრივ იგი პირდაპირ აღამიანთა სულიერ პროგრესზე მოქმედებს.

პოეზიის გვირგვინი არის დრამა და დრამატული მწერ-



ლობა და რამდენადაც დრამა მალა დგას სხვაგვარ პოეზიაზედ, როგორც თავის სირთულით, ისე შინაარსით (ეს შინაარსი წარმოადგენს კაცთა პირდაპირს მოქმედებას სხვადასხვა გულისთქმათა და ვნებათა ზეგავლენის გამო), იმდენად მისი მოქმედება უფრო ძლიერია ადამიანის ბუნებაზე. მისი ზეგავლენის სფერო უფრო ვრცელია, მისი სახსარნი და იარაღნი უფრო მარჯვენი არიან და ამისათვის დრამის სამსახურიც კაცობრიობის წინაშე მისი სულიერი განვითარების შესახებ უფრო დიდია და უფრო საყურადღებო.

აი, ეს დედა-აზრი უნდა შეიგნოს და შეითვისოს ყოველმა თეატრის მოღვაწემ, რადგანაც თეატრი და სათეატრო დასი უპირველესი მუამავალია, უპირველესი იარაღია დრამის გავლენის გავრცელებისათვის, იმისი კეთილი ზემოქმედების სიტყვისათვის. დრამა თავისთავად უთეატროდ, უდრამატიულდასოდ მოკლებულია თავის ძალას. რაც უფრო თეატრი კარგად სწარმოებს, რაც უფრო დასი მარჯვედ ითავიერია, მით უფრო დიდია გავლენა დრამისა ვრცელ და საზოგადოებაზე, მით უფრო მეტ სამსახურს უწევს იგი ქვეყნის სულიერსა და ესტეტიური განვითარების საქმეს.

თუ ჩვენმა სათეატრო დასმა შეიგნოს ეს დიდი მნიშვნელობა დრამისა და თეატრისა, თუ ამ შეგნებით მან უფრო გონიერად ერთ-სულად და ერთგულად თანხმობით და ბეჯითად აწარმოვა თავისი მნიშვნელობით სავეს საქმე, მისი დღეწერი დიდი იქნება ერისა და ქვეყნის წინაშე.

რასაკვირველია, რომ თვით დრამაც თავისთავად სუსტია უდასოდ, უთეატროდ, ისევე როგორც დასი და თეატრი უდასურია და ხელ-მოკლე უდრამოდ. ამიტომ სასურველია, რომ თვით დრამატული მწერლობა შეიგნოს და გავრცელდეს. დრამატული მწერალნი განმსჭვალონ თავის ხელობის დიდი საგნებლობით და მეტი ყურადღება ათხოვიან დრამის და სადრამო თხზულებათ.

ვისურვებთ, რომ მომავალს სეზონს დაემსახურებინოს ყურადღება ჩვენი საზოგადოებისა, რომ დასმა მხნედ და თანხმობით აწარმოოს საქმე და ჩვენმა მწერლობამაც არ დაიშუროს თავისი ნიჭი, ღონე და შეძლება თავიანთი ერის სულიერსა და ესტეტიური განვითარებისათვის.

**წარილი პარტიველ არბისტაბათა**

თავის დღემი ქართველების საზოგადოებას ისეთი ხალისით არ უვლია ქართულ წარმოდგენებზე, როგორც ამ უკანასკნელ ხანს დიდის, — მაგრამ ერთი-ორად უფრო ხალისიანათ ივლიდა, ჩვენ არტიტებს ერთი შესანიშნავი ნაკლოვანება რომ არ სჭირდებოდა. ეს ნაკლოვანება — კარგი გამოთქმის უქონლობა.

მხოლოდ საფაროვის ქალსა აქვს იმისთანა მშვენიერი, კაფიერი გამოთქმა, რომ რაც უნდა ჩქარა ლაპარაკობდეს, მაინც ყოველი იმისი სიტყვა სულ უკანასკნელ სკამებზე მსხლემებსაც კი ესმით.

გაბუნიას ქალი, როდესაც გაცხარდება ხოლმე, თითქმის მივლ სიტყვებს ყლაპავს, და როცა დარბაისლურად ლაპარაკობს, მაშინაც ძალიან უჭირდება, უფრო იმის გამო,

რომ არ არის ცოტა დრმა ლაპარაკს შეწვეული და ხშირად ამგვარი ლაპარაკის დროს ისე ენებვა თავებოდ, რომ შუაზედ გაიწრდება და გაგრძელებას ვეღარ ახერხებს. ეს დაემართა აკ. წერეთლის „კინტოს“ წარმოდგენის დროს, როდესაც თავის ქმრის მეგობარს ელაპარაკებოდა.

ეს სხვაფრეე ჩინებული არტიტი ისე არ არის შეწვეული სიტყვების რიგანათ გამოთქმას, რომ ამ ახელი სიტყვის — „უსენდისოს“ გამოთქმაც კი არ ეხერხება, რადგანარად შუაზე ჰჭოფს ამ სიტყვას და ისე რიგათ ამბობს, თითქმის ყელზე ფხა გაიწრებია.

ყვიფიანს ქალი ისეთი სიმღერის კილოთი ლაპარაკობს, რომ საწარძელშიაც კი ვერ არკვევენ იმის სიტყვებს და სიტყვების მაგიერად მოისმის უცნაური კილო არც თუ სიმღერის, არც ლაპარაკისა.

ვ. აბაშიძე ენას უკიდებს და თუმცა ეტყობა, რომ ცდილობს ამ ნაკულევენების შესწორებას, მაგრამ ეს ცდა დიდ-ხანს უნდა გაგრძელდეს, თუ რიგიანის გამოთქმის სწავლა უნდა.

კ. ყვიფიანსაც რადეცნარი საოცარი გამოთქმა აქვს. სიტყვის პირველ ნახევარს კი კარგად ამბობს, მაგრამ სხვა კი სადაც ჰქრება: კაცს ასე ჰგონია სიტყვის მეორე ნახევარმა მუცელში ჩაიყურყურეულაყა.

დიდათ მესცდებიან ჩვენი არტიტები, თუ იფიქრებენ. რომ მე ამ მცირე შენიშვნით მათი გაკაცება მიხდა. სრულეობითაც არა. ევეც კარგია სათვან, აგრე ახერხებენ წარმოდგენას. მე ამ შენიშვნით მიხდიდა მათი ყურადღება მიმეცნა მასზედ, რომ მხოლოდ იმისთანა თეატრი იქნება დღე-გრძელი, რომლის არტიტები რიგან ლაპარაკს არიან შეწყვეული. მაშინ არც ერთი მათი სიტყვა მაყურებლებს არ გამოეპარებათ და, რასაკვირველია, უფრო გულმოდგინედ დაუგდებენ ყურს.

სადაც სამუდამო თეატრებია დაარსებული, იქ არტიტებისათვის სკოლაა გამართული, იმ სკოლაში სათეატრო ხელოვნების გარდა ასწავლიან კარგ დეკლამაციას, ესე იგი კარგის გამოთქმით კითხვას.

რასაკვირველია, იქაურს არტიტებს კარგი გამოთქმა ვეწნებთ. ჩვენმა არტიტებმა რაღა ქნან, რომელთაც სათეატრო ხელოვნების სკოლათ მხოლოდ თავიანთი სახლი აქვთ, სადაც ნახევარზედ უცხო ენაზედ ლაპარაკობენ და რომელთაც დეკლამაციის მასწავლებლათ ერთმანეთთან წაკიდებული, გაწერბებული მეზობლის დედა-კაცები ჰყავთ. ჩვენს არტიტებს ერთი დონედა დარჩენიათ: უნდა ხშირად მოიყარონ ხოლმე თავი ერთად, იკითხონ ქართული ლ, ბი, კარგი ენით დაწერილი პროზა, და ენა შეაწი... თულ რიგან კითხვას. იმედია მაქვს, რომ არც სხვა ქართული ენის მცოდნე პირნი და კარგი მცითხველი დაზარალებიან ორ კვირაში, თვეში ერთხელ თითო საღამოს შეწირვას, რომ ხანდახან თვითონაც წაუკითხონ და ცუდათ მცითხველ არტიტებს გაუსწორონ კითხვა.

თუ ამ რჩევას მიჰყვანენ, მაშინ ყველა მათგანი ქართული ენას უფრო გაიკეთავს და ქართული წარმოდგენები, თუ ეხლა სასამოვნონი არიან, მაშინ ერთი-ორათ მეტად გაუკეთესდებიან.

არწივი ვნახე დაქრილი  
 უვავ-უორნებს ეომებოდა,  
 ეწადა ბერავს ადგომა,  
 მაგრამ ვეღარა დგებოდა. —

ვაჟას ეს სიტყვებია ამოკვეთილი რუხი გრანიტის კვარცხლბეგზე, რომელსაც ბრძოლის ველზე დაცემული, მუხლმოკვეთილი ვაჟაკის ხუთმეტრიანი ბრინჯაოს ფიგურა ეყრდნობა. დიახ, ეყრდნობა მხოლოდ, რადგან მას ძლიერი, კუნთმაგარი მკლავიდან მახვილი არ გაუგდია, თითქოს სწაღია კიდევ ერთხელ წამოიწიოს და ვაჟაკურად შეუტეოს მტერს, მაგრამ



დიდების მონუმენტი „დაქრილი არწივი“  
 ზესტაფონში. მოქანდაკე ე. ამაშუკელი,  
 არქიტექტორი ვ. დავითაია.



ს  
 ა  
 ბ  
 გ  
 დ  
 ე  
 ვ  
 ჯ  
 კ  
 ლ  
 მ  
 ნ  
 ი  
 პ  
 რ  
 ს  
 ტ  
 თ  
 ც  
 ჩ  
 ცხ  
 ქ  
 ჭ  
 ღ  
 ჯ  
 ლ  
 მ  
 ნ  
 ი  
 პ  
 რ  
 ს  
 ტ  
 თ  
 ც  
 ჩ  
 ცხ  
 ქ  
 ჭ  
 ღ  
 ჯ

ვაგლას, რომ მის ტანჯულ სახეზე სიცოცხლის ცეცხლი ნელ-ნელა ქრება.

ძეგლი, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისათვის დაცემულ გმირთა სამარადისო სსონას მიეძღვნა, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, ცნობილ ქართველ მოქანდაკეს ელგუჯა ამაშუკელსა და ნიჭიერ არქიტექტორს ვახტანგ დავითიას გუთვნის. იგი ოქტომბრის რევოლუციის 53-ე წლისთავის დღესასწაულის საზეიმო დღეებში დაიდგა ზესტაფონის ცენტრალურ მოედანზე.

ეს ქანდაკება სიმბოლოა იმ ქართველ გმირთა უკვადავებისა, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებასა და უკეთეს მომავალს შეეწირნენ.

ხელოვანმა ოსტატურად გადმოსცა ქართველ დევეგმირთა მებრძოლი სული, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდეც კი ფარ-ხმალს არ ჰყრის და მტერს ზურგს არ უჩვენებს.

ქანდაკება ხელოვანის მორიგი გამარჯვებაა და ღირსეულ ადგილს იჭერს მის საუკეთესო ნამუშევართა შორის.

მონუმენტის გახსნის დღეს ზესტაფონის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა საზეიმო მიტინგი. იგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ვერულაშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ სამამულო ომის მონაწილე მ. თუმეშიერი, მოსწავლე რ. ნებიერიძე, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ა. ლომიაძე, რაიონის სამხედრო კომისარიატიდან შ. მაისურაძე, მასწავლებელი გ. სადუნეშვილი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, მეტალურგი, სოციალისტური შრომის გმირი კ. მდივანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი კ. ჭანკვეტაძე, ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძე, მწერალი მ. ელიოზიშვილი და სხვები.

ნუზარ ბოკუჩავა

# მ ზ ე ჭ ა გ უ კ ი

ლეილა თაბუკაშვილი

მბილჩის სპორტის სასახლის წინ გაშლილ მოედანზე ჭაბუკი სპორტსმენის სკულპტურული ფიგურა აღიმართა. „მზეჭაბუკმა“ მართლაც სიჯანსაღის, სიჭაბუკისა და აღამაინის ახალგაზრდა სხეულის პლასტიკური მშვენიერების მზიური შუქი მოასხივა ირგვლივ და სულ სხვა იერი შეძინა ჩვენი დღაქალაქის ამ ერთ-ერთ ახალ, წარმატებულს.

ნიჭიერი ქართველი მოქანდაკეების მაღალმხატვრული ქმნილებანი სულ უფრო მრავლად ვგვხვდება არა მარტო თბილისის ქუჩებსა თუ მოედნებზე, არამედ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთაც. ბოლო ხანებში შექმნილი არა ერთი და ორი მონუმენტური სკულპტურული ნაწარმოები ირგანულად ჩაიწერა ჩვენი დღაქალაქის არქიტექტურულ ლანდშაფტში და ხალხის ფართო აღიარება მოიპოვა.

ჯუნა მიქაბაძის „მზეჭაბუკი“ მოქანდაკის მიერ ჯერ კიდევ ადრე დაწყებულ შემოქმედებით ძიებთა დაგვირგვინებაა. მის წინაპორბედად გვევლინება სადიპლომო შრომა, რომელიც სტუდენტმა-დიპლომანტმა შექმნა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ისევე როგორც მოსკოვში დადგმული გურამ კორძაბას „მაია-კოვსკი“, მერაბ ბებენიშვილის „შოთა რუსთაველი“, თენგიზ ღვიწინაშვილის „ივანე ჯავახიშვილი“ — თბილისის უნივერსიტეტის ეზოში,

ჯუნა მიქაბაძის „მზეჭაბუკის“ წინამორბედიც აკადემიის კედლებში „მოინათლა“. მაგრამ თუ აკადემიური „ჭაბუკი“ ჯერ კიდევ ყრმა იყო და ზრდადაპურებელი, ვიდრე სპორტის სასახლესთან მივიდოდა, უკვე მოწიფული, ჩამოყალიბებულ, მართლაც მშვენიერ „მზეჭაბუკად“ იქცა. სრულიად ახალი იდეური ჩანაფიქრის საფუძველზე მოქანდაკემ ახლებური, სხვაგვარი კომპოზიციის შექმნა. თუ ადრინდელი ნამუშევარი კამერულ ხასიათს ატარებდა, ეს ფიგურა თავისი გააზრებითა და პლასტიკური ხორცშესხმით მონუმენტური ქმნილებაა.

მაგრამ მისთვის განკუთვნილ პოსტამენტზე „მზეჭაბუკი“ არ შემდგარა თავმოწონედ და საკუთარი სილამაზით მოხიბლულის კოწწათობით. ახალგაზრდა სპორტსმენის გარგნულ მშვენიერებას სწორედ ის უსვამს ხაზს და აძლიერებს, რომ მთელ მის იერში, სხეულის მოძრაობასა და დგომაში ვაჟკაციური უბრალობა და კეთილშობილება იკითხება. გარგნობის ტიპიური ქართული, ერთგული ნიშნები და შინაგანი სულეობი დაბახათება „მზეჭაბუკის“ ასე ნაცნობსა და მახლობელს ხდის თბილისელთათვის, ხოლო უცხოელთათვის კი მოხდენილ, გულდა მასპინძლად. ჭაბუკი როდი პოზიორობს, მის თავდაჭაბუკი ხელოვნურობის, დაძაბულობის ნიშანწყალიც კი არ ატყვია, იგი თითქოს წაშიერ მოძრაობაში შეერებულაო. დახვეწილი

ჟ. მიქატაძე.  
შხევაბუჯი.

პროპორციები და პლასტიკური ფორმები, სხეულის გრაციოზული და ნატიფი სილუეტი ამ ქმნილებას მსატრული გამომსახველობის დიდ ძალას ანიჭებს ყოველი მხრიდან, საიდანაც არ უნდა შეხედოთ.

„შხევაბუჯი“ პირველი შიშველი ფიგურაა თბილისში დადგმულ მონუმენტურ ქანდაკებათა შორის. რა ლქმა უნდა, თემის გადაწყვეტისას მოქანდაკეს შეეძლო წასულიყო სიმბოლიკისა და ალგორიის გზითაც, ამოსავლად გაეხადა დეკორატიული სკულპტურისათვის ნიშანდობლივი პირობითობა, მაგრამ მან კლასიკური პრინციპი აირჩია და კლასიკურად დახვეწილი მსატრული ქმნილება წარმოგიდგინა. ნაწარმოებისადმი ამგვარი მიდგომა — მოუძველებელი და უძველესი, როგორც თვით ხელოვნება, იოლი ამოცანის წინაშე ზოდი აყენებდა მოქანდაკეს. პირიქით, კლასიკური ხელოვნების სწორუპოვარ ნიმუშებს მსოფლიო ხელოვნების საგანდურში შეუძლებელია არ განეხანდღვრა შემოქმედის ლტოლვა მაღალი იდეალის მიახლოებისაკენ. ტალანტი და პროფესიული დახელოვნება, მსატრული იდეის სიცხადე და შთაგონებელი შრომა მიზნის ნიაღვრეად მოქანდაკეს დაემშრა შექმნა სპორტის სასახლის დინჯ, მასიურ ნაგებობასთან და მთელ გარემო არქიტექტურულ განაშენიანებასთან კარგად შეხამებული მონუმენტური სკულპტურული ფიგურა.





# საქსოვრებალი განაშენიანების სტრატეგიული

## პოლიტიკის პარტიული განვითარება

გიორგი ხუხუნაშვილი

ქალაქის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი საცხოვრებელ განაშენიანებას უჭირავს. თანამედროვე ქალაქ-გეგმარებითი პრინციპების საფუძველზე, საცხოვრებელი ზონა საცხოვრებელ რაიონად და მიკრორაიონად იყოფა. მიკრორაიონი წარმოადგენს ქალაქის საცხოვრებელი ზონის ძირითად სტრუქტურულ ელემენტს, რომელიც, თავის მხრივ, შედგება სამი მთავარი ელემენტისაგან: საცხოვრებელი ნაგებობა, ყოველდღიურ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები (მაღაზიები, სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები და სხვა), გარე გარემო, მიკრორაიონის გაუმწებელი ტერიტორია (პარკები, სკვერები, სპორტული მოედნები, ავტოსადგომები, ქუჩები, მოედნები და სხვა).

აღნიშნული ელემენტები, ფუნქციონალურად და სივრცობრივად, მჭიდროდ არიან დაკავშირებული ურთიერთთან, რის შედეგადაც ერთ-ერთი მათგანის ცვლილება გავლენას ახდენს დანარჩენ ელემენტებზე და იწვევს მათი შეცვლას და განვითარების აუცილებლობას.

როგორც ცნობილია, განაშენიანების სისტემა არის ხელოვნური გარემო, რომლის შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია საცხოვრებლისადმი მოთხოვნილებების არსებობით. ამიტომ მისი ყოველი ელემენტი და მომსახურების ყოველი სფერო, უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის ფუნქციონალურ და ესთეტიკურ მოთხოვნილებებს.

საზოგადოების გარკვეულ ეტაპზე, როდესაც საცხოვრებელი განაშენიანების სისტემა კარგავს სიცოცხლისუნარიანობას, ე. ი. სრულად ვეღარ პასუხობს ადამიანის მოთხოვნილებებს, იცვლება მისი სტრუქტურული აგებულება. ამის შედეგად იგი შედის განვითარების ახალ ეტაპში. ბუნებრივია, რომ საცხოვრებელი განაშენიანების სისტემის განვითარება ძირითადად დამოკიდებულია მისდამი მოთხოვნილებათა ცვლილებების ხასიათთან — ადამიანის მოვლამხედველობის, მატერიალური და კულტურული დონის ცვლასა და განვითარებასთან.

ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს ორ, მიზეზ-შედეგობრივად ურთიერთდაკავშირებულ ცვლად სისტემასთან. პირველი არის საცხოვრებლისადმი ადამიანის მოთხოვნილებათა ერთიანობა; მეორე — ფიზიკური ელემენტებისაგან შემდგარი საცხოვრებელი განაშენიანება.

ცვლადობის ხასიათი ეს სისტემები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან საცხოვრებლისადმი მოთხოვნილების სისტემის ცვლილებები დაკავშირებულია ადამიანთან, ის უსასრულოდ იცვლის მდგომარეობას, პირობებს და ამის შედეგად განუწყვეტილად იცვლება და ვითარდება. ხელოვნური გარემო, — საცხოვრებელი განა-

შენიანების სისტემა, — წარმოადგენს ტექნიკურ სტრუქტურას, რომელიც მკაცრად შესაბამება გარკვეულ პირობებს, საცხოვრებლისადმი ადამიანის მოთხოვნილებების ერთ გარკვეულ კომპლექსს და ამიტომ იგი მთელი საექსპლუატაციო პერიოდის მანძილზე არ იცვლება.

ამ სისტემებს შორის ცვალებადობის ხასიათის სხვადასხვაობის შედეგად, განვითარების პროცესში, შეიძლება წარმოიშვას წინააღმდეგობები. ეს მოხდება, თუ ერთი სისტემა განვითარების ტემპით წინ უსწრებს მეორეს. მაგალითად, თუ ადამიანის მოთხოვნილებათა ცვლილებები საცხოვრებელი სისტემის საექსპლუატაციო პერიოდში მოხდება, საცხოვრებელი სისტემა, რომელიც უცვლელი სტრუქტურაა, დაკარგავს სიცოცხლისუნარიანობას.

საზოგადოების განვითარების ადრულ ეტაპებზე მოთხოვნილებების უწყვეტად განვითარებული სისტემის ურთიერთდამოკიდებულებაში, ნაგებობების საექსპლუატაციო პერიოდის მანძილზე ადვილი არ ქონდა მათ შორის მსგავსი წინააღმდეგობების წარმოშობას. მაშასადამე, არ შეინიშნებოდა საცხოვრებლის მორალურად გაცვეთის შემთხვევებიც. ეს ახსნება იმ გარემოებით, რომ მაშინ საზოგადოების განვითარებისა და საცხოვრებლისადმი მოთხოვნილებების ცვლის პროცესი იმდენად ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რომ ნაგებობები მთელი საექსპლუატაციო პერიოდის მანძილზე ინარჩუნებდნენ სიცოცხლისუნარიანობას. ე. ი. საცხოვრებელი სისტემის ფიზიკურად და მორალურად გაცვეთის პერიოდები ემთხვეოდნენ ერთმანეთს. გვხვდება აგრეთვე შემთხვევები, როდესაც საცხოვრებელი ნაგებობების ფიზიკურად დაძველება წინ უსწრებს მის მორალურ გაცვეთას. მაგრამ დაწვეული XX საუკუნის პირველი ნახევარიდან უკვე შეინიშნება ნაგებობების მორალურად და ფიზიკურად გაცვეთის შორის სხვაობის თანდათანობითი ზრდა. ჩვენი საუკუნის 30-40-იან წლებში, ეს სხვაობა აღწევს საგრძნობ სიდიდეს, ხოლო 50-იანი წლებიდან 10-12 წლის შემდეგ საცხოვრებელი სისტემა უკვე სრულად ვეღარ პასუხობს ადამიანთა გაზრდილ მოთხოვნილებებს და მორალურად ცვედება.

საცხოვრებლის მორალურად გაცვეთის პროცესის დაჩქარება გამოწვეულია საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონის სწრაფი ზრდით. მოთხოვნილებების ცვლამ, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა ბინათმშენებლობის განვითარების საერთო ტემპებზე, რის შედეგადაც ხდება საცხოვრებელი განაშენიანების სტრუქტურული აგებულების არსებული პრინციპებიდან ახალზე გადასვლა. განვითარება 10-12 წლის შემდეგ, ე. ი. ადამიანის მოთხოვნილებების ცვლილების შესაბამისად.

ბინათმშენებლობის საერთო განვითარების თვალსაზრისით აღნიშნული პროცესი კანონზომიერად ითვლება, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, სახელდობრ: მართალია, გაიზარდა ადამიანის მოთხოვნილებების და, შესაბამისად, ბინათმშენებლობის საერთო განვითარების ტემპები, მაგრამ უცვლელი დარჩა ნაგებობებისა და სისტემების ექსპლუატაციის დრო, რის შედეგადაც საცხოვრებლის სტრუქტურული აგებულების მოთხოვნილებებისა და ახალზე გადასვლის შედეგ ძველი, უკვე ამყენებული სისტემები, საქმალუატაციო პერიოდის გასვლამდე მორალურად ცვდებიან.

სისტემას რომ სათანადო სიცოცხლისუნარიანობა დაუბრუნდეს, რომ არ დაეუწყათ მისი მორალური გაცვეთა, საჭიროა ჩატარდეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მაგრამ ასეთი საბუთაობის ჩატარება რეკომენდებული არ არის საქმალუატაციო პერიოდში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაგებობების საქმალუატაციო პერიოდი გრძელდება 70-100 წელს, ხოლო, თანამედროვე ეტაპზე, სისტემის არსებული სტრუქტურული აგებულების შეცვლის აუცილებლობა დგება მისი ამყენებიდან 10-12 წლის შემდეგ, დატრუნდებით, რომ საცხოვრებელი სისტემა, რომელიც ამყენდება ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში, მისი ექსპლუატაციის პერიოდის უმეტეს ნაწილს გაატარებს საცხოვრებლად ნაკლებად ზღვასაყრელ პირობებში.

საცხოვრებელი განაშენიანების სისტემა რომ ექსპლუატაციის დროს არ გაცედეს მორალურად, ჩვენი აზრით, საჭიროა ნაგებობის საქმალუატაციო პერიოდში ემთხვეოდეს მისი სტრუქტურული აგებულების მორალურად გაცვეთის პერიოდს, ან სისტემა ფლობდეს ელემენტების რაოდენობრივი ცვლილებების უზარმაზარ ექსპლუატაციის პერიოდის მანძილზე.

ცნობილია, რომ ნაგებობების საქმალუატაციო პერიოდი დამოკიდებულია სამშენებლო მასალაზე და განისაზღვრება იმისა და მიხედვით, თუ რა სახის მასალებს ვიყენებთ მათს გასაშენებლად. ამიტომ, ცხოვრებაში პირველი მეთოდის გასატარებლად უნდა გვეზრდეს ისეთი სამშენებლო მასალები, რომელთა საქმალუატაციო დრო ახლოს იქნება ადამიანთა მოთხოვნილებების ცვლის დროსთან. მშენებლობისათვის ასეთი მასალების გამოყენება საშუალებას მოგვცემს ნაგებობების მორალურად გაცვეთის შემთხვევაში, მივიღოთ სათანადო ღონისძიებები მისი ლიკვიდაციისათვის, სახელდობრ: ძველი, არსებული და ფიზიკურად გაცვეთილი ელემენტები შეიცვალოს ისეთი ახლით, რომელიც უახსუბებს ადამიანის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ვინაიდან განვითარების თანამედროვე ეტაპზე ასეთი მასალები (პლასტიკური და სხვა) ჯერ კიდევ საჭირო რაოდენობით არ მოგვეპოვება მასობრივი მშენებლობისათვის, საკითხის გადასაწყვეტლად მიზანშეწონილია მეორე მეთოდის გამოყენება.

ამ მეთოდის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საცხოვრებელი განაშენიანების სისტემის სტრუქტურული აგებულება გავხადოთ მიწილი, რომელიც „ირეაგირებს მოთხოვნილების ცვლაზე და შეიცვლება მის შესაბამისად“, ე. ი. სისტემის ექსპლუატაციის პერიოდში, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებლად შესაძლებელი იქნება მისი ელემენტებისა და საერთო სტრუქტურული აგებულების, მოთხოვნილების მიხედვით ცვლა და განვითარება.

აინიშნული ამოცანის გადასაწყვეტლად საჭიროა დავადგინოთ, თუ რა სახის ცვლილებების მიხედნა იქნება საჭირო სისტემაში იმისათვის, რომ მან ექსპლუატაციის მან-

ძილზე შეინარჩუნოს სიცოცხლისუნარიანობა, ხოლო ამ საკითხის განსაზღვრისათვის აუცილებელია ისეთი მოდელირების დადგენა, რომლებიც გავლენას მოახდენენ სისტემის მორალურ გაცვეთაზე.

ჩვენი აზრით, სისტემა შეიძლება მორალურად გაცედეს შედეგ შემთხვევებში:

1) როდესაც განაშენიანების შემადგენელი ელემენტების ფართი არ შეესაბამება არსებულ ნორმებს.

საცხოვრებელი ბინა, მაღალბინი და მომსახურების სხვა ობიექტები გვემართება არსებული ნორმების შესაბამისად, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ეს ნორმები იცვლება. რადგან ნორმების ცვლილებები ნაგებობების საქმალუატაციო პერიოდში ხდება, არსებული სისტემების მოსახლეობა შეიძლება აღმოჩნდეს ცხოვრებისათვის არახელსაყრელ პირობებში.

2) როდესაც სისტემის ელემენტების რაოდენობა არ შეესაბამება არსებულ ქალაქგეგმარებით პრინციპებსა და ნორმებს.

საცხოვრებელი განაშენიანების სისტემის სტრუქტურული აგებულებათა ცვლილებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ განვითარების პროცესში იცვლება მისი შემადგენელი ელემენტების რაოდენობა. მაგალითად, თუ 30-იანი წლების განაშენიანებას (კვარტალი) შევადარებთ თანამედროვე სისტემას (მიკრორაიონი) დატრუნდებით, რომ შემადგენელი ელემენტების რაოდენობით (მაღალბინი, სპორტული მოედნები, საავტომობილო და სხვა) ისინი შევეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ცნობილია, რომ სისტემის შემადგენელი ელემენტები იცვლება არა მარტო მათი რაოდენობის შექანიკურად გაზრდით, არამედ მასში შედის ფუნქციონალურად ახალი დანიშნულების ელემენტებიც. ვინაიდან ეს ცვლილებები გამოწვეულია ობიექტური აუცილებლობით, არსებული საცხოვრებელი განაშენიანება, რომელიც შეეყვანა არ იქნება ახალი ელემენტები, აღმოჩნდება მორალურად გაცვეთილი.

3) როდესაც ელემენტებს შორის არსებულ სივრცობრივ ფუნქციონალურ კავშირს არ შეუძლია შექმნას ცხოვრებისათვის ნორმალური პირობები.

განვითარების პროცესში შემადგენელი ელემენტები სისტემის ტერიტორიის ფარგლებში იცვლება ადგილმდებარეობას, მაგალითად, ერთ გარკვეულ ეტაპზე მომსახურების ობიექტები გარკვეულ ტერიტორიაზე გვემართება ცალკეული ნაგებობების სახით, შემდგომ ეტაპზე შეიძლება, იმინი გაერთიანდნენ ერთ ნაგებობაში. ამრიგად, მათ შორის იცვლება ადრე არსებული სივრცობრივი კავშირი. მაშასადამე, იცვლება ფუნქციონალური კავშირის ფორმაც. ამ მოვლების გამოწვევი მიზეზია სისტემის არსებული სტრუქტურული აგებულების შეცვლის აუცილებლობა.

4) როდესაც სისტემის შემადგენელი ელემენტების სტრუქტურული აგებულება არ პასუხობს ადამიანთა მოთხოვნილებებს.

5) როდესაც სისტემა არ პასუხობს ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს.

მივალდე განვიხილოთ, თუ რა თვისებებს უნდა ფლობდეს განაშენიანების სისტემა, როგორი უნდა იყოს მისი სტრუქტურული აგებულება.

1) ელემენტებს ფართის გაზრდის აუცილებლობამ განაშენიანების მორალურად გაცვეთა რომ არ გამოიწვიოს, ამისათვის საჭიროა არსებული სისტემა „იზრდებოდეს“ ფიზიკურად. სისტემის ზრდა უნდა ხდებოდეს შემადგენელი ელემენტების რაოდენობრივი ცვლილების გზით. მაგალითად, საცხოვრებელი ნაგებობა და კულტურულ სა-

ყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს ობიექტები უნდა დაეცემა რდს იმ ანგარიშით, რომ მათ შეეძლოთ ექსპლუატაციის პროცესში მიიმატონ დამატებითი ფართი მათი ვერტიკალურად ან პირიზონტალურად ზრდის ხარჯზე; რაც შეეხება გარემოს ელემენტებს, მათი რაოდენობრივი ცვლა (ზრდა) შესაძლებელია მიხედვს ხელოვნური ტენაქსების მოწყობის ზაით. სისტემის ზრდა უნდა ხდებოდეს ცოცხალი ორგანიზმის ზრდა ანალოგიურად, ე. ი. ცვლის პროცესში არ უნდა დაირღვეს არქიტექტურული ანსამბლი, არსებული სტრუქტურა-მოცულობითი სახე. ისე, როგორც ეს ხის ზრდის დროს ხდება.

რადგან სისტემაში ახალი ელემენტების შეტანის აუცილებლობა ძირითადად გამოიწვეულია მომსახურების სფეროსა და გარემოს განვითარების შედეგად, აღნიშნული სფეროების სტრუქტურა უნდა გადაწყვედეს ისეთიანრად, რომ მათ ექსპლუატაციის პროცესში შეეძლოთ ახალი ელემენტების მიღება და მათი ორგანული შერწყმა. აღნიშნული პროცესი ძირითადად უნდა განხორციელდეს არაეზბული ნაგებობების ვერტიკალური ზრდის ხარჯზე, გამოირჩეული არ არის მიწისქვეშა სივრცის გამოყენება.

სისტემის სტრუქტურულ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ელემენტებს შორის არსებული სივრცობრივი კავშირის შეცვლის აუცილებლობა, რომ მივადვილოთ საკითხის იდეალურ გადაწყვეტას — ექსპლუატაციის პროცესში ელემენტებს შორის სივრცობრივი კავშირის მოთხოვნილებების მიხედვით ცვლას, საჭიროა შევადგინოთ მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა, მსგავსად განაშენიანების მაკეტზე სისტემის სტრუქტურული აგებულების ძიების პროცესში. მაგრამ მსგავსი ვფექტის სრული მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში უახლოესი მომავლისათვის მაინც, მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, აუცილებელია ამოცანის საწილობრივი გადაწყვეტა იმ ანგარიშით, რომ საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპებზე შესაძლებელი გახდეს საკითხის იდეალურ გადაწყვეტასთან მიახლოება.

თანამედროვე ეტაპზე მიზანშეწონილია სისტემის ელემენტების ორ ნაწილად დაყოფა. ერთ ნაწილს უნდა შეადგენდეს ის ელემენტები, რომლებიც განვითარების პროცესში შედარებით სწრაფად იცვლიან ადგილმდებარეობას განაშენიანების სტრუქტურაში. ასეთ ობიექტთა რიცხვს მიეკუთვნება მომსახურების სფეროსა და გარემოს ზოგიერთი ელემენტი, რომლებიც უნდა გამოვლინდნენ სისტემის სტრუქტურული განვითარების ანალიზის საფუძველზე. სისტემის სტრუქტურაში ადგილმდებარეობის სწრაფცვლად იმ ობიექტები უნდა დაეცემა რდს ისეთიანრად, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა. მაგალითად, საცხოვრებელ ნაგებობასთან მიახლოება ან დაშორება და სხვა. მეორე ეტაპზე, როდესაც მასიური მშენებლობისთვის გამოყენებული იქნება მუხუჭი მასალები, შესაძლებლობა მოეცემა გაეზარდოთ „მოხეტიალე“ ელემენტების რაოდენობა, ხოლო განვითარების შემდგომ ეტაპზე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება და აგრეთვე, მსუქული მასალების ბინითმშენებლობაში ფართო დანერგვა, საშუალებაა მოეცეს კიდევ უფრო გაეზარდოთ მათი რიცხვი და ამით მიუზღოვოდეთ სისტემის სტრუქტურული აგებულების ექსპლუატაციის პროცესში ცვლის იდეალურ გადაწყვეტას.

როდესაც ცალკეული ელემენტების სტრუქტურული აგებულება მოძველდება, აუცილებელია მისი ახლით შეც-

ვლა. ამ საკითხის გადაწყვეტის გასაადვილებლად საჭიროა აქაც გამოყენებით ელემენტების ორ ნაწილად დაყოფა მეორედ. როგორც ცნობილია, სწრაფად ძველებს სისტემის ზოგიერთი ელემენტის სტრუქტურული აგებულება, ხოლო ზოგიერთი სივრცისუნარიანობა ინარჩუნება მთელი საექსპლუატაციო პერიოდის მანძილზე. ის ელემენტები, რომლებიც მორალურად არ ძველდებიან დიდი დროის მანძილზე, უნდა შეადგენდნენ სისტემის უძრავ ნაწილს, ხოლო ელემენტები, რომლებიც შედარებით სწრაფად ძველდებიან, უნდა დაგეგმარდნენ იმ აზგარიშით, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შეეძლებოთ მათი ახლით შეცვლა, რა ეტაპ უნდა, ხავერდის არსებობა საერთო სივრცობრივ-მოცულობითი სახის დაურღვევლად.

სისტემის განვითარების ყოველ ეტაპზე იცვლება არსებული სივრცობრივ მოცულობითი აგებულება, არქიტექტურული გამოხატულება, ელემენტებს შორის არსებული მანშტაბი და სხვა. აგრეთვე ცალკეული ელემენტის არქიტექტურა, მათი გარეგანი ფორმა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ეტაპზე ეს მოვლენები მიმდინარეობს გაცილებით სწრაფად, ვიდრე სისტემა და მისი ელემენტები ფიზიკურად ძველდებიან. სისტემისთვის ისეთი სტრუქტურის მიყება, რომელიც ექსპლუატაციის პროცესში შესაძლებლად ყველა შემთხვევაში მოვლენებზე რეაგირებს და მათ შესაბამისად ცვლას, პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან სისტემის მოქილი სტრუქტურული აგებულება ექნება ელემენტების რაოდენობრივი ცვლის უნარი, ამიტომ ძველი ელემენტების ახლით შეცვლის დროს შესაძლებელი იქნება მათ მიეცეთ ისეთი ახალი მოცულობითი ფორმა და არქიტექტურული გამოხატულება, როგორც საჭირო იქნება იმ პერიოდისთვის, რადგან ექსპლუატაციის პროცესში შესაძლებელი იქნება ძირითადი ელემენტების ზრდა და აგრეთვე ზოგიერთი ელემენტის ადგილმდებარეობის შეცვლა. მუხნობრივად, შესაძლებელი გახდება სისტემის არსებული არქიტექტურულ გამოხატულებობაში ზოგიერთი ცვლილების შეტანა.


განაშენიანების მოქილი სტრუქტურული აგებულების დამუშავების დროს მზედველობაში უნდა იქნეს ძირეული:

- 1) სისტემაში ელემენტების რაოდენობრივი ცვლა შესაძლებელი უნდა იყოს განაშენიანების მთელი საექსპლუატაციო პერიოდის მანძილზე.
- 2) ცვლილებებისა და განვითარების პროცესში გავლენა არ უნდა მოახდინოს და არ დაარღვიოს განაშენიანების არსებული საერთო სივრცობრივ მოცულობითი და ფუნქციონალური აგებულება.
- 3) ვინაიდან ელემენტების რაოდენობრივი ცვლილება დაკავშირებულია როგორ ტექნიკურ ღონისძიებებთან, ცვალებადობის პროცესში ხელი არ უნდა შეუშალოს სისტემის ნორმატივო ფუნქციონირებას.

ამრიგად, ჩვენ მიცემული მოქილი სტრუქტურა, რომელიც ირეაგირებს ადამიანის ახალ მოთხოვნილებებზე, შეიცვლება მათ შესაბამისად და ამით მისი ელემენტები მთელი საექსპლუატაციო პერიოდის მანძილზე შეინარჩუნებენ სივრცისუნარიანობას. მასასადაზე, ადგილი არ ექნება მათს მორალურად გაცუვის შემთხვევებს.

ისეთი საცხოვრებელი განაშენიანების შექმნა, რომელიც შესწლებლად დააკმაყოფილოს ადამიანის საცხოვრებლისადა მოთხოვნილება მისი განვითარების ყოველ ეტაპზე, წარმოადგენს ყოველ ქალაქმშენებლისადა არქიტექტორის უპირველეს ამოცანას.

სანდრო რამიშვილი



## თეატრის სიყვარულით...

კონა მიქაძე

მას სხვებზე მეტად ბავშვობაში არ უოცნებია მსახიობობაზე, არც რეჟისორობა უნატრია. მხოლოდ ჭაბუკურ გატაცებად შეიძლება ჩაგვეთვალოს მის მიერ გამართული საღამო-წარმოდგენები, თეატრალური კოლექტივების ჩამოყალიბება ახალსოფელში, დიდ თონეთსა და სოფელ სასადილოში, სადაც ის მატერიალური ხელმოკლეობის გამო მასწავლებლად მუშაობდა.

პუმანიტარული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1924 წლიდან, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტად ირიცხებოდა და მასწავლებლობაზე ოცნებობდა.

შემთხვევითობა თანდათან კანონზომიერებად იქცა. პირველი შემოქმედებითი მღელვარება გუშინდელ დღესავით ახსოვს. ეს იყო 1922 წლის ზაფხულში. სანდრო რამიშვილმა თავის ძმა კოკისთან ერთად ჩოხატაურის სახალხო თეატრის სცენაზე დადგა იმ დროისათვის მეტად პოპულარული ოპერეტა პაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალან“.

ჩოხატაურელმა მყურებელმა ხოტბა შეასხა სპექტაკლს. ამან კი უფრო დაახლოვა სცენასთან, განუმტკიცა საკუ-

თარი თავისადმი რწმენა და შემოქმედმა 1929 წლამდე ჩოხატაურის სახალხო თეატრის სცენაზე ზედიზედ რამდენიმე სპექტაკლი დადგა დამოუკიდებლად.

თბილისის სატირისა და წითელი არმიის ქართული თეატრი, სადაც რეჟისორებად იყვნენ შოთა მანაგაძე და გუგული ბუხნიკაშვილი, ძირითადად ახალგაზრდა სცენისმოყვარეებისაგან იყო შედგენილი. ამ თეატრს არ ჰქონდა მტკიცე რეპერტუარი და პროგრამას თვითონ აქტიორები ადგენდნენ. მიუხედავად ამისა, სატირის თეატრი მაინც სიყვარულით სარგებლობდა მყურებელთა შორის, რადგან სცენაზე ისინი ხედავდნენ ნამდვილ ცხოვრებისეულ ფაქტებს. რეჟისორი შოთა მანაგაძეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ს. რამიშვილის კომედიური ნიჭი. სატირის თეატრის სცენაზე ს. რამიშვილმა შესანიშნავად განასახიერა მილიციელის როლი მ. გოგიაშვილისა და გ. ბუხნიკაშვილის „ჩინჩალაძის მოგზაურობაში“. ს. რამიშვილისათვის დამახასიათებელი თვისებები — თავისუფალი მტყუყველება, მხვილგონიერება, ზომიერების გრძნობა სცენაზე — მნიშვნე-





პ. კაკაბაძე „კოლმურჩის“ ჭორჭინება.  
ლომჯაცა — სანდრო რამიშვილი.

ლოგანი და უცილობელი ფაქტორი იყო ამ როლის გამარჯვებისათვის.

ს. რამიშვილი სწორედ ამ როლით წარსდგა მილიციის კლუბის სცენაზე და მალე რეჟისორად მიიწვიეს აქვე, სადაც 1954 წლამდე მუშაობდა.

თეატრში სანდრო რამიშვილი დაკავებული იყო ყველა სპექტაკლსა და საესტრადო ნომერში და თითქმის ყველგან მთავარ როლს ასრულებდა. ამავე დროს მსახიობი თვითონვე წერდა სკეტჩებსა და იუმორისტულ ლექსებს. სატირის თეატრის დირექტორის გ. ბუნინკაშვილის თქმით: „ა. რამიშვილის დასში მიღების შემდეგ სატირის თეატრმა კარგი სახელი დაიმსახურა მაყურებელში თავისი დადგმებით და ამ სახელის მოხვეჭაში დიდი წვლილი მიუძღოდა სანდრო რამიშვილს, მთავარი როლების შემსრულებელს, რომელმაც ნიჭიერი თამაშით დაამშვენა თეატრის კოლექტივი... მიმაჩნია, რომ რამიშვილი ქართული თეატრის თვალსაჩინო ძალაა, როგორც კომედიური როლების საუკეთესო შემსრულებელი“.

მილიციის კლუბში ს. რამიშვილმა დადგა ლაგერნიკვის „რღვევა“, თ. დგებუაძის და გ. ბერძენიშვილის „სიმართლისათვის“, ალ. იასაძაშვილის „ველის ყვავილი“, ი.

გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ვ. სიდრაშვილის „ჩვენ გავიმარჯვებთ“ (სამამულო ომის თემაზე), კულიჩენკოს „აყვავებულ ბაღში“, აკ. წერეთლის „პატარა კახი“, გ. ქეღბაქიანის „განა ეს სიყვარულია“ და „სვედიანი რომანი“. ამ სპექტაკლებმა მაყურებლების დიდი მოწონება და პრესის მაღალი შეფასება დაინახურეს.

მალე ს. რამიშვილი მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მიიწვიეს მსახიობად, სადაც თხუთმეტი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. ნიჭიერმა და შზარდმა მსახიობმა ამ წლების განმავლობაში მრავალი დაუვიწყარი იერსახე შექმნა. მათ შორის აღსანიშნავია კოსტია — ა. ცაგარლის პიესაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ტიბიკონი — ი. ვაკელის „მური“, ლომჯაცა — პ. კაკაბაძის „კოლმურჩის“ ჭორჭინება, ნიკილაძე სირბილაძე — გ. ბააზოვის „იციკა რიჩინაშვილი“, კ. ჩხეიძე — შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“... და სხვ.

მაგრამ განსაკუთრებით დამახსოვრად მსახიობს მოსე მწერალი (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“) და ყვარყვარე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“). ამ როლების აღიარებული შემსრულებელნი იყვნენ ქართული სცენის საუკეთესო ოსტატები ა. ჟორჯოლიანი და უ. ჩხეიძე. მსახიობის მიზანი იყო, დაეღლია ცდუნება და არ მოხვედრილიყო სცენის ამ კორიფების გავლენის ქვეშ, არ გაემეორებინა ისინი, შეექმნა მათგან განსხვავებული სახეები. ეს

პ. კაკაბაძე „ყვარყვარე თუთაბერი“.  
ყვარყვარე — სანდრო რამიშვილი.



კი არც თუ ადვილი იყო. ამიტომ, ბუნებრივია, ჭაბუკი მსახიობი მღელვარებით წარსდგა მაყურებლის წინაშე მაგრამ ნიჭმა და მონდომებამ გაიმარჯვა. მის მიერ განსახიერებელი მოსე მწერალი და ყვარყვარე თუთაბერი მაყურებელმა მოიწონა და შეიყვარა.

ენერგიულმა ახალგაზრდამ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მსახიობობას კარგად შეუთავსა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თეატრალური კოლექტივის ხელმძღვანელობა, სადაც იგი მიწვეული იყო 1937 წლიდან. ეს კოლექტივი იმ დროისათვის 25 კაცს ითვლიდა. მის დადგმებში სტუდენტების მხარდამხარ მონაწილეობდნენ სკენის დიდი ოსტატებიც (ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ცოცრიძე). 1938 წელს ს. რამიშვილმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სცენაზე დადგა „ყვარყვარე თუთაბერი“ (ყვარყვარეს როლი თვითონ განასახიერა). რეჟისორმა სტუდენტ მსახიობებთან ერთად შექმნა მხატვრულად და სცენურად სრულყოფილი, ჯანსაღი იუმორით აღსავსე საექტაკლო.

ამას გარდა ს. რამიშვილმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სცენაზე დადგა კ. კალაძის „როგორ?“ (თვითონ შეასრულა აღმასხან ქარუმიძის როლი) და აქვ. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ვედარ ნახავ“.

სანდრო რამიშვილი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომიტეტის ძეგრინსკის სახელობის კლუბის, გორკის სახელობის კულტურის სახლის, პლასტმასის ქარხნის კლუბისა და სამგორის კულტურის სახლის თეატრალურ კოლექტივებს. თეატრალურ სარბიელზე ნაყოფიერი მუშაობისათვის ღვაწლმოსილი ადამიანი მრავალჯერ დააჯილდოვეს მედლებით, საპატიო და ქების სიგელებით, ფულადი ჯილდოებით.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, სანდრო რამიშვილს დღესაც არ შეუძლია სიცოცხლე უთეატროდ. ამჟამად იგი წარმატებით მუშაობს რეჟისორად ჩოხატაურის თეატრში, სადაც აიდაც ფეხი როგორც რეჟისორმა და მსახიობმა.

აქ სანდროს ძველი მსახიობებიდან თითო-ოროლადა თუ აღხვდა, მაგრამ ახლებიც სიხარულით შეგებნენ. მისი ხელ-

მძღვანელობით თეატრი თითქოს განახლდა, გამოიყვანა.

ს. რამიშვილის პირველი დადგმა ისევ „არშინ მალ-ალანი“ იყო. პრემიერამ, რომელმაც ჩოხატაურელი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რეჟისორმა სცენაზე კვლავ გამოიყვანა თამარ რამიშვილი, რომელიც პირველ დადგმაში ასიას როლს ასრულებდა, ახლა კი ჯიხანის როლში მოეწონა მაყურებელს, ძველი თაობის მსახიობთა მხარდამხარ გამოედნენ დებიუტანტები ზაურ კეკელიძე (სოლეიმანი), გივი ნდინარაძე (სულთან ბეგი), გრიგოლ ქვენტი (ვალი).

ამ სპექტაკლის გარემო, რეჟისორსა და მსახიობებზე ბევრი მადლობის წერილი, კომენტარი და შთაბეჭდილება დაიბეჭდა ადგილობრივ პრესაში.

„არ მასხოს, როგორ გავედი სცენაზე, როგორ წარმოეთქვი პირველი სიტყვა, როგორ დავამთავრე პირველი სცენა და როგორ გავედი კულისებში, მაგრამ პირველი ტაში ჩემთვის პირველი დიდი და ძვირფასი საჩუქარი იყო.“ ეს სიტყვები ეკუთვნის ერთ-ერთ დებიუტანტს გივი მდინარაძეს, რომელმაც თავის ცხოვრებაში პირველად შედგა ფეხი სცენაზე, ახალ, მიმზიდველ და უცხო სამყაროს ეზიარა, გაიმარჯვა და ბედნიერია. ეს ტაში და მადლობა მასთან ერთად რეჟისორ სანდრო რამიშვილსაც ეკუთვნის, რომელმაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სცენისმოყვარე „აღმოაჩინა“ და შეაყვარა ქართული თეატრი.

„არშინ მალ-ალანი“ მოჰყვა გ. ზუგაივის კომედია „ჩემი ცოლის ქმარი“, ორდღე დგებუაძის „ოთხი სიცოცხლე“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და ბევრი სხვა, რომელთა გარჩევას აქ არ შევედგებით. ერთი რამ კი ცხადია, ჩოხატაურის სახალხო თეატრი მტკიცედ იცავს ეროვნულ ტრადიციებს.

თავისი თეატრის დიდი მოყვარე და გულშემოტკივარი ჩოხატაურელი მაყურებელი ყოველ დადგმას მღელვარებით ელოდება. ამას გრძნობს თეატრის კოლექტივი, მისი რეჟისორი სანდრო რამიშვილი და ცდილობს გაამართლოს მაყურებლის ნდობა, მისი სიყვარული.



# რუსთაველი და ეროვნულს უკვლევება ხელოვნებაში

აპოლონ ყორღანიძე

ხშირად, როდესაც კითხულობ ან ისმენ რუსთაველზე მსჯელობას, ციოხები საკუთარ თავს: „უველაფერი კარგი, მაგრამ რა შუაშია აქ „ვეფხისტყაოსანი“. გრძელდება რუსთაველისადმი მრავალი „იჩუმის“ მიწერა და, თუ ადრე სწამებდნენ არაქრისტიანულობასა და ათეისტობას, დღეს ცდილობენ მისი მსოფლმხედველობა თეოსოფიამდე — ქრისტიანულ თეოსოფიამდე დაიყუანონ.

ქრისტიანობისათვის ეწმა მამამადანური სამყაროთი ვარემოცული საქართველო, რომლისთვისაც ქრისტიანობისთვის ბრძოლა სამშობლოსთვის ბრძოლას ნიშნავდა. არ შეიძლება არაქრისტიანულობა დასწამო რუსთაველს, რომელიც ცხოვრობდა და მქმნიდა მაშინ, როცა ქვეყანა მედროშის როლს იასრულებდა ქრისტიანულ აღმოსავლეთში, უოველ შემთხვევაში, მქონდა ამის პრეტენზია. სხვათადად არ შეიქმნებოდა თქმულება საქართველოს დროში ურჩულობისაგან ქრისტეს საფლავის განათვისუფლების შესახებ, ეს საითხის ერთი მხარეა, რითაც ვერ შემოვლუდავ პოეტისა და პოემის მსოფლმხედველობას, რომელსაც ვერც ერთ იქნა, მათ შორის ვერც ქრისტიანულში ჩაატე.

წინა წერილში ვუთითებდი სტროფზე, სადაც დაპარაკია უოველის შემქმნელსა და მიწერია შემდეგ „ძალი უხილავზე“. რომ შეიქმნათ ამ სტროფისგან „არეოპაგტიკის ქვეყნობილი“ — „ძალი უხილავს“ აცხადებდნენ არაფრისმოქმედ „საეკლესიო ატრიბუტად“ და ცვლიდნენ — „ვიც არს ძალი მეცნიერთა“.

მაგრამ არც ის შეიძლება, რომ პოემის ვეძებდეთ, ექსტაზში ნათელიღვების ეპაბ ადამიანს მიერ ღმერთის შეცნობისა და ამით მისი ამაღლების ქრისტიანულ-არეოპაგტიკით შეზავებულ გზეს. რუსთაველის ღმერთი — „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა“ — არ არის ქრისტე. ის სამყაროსთან ერთად თვით ღმერთსაც ქრისტეს შემქმნელია და არასდროს, არავითარ ექსტაზში ნათელიღვების დროს არ ხდება ამ ღმერთსამდე ამაღლება — მისი შეცნობით, ღმერთი ქმნის, მაგრამ შექმნილი არ არის შემქმნელის ემანაცია, მისი მონა. რუსთაველი ანთავისუფლებს ადამიანს ღვთის მონობისაგან. მის ადამიანს სწამს ღმერთი, მაგ-

რამ არა როგორც მონას, არამედ, როგორც თავისუფლს. ამიტომაც არის ძლიერი რუსთაველის ადამიანთა რწმენა და მოქმედება უოველგვარ მძიმე სიტუაციაში. ამით განსხვავდება რუსთაველის მიერ გაგებული ღმერთი და მისადმი ადამიანის დამოკიდებულება, რელიგიის მიერ გაგებულთან. სხვათადად გაგების შემთხვევაში მათ წვათმთვეთ პიროვნებისა და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლებას, რაც უცხოა რუსთაველისთვის.

რუსთაველი არაა იმ რანგის მოაზროვნე, რომ სჭეროდეს ღვთის არსებობა. მან კარგად იცის ის გზები, რითაც ღმერთსა შექმნილი. რუსთაველი ჰქვიანურად ეტყუა ღმერთს, აღიარებს რა მას უოვლის შემქმნელად და შემძლედ, უველაფერს ადამიანებს აცეთხიანებს. აქ არის რუსთაველი რეალისტი და ჩანს ხელოვნების ბუნება, რეალურის რელიგიურობითა და მითიურით შეგავების საქირება და ზომიერება.

თალეს მიღეთელმა, რომელსაც მიანდა, რომ წყალია სამყაროს შემქმნის საფუძველი, დაუშვა უმაღლესი გონება (ღმერთი), რომელმაც წლისგან შექმნა უველაფერი. შემდეგ ანაქსიმანდრემ უარყო თალესის აზრი და განავითარა რა იგი დასაბამ ნივთიერებად, აღიარა არა კონკრეტული, თვლით ხილული წყალი ან სხვა რაიმე, არამედ „ნივთიერება, რომელსაც არა აქვს განსაზღვრული სახე“, არ „თვისობრივად უსაზღვრო“, რასაც მან „უსაზღვრო“ უ „უველაფერი შედგება ამ „უსაზღვროსაგან“. ეს „უსაზღვრო“ არის „უსახო სახე“, რადგან ის არცერთ ხილულ საგანს არა მკავს.

ამ „უმაღლეს გონებასა“ და „თვისობრივად უსაზღვროსა“ შეიძლება შეხების წერტილში აღმოვჩინოთ „ვეფხისტყაოსანში“ (ქრისტეს მკვდრებით აღდგომასაც მოვუნახავთ წინამორბედს ეფავტურ ოსირისის კულტში). პოემისათვის ეს მშაშარული მასალა კი არ არის მთავარი, არამედ მისი მატერული ინტერპრეტაცია.

ამ თაველი არ არის არეოპაგელის ან სხვათა ადებტი. როდესაც სხვათა აზრები მოჰყავს, იქვე ასახელებს მის მოქმედებას. როგორც, ბრძნეს, მოძღვარს. ასე რომ, უველაფერი ზეით-პირს უყვ.







ლები სწორად ემთხვევა პრობლემის დასმას, მაგრამ მთავარი პრობლემის გადაწყვეტა, სადაც იწყება მსგავსებისა და განსხვავების ძიება.

„ოიდიოსის“ ძლიერია პრობლემის დასმით ან არა, არამედ მისი გადაწყვეტით. „ოიდიოსის“ მიზნად ვახსენებ, რომ აქაც დგას ადამიანი ხილვითი წინაშე, რისგან გამოსვლა მთლიანად მასზეა მიწოდებული. ღმერთი — წინასწარმეტყველის პირით გაგვამჩნებს თუმცა მეფე-დედოლადაა ღირსისა და ოსატების, რომ მათი ვიფი მოკლავს მამის და ცოლად შეერთავს დედას. საშინელის მოლოდინის წინაშე არიან. უველფერი იმანუა და მოკლედები, თუ რას იზამს მეფე-დედოლადა. იმისი და დანაშაულის სჩადინა. თავიდან ურჩებენ უღანაშულო დასაქმებს.

მათ რომ სხვა გეგმა სცადოს მდგომარეობად თავის დაღწევა, შეიძლება ღმერთმა შეიბაროს და იხსნას ტრაგედიისგან, მაგრამ საყოთარი თავის გადასარჩენად მათ აირჩიეს უღანაშულო ბავშვის მოკვლის გზა და სწორად ამიტომ უნდა დაიხსნოს ისინი.

ეს კომპრობისი დაწაშულებრივი გზაა, დაწაშვა არა მარტო ამის მკვლელობით, არამედ ანად შვილის მოკვლისათვის.

დე უფლოს ფრილმა თავის კომპლექსს იიდიოსის კომპლექსი, თვითონ იიდიოსს მაინც ვერ დაიუფან ამ კომპლექსამდე.

მიუხედავად ამ ცალმხრივი გადაჭარბებისა, მაინც მინიშნებულია გზა ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულებსა და, რაც კაცობრიობის ტრაგედიის მიზეზია და, ამდენად, აუცილებელი იიდიოსისათვის.

აქ ღმერთი აფრთხილებს ადამიანებს მოსალოდნელი საშუაროების შესახებ და მერტ კი აძლევს მოქმედების თავისუფლებას. რუსთაველიან კი ღმერთი საერთოდ არ ერევა საქმეში. მართალია, ღმერთის სახელით, მაგრამ ადამიანები თვითონ სჭერტენ და სწყვეტენ უველაფერს. ასე რომ არ იყოს „უფებისტყაოსანი“ არ იქნებოდა ამბობის, დაუშვლადობის, აზრისა და მოქმედების თავისუფლების მქადაგებელი.

მართალია, რუსთაველი ქადაგებს თავისუფლებას, მაგრამ უველას უველაფერის უფლება როდ აქვს. მისი სამეფო პლატონის იდეალურ სახემოქმედოსა გავს, სადაც ადამიანი დაუყოფელია დღელათის შემქმნელ მიწათმოქმედებად, მოხეტელებად, ქვეყნის გამგებლის-მშრომელი ფილოსოფოსებად და ირრებს დამკველ შემორტებად. რადან „თუ ქვეყანას არა მართავდ ფილოსოფოსინი, ან მეფეები არ არიან ფილოსოფოსები, დასასრულად არ ექნება სიღარიბესა და უბედურებს“. — ამბობს პლატონი.

მას სხვა რას უნდა ნიშნავდეს რუსთაველი: „მუშა მიწეუ მუშაობდეს, მეომარი გულოვნობდეს“; ხელოსანი და ვაჭარი თავის საქმეს აკეთებს, მეფე ბრძენი მართავს ქვეყანას, მეომარი კი იცავს რუსთაველის მეფე ხომ ბრძენია:

„მოდლა, უხვი, მდამალი, ლაშქარი-მავალი ყვინი, მოსამართლე და მოწყველი, მოტყველი, განგებელი...“

რუსთაველი თავს მორჩილების კანონს, მაგრამ არა უღირსის ღირსეულად იცავს დგომას. რუსთაველი იმის „იკეთ ან უველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდე“. — მაგრამ აძლევს პიროვნებას სრულ თავისუფლებას, მოიქცეს ისე, როგორც საჭიროდ ფიქროს. ავთანდილი ერთგულად ემსახურება და თავყანს ცეცხლს როსტევანს, მაგრამ მისი ნების გარეშე, მისი სურვილის წინააღმდეგ მიიპარება და მილის ტარილის დასახმარებლად.

ესაა აზრის, მოქმედების, ადამიანისა და პიროვნების თავისუფლება, მაგრამ...

„ევაბე ქვეყნს ბრძენთასა, რომელი ეურჩებინა“.

ამიტომ არის, რომ წუთისოფლის მოწყობლობას უველა მრდავს, მაგრამ მართო ბრძენა ხვდება და იურუნებს მას. ქაქეთის ციხიდან ნესტანი წერს ტარილს:

„ხედავცა, ჩემო, სოფელი რაჟა საქმეთა მქმნელია,

არამოცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ვერცეა ბნელია.

ბრძენნი იცილებენ, სწუნებენ, მით მთავან საწყუნელია“.

ბრძენმა იცის, ის ხედავს ცხოვრების ნამდვილ სახეს, ნათელსინდელს და სწორის მას. ეს ჩანება ცხოვრების წინააღმდეგ მემამოზე სულისა. და ძიებისას, ასეთ სიბუნებურ უნდა გადვიტანოთ სიმძიმის ცენტრი და არა იმის მტკიცებება, ქრისტიანულთა თუ არა რუსთაველის ღმერთი და კორიანტელი დავავენოთ ისეთი სტრატეგიის გამო, სადაც უველაფერი ანათად თქმულა და ზედარბურ ფესს, მხედვლობაში მანკს ნესტანის წერილი, ქაქეთს ციხიდან რომ უგზავნის ტარილს:

„ღმერთისა შეშვედრე, ნეთუ ეკლა დამხსნას სოფლისა  
შრომისა,  
ეცესლასა წყალსა და მიწასა, პაერთა თანბრობისა;  
მომცენეს ფრთული და აღუფრინდე, მოვხვდე მას ჩემსა,  
ნდომისა,

ღლითი და ღამით ვხვდედე შენსა ეკლავთა ერთობისა“.

აქ მთავარია არა ~ს, ამის მოქმელი ქრისტიანული მომოდმხედვლობისა თუ არა (ასეთი რამ აჩაკრისტიანული მოუვა თავში), არამედ ის, რომ ამას წერს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი, რომელიც სიცივლის წინ დგას და ემბრძვის გარდუვალ მოვლენას. ამ ბრძოლაში სულის ზეკად ასვლა და ხილვა მზისა, რომლის ნაწილი ტარიელიცაა, ერთ-ერთი და არა ერთადერთი გზაა შექმნილი მდგომარეობათთან ბრძოლისა. ეს გზა არა იმდენად ფანჯკაიური რწმენის გამოვლენაა, რამდენადაც საშუალება, რომ ტარიელი გადაარჩინოს ქაქეთს შესაძლო სიცივლისა და მისი ენერჯია გააზრდოს მდგომარეობის, საერთოდ, რუსთაველი ასეთ სიტუაციაში და ასეთ დამხმარე საშუალებად იყენებს სულის სათქოში მოხვედრის საეთის. ტარიელის იასმარებად მიმავალი ავთანდილი წერს როსტევანს:

„მეფეო, ნეთუ წყვტამან თქვენ ჩემმან დაგვეტენოსა?!  
ვერ ვერცერთ, ვერ ვეზამ საქმეთა სამაშენოსა,  
პირისპირს მარცხენას, რომედე ვევათ მას საუტუნოსა.  
ქაქეთის ციხეში მოუფ ნესტანსი ერთმანთს ეტეხება აშქვენი-  
ნური და იმქვენიური, სული და ხორცი. ნესტანი, რომელიც  
ტარიელს წერს:

„ღმერთისა შეშვედრე, ნეთუ ეკლა დამხსნას სოფლისა  
შრომისა“,

თან ამასაც უფლოს:

„მე სიცივლი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათავნ სულსა,  
მავკა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;  
მომეგონის მოშორებება, მემბატებს წყულელი წყულსა,  
ნეთუ მტარი და ნეთუ მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა“ —  
ამ სიტუაციაში თქმას — „ნეთუ მტარი და ნეთუ მიგლოვ“ ძალა არა აქვს, რადან წინ თქმული: „მომეგონის მოშორებება, მემბატებს წყულელი წყულსა“; ამ შემდეგი სტროფი: „მომეგონებდი მტარულსა, შენთვის ცრულ-შეშვებობესა“ — აქვემბს ტარიელს იბრძოლის მისი განმოსხმენად.

ნესტანის ეს წერილი არის სიცივლ-სიცივლის მიჯნულ. სიცივლიდან პირისპირს მდგარი, ვაჭრებელი ადამიანის დასახება და თუ გვიანა მისი სწორად გაგება და განცდა, ამ პოზიციიდან უნდა შეხედოთ.

ან სტროფი:

„იტყვის: „მე შეხო, ვინ ხატად გოქვენ შოინასა ღამისად,  
ერთ-არსებია ერთისა, მას უფროსი ეამისად,  
ვის გომრძილებენ ციურნი ერთის იოტის წამისად,  
ბედსა ნუ მიცლე, მიავც, შევრამდის ჩემად და მისად!  
ვის ხატად ღმრთისად გიტყვას ფილოსოფონი ჩემნი,  
შენ მიმეულ რა ტავე ქმნელსა, ჭაჭენა მაიანი რკინანი!“  
აქ ერთმანეთს ხსნიან წინა დამომდევრო სიტყვები, სტროფები და სტროფები. „მე შეხო“ — მიმართავს ავთანდილი ხილულ მუტს, რომელიც ხატად თქვენ „შოინასა ღამისად“ — რა არის „შოინა ღამე“?

ეს იგივეა, რაც „ერთ-არსებია ერთისა, მას უფროსი ეამისად“. მისხედრია, რომ „ერთ-არსებია ერთისა“ — ღმერთია, ესე

იგი, „მზიანი ღამეც“ იგივეა. მაგრამ უფრო ნათელი რომ იყოს თუ რა არის „მზიანი ღამე“ — პეტრე გვიხინის მას მომდევნო სტრაფში, სადაც ნათქვამია: „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“.

ვის იტყვიან ღმრთის ხატად? — შვსე.  
ესე იგი — ერთ შემოხვევაში მზე — „ვის ხატად გოქვენ მზიანისა ღამისად“ და მეორე შემოხვევაში მზეს — „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან“, ორივე შემოხვევა მიემართება ერთსა და იმავე (დაჯარკვით ამ შემოხვევაში საგანი) — მზიან ღამეს, იგივე ღმერთს.

ანალოგიურად იქცევა რუსთაველი პროლოგში. „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“, — იწყება პოემა, მომდევნო სტრაფში კი გახსნილია „რომელმან“ და მას ჰქვია „მე, ღმერთო, ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“. ან „ვის დამბადა, შეძლება:ცა მანვე მომცა ძლევად მტერთად, ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვთა მიწიერთად“. და იქვე შეარქვა სახელი „ძალი უხილავი“ — შეფარებულ ღმერთს: „ვის საზღვრებსა დაუსაზღვრებს, ზის უცვლავი ღმერთი ღმერთად“. ყველაფერი იხსნება თვითონ „ვეფხისტკაოსნიდან“. მას რატომ ვახვეთ მას თავს გარედან ახსნას. როცა ყველაფერი შიგნით არის მოცემული.

ამ შემოხვევაში ავთანდილი შევლას სიხოს შვსე, რომელსაც მორჩილებენ ცის სხეულები (რას ნიშნავს ხატი? — სახეს თუ ნათელს, იმას რომ მზე ანათებს?) ანალოგიურია ავთანდილის მიმართვა მთვარისადმი, რამდენსამე სტროფს შემდეგ. „მთვარესა ეტყვის: „იყოც სახელი ღმერთისა შენისა“ და მასაც შესთხოვს შვსეავით: „მოაქე შეურა პირისა, შენ გამო შენებრ მშვენიასა“

ვინ არის ის ღმერთი, რომელსაც ციურნი მორჩილებენ და ვისი სახელიც მთვარემ უნდა იფიცოს — მზე თუ თვითონ მზისა და ყველაფრის შემქმნელი ღმერთი. მაგრამ აზრი აქ არ თავდება, და თუ ასე ფიქრობს ტარიელისკენ მიმავალი ავთანდილი, ანალოგიურ სიტუაციაში ტარიელიდან ფრიდონისაკენ მიმავალი კვლავ აგრძელებს ფიქრს და შევლას შესთხოვს შეიდავე წნათობს — შვსე, ოკარიდს, მუშთარის, ზუაღს, მთვარეს, ასპირსოხს, მარისხს. ამიტომ, როდესაც „მზიან ღამესა“ და „უფამო ვამს“ ამოვგლეჯთ სტრაფიდან, მოწყვეტილად ვიხილავთ და

ვცდილობთ „ვეფხისტკაოსნის“ მსოფლმხედველობის გარკვევას, ზომ აკობებს განვიხილოთ ის მთლიანობაში და ეგებ მაშინ ქრისტიანობასთან ერთად მასში აღმოვაჩინოთ ცოდნის უფრო ფართო და შორეული ნაკადი, ეგვიპტურის ან შებერულ-შუამდინარეთის სახით. მით უმეტეს „ვის — ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“ — „წინანში“ იგულისხმება არა უბრალოდ წინა პერსონი, არამედ ქრისტემდელი დრო, რადგანაც რუსთაველის ადრეს ქრისტიანთა გაბატონებული იყო და თქმაში ქრისტიანული რომ იგულისხმებოდეს, ის არ იქნებოდა რუსთაველისთვის „წინანი“, რომელიც გარდასული ეპოქა, თვისობრივად მისი დროსგან განსხვავებული ეპოქა იგულისხმება, და შეიძლება გაბატონებული ქრისტიანული რელიგიის წინაშე მორიდებით აიხსნებოდეს, ზოგადად თქმა — „ფილოსოფოსნი წინანი“ და მათი კონკრეტულად არ დასახელება, მართალია, რუსთაველი ახსენებს ქრისტემდელ მოაზროვნეებს, მაგალითად, პლატონს, მაგრამ იქ საქმე არ ეხება რელიგიას, აქ კი უშუალოდ ღმერთზეა საუბარი.

მით უმეტეს, პოემაში არის ღმერთისადმი ისეთი დამოკიდებულება, რომელსაც ვერ ახსნი ღმერთის ქრისტიანული მოზოციებთან.

ავთანდილის ლოცვა გაპარვის წინ ასე თავდება:  
„ღმერთო, ღმერთო მოწყალო არცე მივის შენგან კიდე, შენგან ვიხოვ შეწყენასა, რაზომსაცა გზას ვლადე, მტერთა ძლევა, ზღვათა დღეცა ღამე მავნე განმარიდე! თელა დავჩრქე, ვმასტრებუდე, შენდა მსხვერპლდა შევიჩრდიდე“.

მსხვერპლოშეჩრვა რომ ქრისტიანული არ არის, ეს ელემენტარული კემარტიკაა.

მსხვერპლს იმიტომ სწირავდნენ, რომ გამოეყსიდა ღმერთის წინაშე აღმართის მიერ ჩადენილი ცოდვა. ქრისტიან თვითონ იტყვითა ცოდვის გამოსყიდვა ერთბაშად და მსხვერპლად შეეწირა, რათა აღმართი გაეთვისოსუფდინა მსხვერპლო შეწირვისაგან. ეს იყო ქრისტიანთა და ქრისტიანული რელიგიის დიდი დამსახურება. ასე რომ, „ვეფხისტკაოსნის“ ვერ ჩასტევ ერთს რომელსავე „იოშმა“, იქნება ეს „იოში“ ფილოსოფიური თუ თეოსოფიური.



ვ. ლეკერძია  
პასტორალი  
(დეკორატიული პანო)



ა. ჩავჭავჭავაძე.  
1915 წლის მსხვერპლთა ძეგლი



ა. ჩავჭავჭავაძე.  
კაცია და ნერგი

სოფლის  
ანაღვარდა  
მნათვართა  
ნამუშევრები



შ. აკეთსიანი.

საუბარი



კ. გალსტიანი.  
სივითნოვა



გ. კაველაშვილი

პეიზაჟი

**საქართველოს ახალგაზრდა  
მხატვართა ნამუშევრების  
გამოფენიდან**

მ. უფლაძე

ნატურმორტი



მართლში მრავალმხიანობის საწყისები აღინდელი სინკრეტის ხანის ბელოვნებში იყარგება. როგორც ხალხურ სიმღერათა ანალოგი ცხადყოფს, ხმათა „შეყოფების“ ანუ „აქორდულ ვერტიკალში“ კონსტრუირების ეს პირინცები „დასაბამიდან“ ზომდინარებოს. იგი ეროვნული მუსიკალური აზროვნების „თანადკოლოდ“ თვისებად მოჩანს. თუმცა, მრავალმხიანობის, ანუ „ერტობობა შეყოფებისასს“ ჩასახვისა და მისი ფორმების განვითარების პროცესი, ცხადია, სტაბილური ხასიათისაა. იგი ევოლუციის ხანგრძლივ გზად წარმოგვიდგება.

თვისობრივ გარდაქმნათა ამ დიდი გზის ცალკეულ საფეხურთა განსაზღვრა დამოკიდებულია ფერხულის ქორეოგრაფიულ სახეთა დადგენაზე. ესე იგი, „საფერხული კმედების“ სინკრეტული ბუნების გათვალისწინებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუქლებელი იქნებოდა ქართული მრავალმხიანობის როგორც არქაული საფეხურის მკვლევა, ისე ხმათა „აქორდულ ვერტიკალში“ კონსტრუირების „წინასტორიული“ ხანის კანონზომიერებათა გამომვლადებება.

ასე რომ, ქართული მრავალმხიანობის ჩასახვის პრობლემის გადაჭრისას ფერხულის ქორეოგრაფიული სახეების დადგენას პირველხარისხოვანი მიზნდენლობა ენიჭება. ამ გზით შესაძლებელი ხდება მრავალმხიანობის არქაული სტილის — აქორდულ-ქორალური ანუ „საფერხული წყობის კულტივირების“ ასახვის“ განსაზღვრა, მაშასადამე, ხმათა „შეყოფების“ ტრადიციის ხანდაზმულობის დადასტურებაც.

კვლევის ამ სახით წარმართვას მიუვავართ მრავალმხიანი სიმღერის ტრადიციის შემკვიდრებობითობის დასაბუთებამდე. ძველ ქართულ პროფესიულ მუსიკაში მისი ხალხური შემოქმედების წიაღიდან შედლების ფაქტის დადგენამდე.

ეროვნული წერილობითი წყაროები და შორეული წარსულის მხატვრული კულტურის ძეგლები (განსაკუთრებით ჭედური ხელოვნების) შეურთეველ საბუთებს გვაწვდიან ხალხური მუსიკის წიაღიდან ძველი ქართული პროფესიული მუსიკის წარმოდგომის შესახებ. ისინი უცილობლად ადასტურებენ, რომ აღნიშნულ პროცესი ბელოვნების აღნიშნული სინკრეტების განმარტვების დამოფხვრის გზით მიმდარბობდა. ეს იყო „ძველში“ „ახლის“ ძიების ანუ თვისობრივ გარდაქმნათა დიდი გზა, რომელიც შესრულების საფერხული წესის დარღვევას გულისხმობს.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებზე დაუდრდობით დაბეჭდვითი შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საკულტო მუსიკის არქაულმა თანრამ „ქნობამ“, რომელიც წარმართული „როცის“ აშკარა განმარტვად მოჩანს, თვით XII საუკუნის დამდეგამდე შეინარჩუნდა თავისი ეანრობრივი სახე. და ეს მაშინ, როდესაც ქართულ საკულტო მუსიკაში ჭერ კიდევ VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე ტარდება რეფორმა, რომელიც წარმართული „როცის“ რიტმისაგან „განწმენდილი“ ახალი თანრის „საგალობლის“ დამკვიდრებას მოასწავებს 2.

მის უცილობელ საბუთად მოვიტანთ შემდეგ ფაქტებს:  
1) ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“ დაცული ტერმინის „უპირობდას“ განმარტებას, რომელიც, ადასტურებს რა სინკრეტული ბუნების თანრის „ქნობის“ არსებობას, ამ უკანასკნელს მკვეთრად უპირისპირებს „საგალობელს“.

2) მ. მოდრეკილის კრებულში არსებულ მკვეთრ გამოჩინას „საგალობელთა ძველთა“ და „საგალობელთა ახალთა“, რაც VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე განხორციელებული რეფორმა: ანარეკლია და პირდაპირ მიგვიანინებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული პერიოდისათვის „ქნობა“ უკვე გამოსახვის „ძველ“ ფორმის წარმოადგენს.

ამ უაღრესად საუარადღებო ფაქტების ხაზგასმა გვიჩვენებს მხატვრული ტრადიციის, კერძოდ, მრავალმხიანი სიმღერის ტრადიციის ბელოვნების აღნიშნული სინკრეტისმის ხანიდან წარმომავლობის დასაბუთებლად. მით უმეტეს, რომ ს. ორბელიანის მიერ მოწოდებული განმარტება ტერმინისა „უპირობდას“ აშკარად მიუთითებს როგორც „საგალობლის“, ისე „ქნობის“ ნიშნუთა

# შერხეული პრეული სხე „ნეოგრი“ ღა

## მისი შესატყვისი გეგრიტი ქონსტრუქციები

მზია იაშვილი

მრავალმხან სტრუქტურაზე, ე. ი. ორივე მთავანში ხმათა „შე-  
ყოვლების“ პრინციპის არსებობაზე. „უპირობა“... — ეს არს სა-  
გაღმობელთა და მწიბთა წინა უძლოდეს ქმითა“... — ასე განმარ-  
ტავს ხ. ორბელიანი „სავალმობლისა“ და „მწიბის“ ნიმუშთა  
სტრუქტურას, მოგვანიშნებს რა მისი საურდენის „წინამძღვარი  
ხმის“ ფუნქციანზე ეს გარემოება აშკარად მიუთითებს ხმათა  
„აქორდულ ვერტიკალში“ კონსტრუირების ანუ „შეყოვლების“  
პრინციპის საკულტო მუსიკის უკვე არქაული ეანრის „მწიბის“  
გაბატონებულობის ხანაში (ე. ი. უადრეს VIII საუკუნისა) კულ-  
ტივირებაზე. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი, ცხადია, აღნიშნული  
მხატვრული ტრადიციის (მრავალმხანი სიღერის) სწორედ  
ხალხური შემოქმედების წიაღიდან შემოღწევაზე მეტყველებს.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს,  
რომლებიც „ხმათა „შეყოვლების“ წესის (ანუ მრავალმხანი სი-  
ღერის ტრადიციის) „დასაბამიდან“ მომდინარეობაზე მიუთითე-  
ბენ, განსაკუთრებულ აზრს სძენენ არქაული ბედური ხელოვნე-  
ბის ძეგლებს, რომელთაც ფერხულის აღრიწველი გამოსულ-  
ლებანი შემოგვიჩანებს. ეს „ნივთიერი საბუთები“ უშუალოდ „სი-  
ტუციების“ წერილობითი წყაროების გზით ჩვენამდე მოტანილ  
ცნობებს და განამტკიცებენ მრავალმხანობის ფორმათა „საფერ-  
ხული ქმედების“ წიაღში ჩანახვის ჩვენს მიერ წამოყენებულ  
თვალსაზრისს.

ქართულ ხალხურ სიმღერაში, ხოლო მისი მეოხებით ძველ  
ქართულ პროფესიულ მუსიკაში, ხმათა „აქორდულ ვერტიკალ-  
ში“ კონსტრუირების პრინციპის „დასაბამიდან“ მომდინარეობის  
დაზუსტებულად ასეთ „ნივთიერ საბუთებად“ მოჩანს არქაული  
ბედურების ცნობილი ძეგლები: 1) თრიალეთის ვერცხლის თასი  
(ჩ. წ. აღ-მდე XV საუკუნე); 2) თრიალეთის ბრინჯაოს სარტყელი  
(ჩ. წ. აღ-მდე II ათასწლეულის შუა ხანა) და 3) მოცეკვავეთა  
ბრინჯაოს ფიგურები „უაზბების განაღდ“ წოდებული კომპოზი-  
ციიდან (ჩ. წ. აღ-მდე VII-VI საუკუნეები).

არქაული ბედური ხელოვნების აღნიშნული ნიმუშები ჩვენს  
განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ იმ მხრივ, რომ ცხადად  
მიუთითებენ „ერთობადა შეყოვლებისას“ (ანუ მრავალმხანო-  
ბის) საწყობთა აღრიწველი სინერჯიზმის ხანის ხელოვნებაში ძა-  
ბის აუცილებლობაზე და, რაც მთავარია, მისი ჩანახვისა და ამ  
უკანასკნელის ფორმათა განვითარების გზასაც გვიჩვენებენ. უა-  
რდელია ამის ბიძგს ვაძლევს დასაბუთებულ ძეგლებზე აღბეჭდილ  
ფერხულთა ქორეოგრაფიული სახეების დადგენა.

სინერჯიზმის სანახაობის — ფერხულის ქორეოგრაფიულ ტიპ-  
ის დადგენა შესაძლებლობას ვაძლევს წარმოვსახოთ ევოლუცი-  
ის დიდი პროცესი, რომელშიც დამატებით ურთიერთმიმარ-

თებაში მოჩანს სანახაობის საკუთრივ ქორეოგრაფიული მხარე  
და მისი შესატყვისი მუსიკალური გამომსახველობის საშუალება-  
ნი, როგორც შემდგომ დავინახავთ, არსებითად ფერხულის ქო-  
რეოგრაფიულ ტიპთა ცვლაზე იყო დამოკიდებული ხმათა „აქორ-  
დულ ვერტიკალში“ „შეყოვლების“ კანონზომიერების მიგნება,  
ვინაიდან ამ უკანასკნელის ინტუიტურ გაღვიძებას ჭერ კიდევ  
„მოქმედების“ სულისკვეთებით გამსჭვალული „რიტმული სკლის“  
პირობებში აქვს ადგილი.

ახეთ ვითარებაში, ცხადია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს  
ქორეოგრაფიული ტიპების მხრივ ფერხულთა განსხვავებულობის  
ფაქტის დადგენა, ხოლო ამ გზით მისი ევოლუციის მრავალსუ-  
კუნოვანი პროცესის წარმოსახვა. ქართული მხატვრული კულტურ-  
ის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ  
